სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 25 მარტი 1999 №53 (826) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი ფეხბურთის წინააღმდეგ

ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩები: იუგოსლავია — ხორვატია, მაკედონია — ირლანდია და იუგოსლავია — მაკედონია გადაიდო

ყურადღება! ბაიერნი!

1967 წელს ბავარიელებმა პირველი ევროთასი მოიგეს და ამით დასაბამი დაუდეს დიდ გამარჯვებებს

მარჯვნივ და მარჯვე

ქართველები საჭიდაო ნაკრებში

თამაზ კოსტავა

რუბრიკის ბოლო წერილის გმირი თბილისის „დინამოს“ ფატალურად უიღბლო მარჯვენა მცველია

გვავარჯიშეთ, ხალხი არა ხართ?!

საქართველო — ტონგა

უფროსი რკინიგზელი მორაგბეთა ეროვნულ გუნდს პოლიციით გვიშინებს

ლევან მოსეშვილი:

ჩემზე კარგი მწვრთნელი ბევრია?!

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური.

საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული. 21 საათი

სრეჩკო კატანეცი ფრეზეც ყაბულსაა

ყოველ შემთხვევაში, „სარბიელს“ ასე განუცხადა

ინტერვიუ სლოვენიის ნაკრების თავკაცთან იხილეთ მეოთხე გვერდზე

ბარასკევს სრეჩკო კატანეცი თბილისს ღიმილიანი ეწვია

გუცაევს იასამნისფერი ჰყვარებია

მწვრთნელებზე მეტი საქმე ექიმებს გაუჩნდათ

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუცაევს, პანოვს და კუტივაძეს საფიქრალი დღითი-დღე ემატებათ

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ სალამოს დიღმის საწვრთნელი ბაზის ნაცვლად „შევარდენის“ სტადიონს მიაკითხა: ვლადიმერ გუცაევს ორმხრივი თამაში ჰქონდა დაგეგმილი. ნაკრებს შეუერთდა და სრულიად ჯანმრთელადაა მოსკოვის ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშია, რომელსაც საფეხბურთო ტაქტიკაში გაწაფვა თუ არა, ტაქტიანობა ნამდვილად დაეწუნება. თქვენთვის არა მცალიაო, ასე მოგვიგო თბილისში ძალისძალად ჩამოსულმა ფეხბურთელმა. როგორც ნაკრების მედპერსონალმა გვითხრა, ჯანაშიას არაფერი აწუხებს, სრული დატვირთვით შეუძლია ვარჯიში. მწვრთნელებთან კი თავდამსხმელს დაუფიცია, წვივი ძალიან მტკიოდაო. კვლავ საეჭვოა მიხეილ ფოცხვერიას თამაში. გუშინ მუხლნატკენმა მიშამ საკმაოდ კი ირბინა, პარტნიორს გოლიც გაატანინა, მაგრამ ნაკრების ექიმის დიმიტრი ზაალიშვილის თქმით, რეციდივი ყოველ წამს არის მოსალოდნელი, ფოცხვერია საოპერაციოა, თუმცა ჯერ არა. მისი ამბავი 26-ში სალამოს გაირკვევა.

როგორც გუცაევი იტყვის, ისე იქნება. გუშინ კუნთი დაიჭიმა შოთა არველაძემ, მან თამაში მიატოვა და მაყურებლებში გადაინაცვლა. რამდენად სერიოზულია შოთას ტრავმა, ეს ხვალ გამოჩნდება. მისი ტყუპისცალი არჩილი კი ფეხზე წამოდგა, მაგრამ არ უთამაშია.

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. IV ტური

საქართველო — სლოვენია

27 მარტი. თბილისი. ეროვნული

გუცაევს იასამნისფერი ჰყვარებია

დასაწყისი პირველ გვერდზე

კოჭი გაუმიზეზდა მიხეილ ყაველაშვილს. „გრასჰოპერის“ ბრაზილიაში ყოფნისას დაშავებული ფეხი მიშას გუშინ ორთაბრძოლისას ეტკინა. გართულების თავიდან ასაცილებლად ყაველაშვილმაც დასვენება არჩია, ისევე, როგორც წვიმტკივანმა კახა კალაძემ.

ერთი სიტყვით, 27-მდე ნაკრების ექიმებს დიდი ჯაფა დაადგებათ. მართალია, ისეთი ტრავმა არავის აქვს, ითქმოდეს, თამაშს უეჭველი გამოტოვებსო, მაგრამ თუ დროულად არ უწამლეს, ღმერთმა უწყის, სლოვენიასთან ეგებ ჩვენების განაცხადიც ვერ შეივსოს ბოლომდე.

ორმხრივი თამაშისთვის ვლადიმერ გუცაევმა ახალგაზრდული ნაკრებიდან ოთხი ფეხბურთელი დაიმატა — კარაცხელიამ და ნინუამ თავიდანვე ითამაშეს, რუხაძემ და სახვაძემ კი ყაველაშვილისა და არველაძის ნაცვლად.

იასამნისფერთა შემადგენლობა ასეთი გახლდათ: დევაძე; ბალაშვილი, თარხნიშვილი, წერეთელი, ჩხაიძე; ჯამარაული, ნემსაძე, კალაძე, კობიაშვილი, არველაძე, დემეტრაძე.

ყვითლები: გრიშიკაშვილი; ნინუა, სილაგაძე, კვარაცხელია; დ. ჯანაშია, ქინქლაძე, დარასელია, გახოკიძე, ალექსიძე; ყაველაშვილი, ხ. ჯანაშია.

მეორე ტაიმში ზაზა ჯანაშია იასამნისფერებში გადავიდა, შოთა არველაძემ, უკვე გითხარით, დაისვენა, კალაძე კი ფოცხვერიამ შეცვალა.

თამაშ-ვარჯიში ერთ საათს გაგრძელდა. სულ ოთხი გოლი გავიდა, აქედან სამი ყვითლების კარში.

ჯერ დემეტრაძის ჩაწოდებულზე კობიაშვილმა დაასწრო მცველებს. მერე ყაველაშვილმა იყოჩაღა, სამი იასამნისფერი მოატყუა და გახოკიძეს გაატანინა. მეორე ტაიმში ფოცხვერიას კარგი პასი დემეტრაძემ გამოიყენა, სულ ბოლოს კი, უკრაინასთან სლოვენიელთა მწვრთნელს რომ არ უნახავს, ისეთი საჯარიმო გამოიყენა კობიაშვილმა. ჯამარაულის დაგორებული ნემსაძემ ტერფქვეშ გაატარა, ლევანმა კი ისეთი დაარტყა, მეკარეს ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

თამაშით მწვრთნელები კმაყოფილნი დარჩნენ.

ჩვენი აზრით, კი იასამნისფერები ისინი იყვნენ, მწვრთნელებს რომ სლოვენიასთან ძირითადისთვის ეგულებათ, თუმცა, გუცაევის თქმით, საბოლოო შემადგენლობამდე ჯერ ადრეა, იასამნისფერებში, სავარაუდოა, რამდენიმე ყვითელიც გაერევა.

კობა იანსარიძე

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

გუშინ ვლადიმერ გუცაევმა ნაკრების ყველა წევრს მოუყარა თავი

მანუჩარ მაჩაიძე 50 წლისაა!



რევაზ ცერცვაძის არქივიდან

„რაოდენ ბედნიერი ხართ ქართველები, რომ გყავთ ასეთი უნივერსალური და უნიკალური ნახევარმცველი, ბრწყინვალე დიდოსტატი მანუჩარ მაჩაიძე“ — ეს სიტყვები იტალიური „ნაპოლის“ მწვრთნელს ეკუთვნის, დიდი და ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე „დინამოს“ დიდ კაპიტანს ამგვარი ქება არაერთხელ რგებია.

მანუჩარ მაჩაიძეს ფეხბურთიდან ქომაგთა უსაზღვრო სიყვარული გაჰყვა. ეს სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა. სპორტული ჯილდოებით დახუნძლულ კაპიტანს ქართულ ფეხბურთის წინაშე მიღწეული დამსახურებისთვის, ქვეყნის უანგარო სამსახურისთვის პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსების ორდენი ებოძა.

სახელოვან ქართველ ფეხბურთელს დღეს 50 წელი შეუსრულდა.

დღეს თუ მორიგდებიან

გუშინდელ „სარბიელში“ ვიუწყებოდით, რომ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის გადაწვეტილებამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, სფფ, კარს მომდგარ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩს ყადაღადადებული ანგარიშით ხვდება. ამასთან დაკავშირებით ფედერაციის ხელმძღვანელობა სამართალდამცავებს გუშინვე უნდა შეხვედროდა, მაგრამ შეხვედრა ვერ მოხერხდა და დღეისთვის გადაიდო. გენერალური მდივანი კვლავ იმედოვნებს, რომ მოლაპარაკება სასურველ შედეგს გამოიღებს, საგადასახადო ინსპექცია კი ისევ თავისას გაიძახის — ვალი უნდა დაიფაროსო.

შეხვედრა დღეს თერთმეტ საათზე შედგება და, ალბათ, ბევრი რამ გაირკვევა. თუმც არც ის გვგონია, ფედერაცია სლოვენიელებთან მატჩის წინ მხოლოდ საგადასახადო ინსპექციის გულმოწყალების იმედად იყოს. ვნახოთ... ამჟამად კი ყველაფერი უცვლელადაა — სფფ-ს ანგარიში ყადაღადადებულია.

პაატა კვანტალიანი

იმნაძეს საწუხარი არ ელევა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ორი დღის წინ როგორც იქნა, სრული შემადგენლობით შეიკრიბა. გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ, რომ ბელგიიდან „სტანდარდის“ თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია ჩამოვიდა, ხოლო უკრაინის ეროვნულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ მიხეილ აშვეთია გუცაევმა ახალგაზრდულის თავკაც გიგლა იმნაძეს დაუბრუნა, რომელსაც ახლახან ერთი დიდი პრობლემა წარმოეშვა — სავარჯიშო მინდორი. ცოტა ხნის წინ დიღმის ბაზის ნაწვიმარ მოედანზე მეორე ჯგუფის მატჩი გაიმართა და იგი სავარჯიშოდ გამოუსადეგარი გახადა. ახალგაზრდები კი სწორედ აქ ვარჯიშობდნენ. გუშინ იმნაძეს მსხნელად ვლადიმერ გუცაევი მოევლინა, რომელმაც ეროვნულ ნაკრებს „შევარდენზე“ დღის 5 საათზე ორმხრივი ათამაშა. ახალგაზრდებმაც ისარგებლეს ამით და დიღმის ბაზის მთავარ მინდორზე ორჯერ ივარჯიშეს. მოედნის პრობლემის გარდა იმნაძე ვერც ფეხბურთელთა ტრავმებს გადაურჩა. როგორც შევიტყვეთ, დაშავებულნი არიან დინამოელები — მიხეილ აშვეთია და შოთა ჩომახიძე, ხოლო ჯაკობიას ტრავმის შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. თუმცა ექიმთა ვარაუდით, სერიოზული არაფერია და სასლოვენიოდ სამივენი მწყობრში იქნებიან.

ვანო ოჭროპირიძე

ოსმალონი და ევროპელნი

ახლახან „სარბიელში“ 27 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის IV ტურში თბილისში გასამართ საქართველო — სლოვენიის მატჩებზე მომსახურე არბიტრებზე გაუწყებდით. გაცნობეთ, რომ ახალგაზრდული გუნდების შეხვედრას თურქი მეთინ თოქათი განსჯის, ხოლო ეროვნული ნაკრებების შეხვედრას ლუქსემბურგელი ალან ჰამერი გაუძღვება. ისიც დავამატეთ, უეფას მიერ წარდგენილი თანამსაჯების კანდიდატურები საქართველოსა და სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციებს შორის შეთანხმებით შეირჩევაო.

ახლა უკვე თანამსაჯების ვინაობაც ცნობილია.

საქართველოსა და სლოვენიის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს, რომელიც 27 მარტს „შევარდენის“ სტადიონზე ჩატარდება და 16 საათზე დაიწყება, თურქეთის მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება: მეთინ თოქათი; სუათ მონიროღლუ, ზეკი აქშოუ (ორივე თანამსაჯები), ნექდეთ ერდილექი (სათადარიგო);

ეროვნული გუნდების მატჩი საღამოს 8 საათზე დაიწყება ეროვნულ სტადიონზე და მას ლუქსემბურგელები განსჯიან: ალან ჰამერი; ჟან პოჯი, ფრანკო მანგენი (ორივე თანამსაჯი). სათადარიგო კი ჰენრი დიდერახი იქნება.

საქართველო — სლოვენიის ორივე მატჩზე უეფამ კომისრად გერმანელი ჰანს ებერსბერგერი მოავლინა.

გიორგი ვაშაკიძე

რა, რა, 120 ჩემოდანი?

შაბათს, 27 მარტს, ბელგია — ჰოლანდიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები განახლდება. ამ დღეს მეორე შესარჩევ ჯგუფში უკვე ჩატარებული სამი თამაშიდან 3 ქულის პატრონი საქართველოს ეროვნული ნაკრები, ამდენივე მატჩნათამაშევ, ოღონდ 4-ქულიან სლოვენიას ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს. რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მატჩს ჩვენთვის (ალბათ, სლოვენიელებისთვისაც), ამის მტკიცებას არ მოვყვებით. უბრალოდ, სლოვენიელთა მატჩამდელ გეგმებს გაგაცნობთ.

ყოფილ იუგოსლავიელთა დელეგაცია თბილისს ხვალ ნაშუადღევს, 2 საათისთვის ჩარტერული რეისით ესტუმრება. ბალკანელთა დელეგაცია 120 კაცისაგან შედგება. აქედან ნახევარი ოფიციალური პირია, 13 ჟურნალისტი, დანარჩენი კი სლოვენიის ნაკრების გულშემატკივრები და გუნდის სპონსორების წარმომადგენლები არიან.

აეროპორტში ტექნიკური მხარეების მოგვარების შემდეგ სლოვენიის ნაკრები სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაემგზავრებიან, ხოლო ახალგაზრდები საბურთალოზე, „აჭარაში“ დაიდებენ ბინას.

სლოვენიელი ახალგაზრდები, თუ მოასწრეს, იმ დღესვე სავარაუდოდ 16 საათისთვის „შევარდენის“ სტადიონის გაზონს მოსინჯავენ, ხოლო სრეჩკო კატანეკი კი ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშს საღამოს 8 საათზე დაიწყებს.

თამაშის მეორე დღეს, 28-ში, საუზმის შემდეგ, სტუმრები სამშობლოს მიაშურებენ.

გიორგი ვაშაკიძე

რას გავაჭანთ პოლიქრონიუს?

გუშინდელ „სარბიელში“ საქართველო — სლოვენიის საშაბათო მატჩზე თბილისში ჩამომსვლელ სტუმრებზე ვწერდით. თბილისს მეტოქე გუნდების დასაზვერად ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი ასტრიდ ჰაფიზი და ნორვეგიის ნაკრების თავკაც ნილს იოჰან სემბის თანაშემწე ალფრედ გუსტაფსონი ეწვევიანო. როგორც გაირკვა, ქართველებისა და სლოვენიელების დაზვერვა ბერძნებსაც გადაუწყვეტიათ. როდესაც თბილისში ქართველები სლოვენიელებს დავუპირისპირდებით, ამ დღეს საბერძნეთის ნაკრები ნორვეგიელებს შინ მიიღებს. რაკი ბერძენთა რუმინელი მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ თავად ვერ მოახერხებს აქ ჩამოსვლას ნორვეგიელი კოლეგის, სემბის მსგავსად, ისიც თავის თანაშემწეს მოავლენს თბილისში. იორდანესკუს თანაშემწე კონსტანტინ პოლიქრონიუ კვლავაც დააკვირდება ქართველებს. იგი ეროვნულ სტადიონს შარშანაც სტუმრობდა, 5 სექტემბერს, ალბანელებთან მატჩისას დაგვზვერა. როგორც ჩანს, კარგადაც, ხომ გახსოვთ, ბერძნებმა 14 ოქტომბერს რა დღე აყარეს ქართველებს.

გიორგი ვაშაკიძე

ლაშა ჯაკობია: მცირე შანსი უნდა გამოვიყენოთ

ლაშა ჯაკობია თავის დროზე საქართველოს ეროვნულ, ახალგაზრდულ თუ 18-წლამდელთა ნაკრებებში ყველაზე მცირეწლოვანი ლეგიონერი გახლდათ. იგი ორი წლის წინ, 16 წლის ასაკში, ბელგიაში საკმაოდ პოპულარული კლუბის, ლიეჟის „სტანდარდის“ წევრი გახდა. მართალია, თავიდან ბავშვთა გუნდში თამაშობდა, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, იმდენად მალე გაიზარდა, რომ მომდევნო წელს „სტანდარდის“ სათადარიგო შემადგენლობაში მოხვდა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა. გასულ შემოდგომაზე კი ბელგიის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში რამდენიმე მატჩიც ჩაატარა. საქართველოს ახალგაზრდულ და 18 წლამდე ნაკრებებში მისმა თამაშებმა თვალნათლივ დაგვანახა დიდი პოტენციალი. უდავოა, ლაშამ თუ ასე გააგრძელა, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობის ყურადღებასაც დაიმსახურებს. თუმცა მანამდე 18 წლის ფეხბურთელს ჯერ კიდევ დიდი შრომა მოუნევს.

ბადრი კეთილაძის ფოტო

სტანდარდელი ლაშა ჯაკობია მორიგ მცველს გაუსწორდა

ბიგლა იმნაძემ ჯაკობია საუკრაინო და სასლოვენიო შემადგენლობაში გამოიძახა, მაგრამ ლაშა უკრაინასთან მატჩისთვის ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა, თუმცა სლოვენიასთან თამაშისთვის თბილისს მაინც ეწვია, იქნებ მინდორზე გასვლა შევძლოო და სამშობლოს სიყვარული კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მასთან ინტერვიუ, ბუნებრივია, ჯანმრთელობის მოკითხვით დავიწყეთ.

— ცოტა ხნის წინ ბელგიაში საზარდულმა შემაწუხა, ბოლო დროს ვეღარც ვვარჯიშობდი, თამაშზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. სწორედ ამიტომ ვერ შევძელი უკრაინის ნაკრებთან მატჩისთვის ჩამოსვლა. ჩემი მინდორზე გასვლა სლოვენიის ნაკრებთანაც სათუოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აქ ვარ. იმედი მაქვს, შაბათამდე ტრავმას მოვიშუშებ და ნაკრებში ვითამაშებ.

— თავად რას ატყობ, როგორ ფორმაში ხარ?

— პირადად მე კმაყოფილი ვარ. ბოლოს კი შემაწუხა ტრავმამ, მაგრამ მგონი, ურიგოდ მაინც არ გამოვიყურები.

— „სტანდარდის“ სათადარიგო შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობ?

— არა. ბოლო დროს, ფაქტობრივად, აღარც მიწევს დუბლებში თამაში, რადგან უკვე ძირითადი გუნდის წევრად ვითვლები და ჩემპიონატის მატჩებშიც „სტანდარდთან“ ერთად მიწევს ყოფნა. მიმდინარე სეზონში მეორე გუნდში სულ ხუთი მატჩი ჩავატარე, რომლებშიც შვიდი გოლი გავიტანე.

— გამოდის, „სტანდარდის“ თამაშებზე მწვრთნელს სათადარიგოთა სკამზე ჰყავხარ გამწესებული. რას გეუბნება ივიჩი, რატომ არ გათამაშებო?

— ივიჩს ჩემსა და მბო მპენზას შორის უწევს ხოლმე არჩევანის გაკეთება და რადგან მპენზა კარგ ფორმაშია და გოლებიც გააქვს, მას უფრო ენდობა. მე კი სამ თვეში გუნდთან კონტრაქტი მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი ვხდები. ახლახან ტომისლავ ივიჩი მესაუბრა და ჩემი „სტანდარდში“ დარჩენის სურვილი გამოთქვა. თუმცა ჯერ არ გადამიწყვეტია, სხვაგან წავალ თუ კლუბში დავრჩები.

— რახან საყოყმანოდ გაქვს საქმე, ეტყობა, სხვა გუნდებიც გეპატიჟებიან.

— კი, მოწვევები მაქვს. ამას წინათ ჩემით ბელგიური „შარლეროა“ და ფრანგული „მეცი“ დაინტერესდნენ და საკმაოდ სერიოზულადაც. ამასთან დაკავშირებით „სტანდარდის“ გენერალურ მენეჯერსაც ველაპარაკე, რომელმაც მირჩია, გუნდში დავრჩენილიყავი, რადგან ძმები მპენზები ტრანსფერზე ჰყავთ დაყენებული და მეც შემადგენლობაში მოხვედრის დიდი შანსი მეძლევა. მპენზების ნაცვლად ივიჩი თანამემამულე ალან ბოქშიჩს ყიდულობს. როგორც ვიცი, ეს ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილი იყო და შესაძლოა, ახლა ბოქშიჩი ბელგიაშიც იმყოფებოდეს. თუ მპენზები წავიდნენ, გუნდში ჩემი ჩათვლით სამი თავდამსხმელი დარჩება და ძირითადში მოხვედრის უკეთესი შესაძლებლობა მომეცემა. ხოლო წავალ თუ არა „სტანდარდიდან“, ამას ცოტა ხანში გადავწყვეტ, მაგრამ, ალბათ, კონტრაქტს მაინც გავაგრძელებ.

— არჩევანზე ისიც იმოქმედებს, ვინ როგორ პირობებს შემოგთავაზებს? რადგან „სტანდარდს“ ამჯობინებ, ესე იგი, ლიეჟელები უფრო ხელსაყრელ წინადადებას გთავაზობენ.

— კი, საკმაოდ კარგი პირობები მაქვს. ერთი ეგაა, მანქანა არ მყავს, რაც იმის ბრალია, რომ ბელგიაში თავიანთი ქვეყნის მართვის მოწმობას ითხოვენ, მე კი ჯერჯერობით არ მაქვს. თუმცა ავტომობილი მაინცდამაინც არც მჭირდება, რადგან სტადიონთან ახლოს ვცხოვრობ. თუ საჭიროა, კლუბის მანქანა შემსახურება ხოლმე. ისე, „სტანდარდში“ მარტო პირობების გამო არ დავრჩები. უკვე ორი წელია, იქ ვარ და ყველაფერს მივეჩვიე. ეს ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია.

— „რასინგ მეხელენიდან“ ქართველთა წამოსვლის შემდეგ ბელგიაში ჩვენებური შენს გარდა გელა შეყილაძეცა დარჩა. ალბათ, ხშირად ხვდები „ლიერსის“ ქართველ ლეგიონერს.

— შეხვედრით ხშირად ვერ ვხვდები, მაგრამ ტელეფონით მუდმივად ველაპარაკები. გეცოდინებათ, გელას ფეხი ჰქონდა მოტეხილი და ამის გამო ძალიან ბევრი გაუცდა. თუმცა უკვე მოიშუშა ტრავმა, ახლახან ვარჯიშსაც შეუდგა და მალე ჩვეულ ფორმასაც აღიდგენს.

— დროა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. სულ მალე სლოვენიასთან მატჩი გველის...

— ამ შეხვედრაში გამარჯვების გარდა არაფერზე არ უნდა ვიფიქროთ. სხვა გზა არ გვაქვს. მით უმეტეს, სლოვენიასთან მოგების ძალიან დიდი შანსი გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ. გასულ შაბათს უკრაინა დავამარცხეთ, არა მგონია, სლოვენია პრობლემად გვექცეს.

— ჯგუფიდან გასვლის შანსებს როგორ შეაფასებ?

— ფინალურ სტადიაზე მოხვედრა თეორიულად ყველა გუნდს შეუძლია, მათ შორის ჩვენც. რეალურად თუ შევაფასებ, ეს ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ორი მატჩი უკვე წავაგეთ. თუმცა უნდა შევეცადოთ, ეს პატარა შანსი გამოვიყენოთ.

ვანო ოქროპირიძე

დანდობა არ იქნებაო...

ბორჯომის „თორის“ ფეხბურთელებს ციცქიშვილს და გოგოლაძეს, გორის „დილა 2“-ის გუდურაშვილს, მარნეულის „ალგეთის“ ნაცვლიშვილს, აგრეთვე თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელ ალეკო გოგობერიშვილს თითო თამაშით მიეცათ დისკვალიფიკაცია, ჯიბე კი 50-50 ლარით შეუთხელდათ.

ორ-ორი თამაშით დაისვენებენ გურჯაანელი შალვაშვილი, ხაშურელი ლომიძე და ლოკომოტიველი დავით გოდერძიშვილი.

ეროვნულმა ჩემპიონატმა კი გუნდი მოისაკლისა. ჟინვალის „ჟინერი“, მეორე ჯგუფის აღმოსავლეთი მხარის „ბ“ ქვეჯგუფში სატურნირო ცხრილის უპირობო აუტსაიდერი. ჟინვალელები მეორე წრის პირველ მატჩში 14 მარტს შინ სათამაშოდ არ ან ვერ დაუხვდნენ ქარელის „იბერიას“. დებულების თანახმად, „ჟინერს“ წაგება ჩაეთვალა 0:3, მაგრამ ვინაიდან ეს უკვე მეორე ფაქტი აღმოჩნდა (ასეთ ფაქტს I წრეშიც ჰქონდა ადგილი, „ჟინერი“ მაშინ „საუს“-თანაც არ გავიდა). ასე რომ, აღმოსავლეთის „ბ“ ქვეჯგუფში აწი სეზონის ბოლომდე 14-ის ნაცვლად 13 გუნდი ითამაშებს.

გუშინდელ სხდომაზე მკაცრად გაფრთხილეს თბილისის „ლოკომოტივი“, კლუბის ხელმძღვანელობაც და ფეხბურთელებიც.

რკინიგზელთა გუნდის წარმომადგენლები — გუნდის უფროსი შალვა კაკაბაძე, თემურ მახარაძის თანაშემწე მერაბ ხუცურაული და ფეხბურთელი დავით გოდერძიშვილი იყვნენ დაბარებულნი.

უკვე მერამდენე თამაშია, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელები სისტემატურად არღვევენ დებულებას. თამაშის მიმდინარეობისას მწვრთნელები არ იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს, არ იცავენ სარბენ ბილიკზე დგომის წესებს. მათი ასეთი ქცევა ფეხბურთელებსაც აგულიანებთ, რითაც მათ დათვურ სამსახურს ვუწევთ, მოვითხოვთ, რომ მკაცრი გაფრთხილება მიეცეთ. ფაქტის ხელმეორედ განმეორების შემთხვევაში უმკაცრეს ზომებს მივიღებთ — ასეთი გახლდათ კომისიის წევრთა ვერდიქტი. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებიც დაეთანხმნენ ყოველივეს და პირობა დადეს, რომ ასეთი შემთხვევა არ განმეორდება. კომისიის მიერ ორი თამაშით დისკვალიფიცირებული გოდერძიშვილი (მან სასჯელი მოიხადა, ორი მატჩი უკვე გამოტოვა) კლუბის ხელმძღვანელობამაც დასაჯა. მას ერთი თვის ხელფასი დაუქვითეს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

შერისხულნი: მერაბ ხუცურაული და თემურ მახარაძე

სხდომას სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკოც ესწრებოდა. მან სთხოვა კომისიის წევრებს, რომ დაესწრონ ჩემპიონატის მატჩებს და თავად ნახონ, რა უმსგავსო ქცევებს აქვს ადგილი.

ამის მერე კომისიის წინაშე ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის კომიტეტი, კერძოდ ჯუმბერ თანანაშვილი წარსდგა. მის მიერ წარმოდგენილმა ფაქტმა ყველა იქ მყოფი სახტად დატოვა. მომხდარი სასაცილოა, მაგრამ ამავე დროს სატირალიც.

1998 წლის 13 დეკემბერს მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე ჭაბუკებს შორის საგარეჯოს „გარეჯი“ თბილისის „ავაზას“ მასპინძლობდა. „ავაზა“ საგარეჯოს ლიდერის როლში ეწვია. კახური გუნდის მწვრთნელმა გელა ხებრელაშვილმა კი ჩათვალა, ალბათ, წავაგებ თამაშს, თერთმეტ კაცს მაინც ვერ ვაგროვებ, ეს იქნებ ვერც კი გაიგონო და... ერთი გადაზრდილი ფეხბურთელიც ათამაშა და ჰოი, საოცრებავ, „გარეჯმა“ მოიგო 1:0. დამთავრდა თუ არა შეხვედრა, თბილისელთა მწვრთნელმა გელაშვილმა ოქმის გადამოწმება მოითხოვა და დარღვევაც აღმოაჩინა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში დებულების თანახმად „ავაზას“ 3:0 მოგება უნდა ჩათვლოდა, მაგრამ გელაშვილმა მეგობარი არ გაწირა და ორივე გუნდის მწვრთნელმა მოილაპარაკა, რა აზრი აქვს, მაინც ვერავინ გაიგებსო და... ოქმში მატჩის საბოლოო ანგარიშიც გადააკეთეს — გამარჯვება საგარეჯოს ნაცვლად „ავაზას“ მიაკუთვნეს — 1:0. ყოველივე ამის შესახებ მოხსენებითი ბართი ფედერაციაში ბავშვთა და სარეზერვო კომიტეტის თავმჯდომარემ, ლევან ყიფიანმა შეადგინა, ვინაიდან თავად ვერ მოვიდა, ეს პატივი ჯუმბერ თანანაშვილს ერგო. ყიფიანის მოთხოვნა ასეთია: საგარეჯოს გუნდი მოიხსნას ტურნირიდან. მომხდარი ფაქტის გამო „ავაზას“ ჩამოერთვას 3 ქულა, მწვრთნელებს ხებრელაშვილს („გარეჯი“) და გელაშვილს („ავაზა“) აეკრძალოთ სამწვრთნელო საქმიანობა. ბუნებრივია, ამ ფაქტმა გამოიწვია კამათი, რა ვქნათ, რა ვიღონოთო. ერთნი ამტკიცებდნენ, ვიმოქმედოთ დებულების მიხედვით, მეორენი კი — ბავშვებს რა ვუყოთ, ისინი ხომ უდანაშაულონი არიანო. მოისმინეს თავად თანანაშვილისა და „დამნაშავე“ მწვრთნელების აზრიც, საბოლოოდ კი ერთზე შეთანხმდნენ — საკითხი უკეთ შესწავლისთვის დაუბრუნდეს სარეზერვო კომიტეტს, საბოლოო ვერდიქტს კი სპორტულ-ტექნიკური კომისიის შემდეგ სხდომაზე გამოვიტანთო.

სამომავლოდ გადაიდო კიდევ ერთ საკითხი. თუმცა მომავალ სხდომამდე ტყიბულის საფეხბურთო გუნდს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშების გამართვის უფლება აეკრძალა. საქმე 23 მარტს ქუთაისში გამართულ „რიონი“ — „მეშახტეს“ მატჩს ეხება.

ქუთაისელებმა დასავლეთის „ა“ ქვეჯგუფში ჩემპიონობაზე მეოცნებე გუნდს დამაჯერებლად მოუგეს — 2:0. წაგებამ ტყიბულელები გაანწყენა და მათაც გადაწყვიტეს, მსაჯებისთვის გაესწორებინათ ანგარიში. მატჩს ავთანდილ სამხარაძე, გონა ცირდავა და დავით ნარმანია მსაჯობდნენ. მთავარმა არბიტრმა სამხარაძემ, როგორც თავად განაცხადა, ერთბაშად 4 ტყიბულელი სამართლიანად გააძევა, რადგან მეშახტეებმა მასაც და თანამსაჯ ცირდავასაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ვანდალიზმი — ასე შეაფასეს კომისიის წევრებმა ტყიბულელთა ქმედება, თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა, რომელიც მოგვიანებით მობრძანდა, მოითხოვა: ან საერთოდ გუნდი მოიხსნას გათამაშებიდან, ან კიდევ ფეხბურთელებს მიეცეთ სულ ცოტა ერთწლიანი დისკვალიფიკაცია და „მეშახტე“ უმკაცრესად დაისაჯოსო. ვინაიდან ტყიბულელთაგან წარმომადგენელი არავინ იმყოფებოდა, კომისიის წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს, საკითხი სამომავლოდ გადაედოთ, მანამდე კი „მეშახტე“ ვერ მიიღებს მონაწილეობას ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში.

პირობით სასჯელს და 200 ლარიან ჯარიმას გამოჰკრა ხელი ამბროლაურის „რაჭას“ სტადიონმა. მიზეზი — ვერ უზრუნველყვეს ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ნორმალურად ჩატარება.

ასეა, დანდობა არ იქნებაო — ირწმუნებიან სპორტულ-ტექნიკური კომისიის წევრები. მომავალ სხდომაზე ბევრი საინტერესო რამ მოხდება. არაა გამორიცხული, ჩემპიონატს გამოკლებულ ჟინვალის „ჟინერს“ კიდევ ერთი გუნდი მიჰყვეს.

გიორგი ვაშაძიძე

გუშინ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა შედგა. კომისიის თავმჯდომარე, ომარ გოგიაშვილი თავიდან სხდომას არ ესწრებოდა. მისი გაძღოლა მოადგილემ, გურამ ძაგანიამ ითავა. რა თქმა უნდა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მომხდარი უდისციპლინოების ფაქტები იხილებოდა.

სრეჩკო კატანეცი ფრეზეც ყაბულსაა

20 მარტს სლოვენიის ნაკრების მზვერავი, ქართველთა უახლოესი მეტოქის მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი აღარ შეგვიწუხებია. უფრო სწორად, სათქმელიც ბევრი არაფერი ჰქონდა, ერთი-ორი დღე მჭირდება, საქართველო — უკრაინის მატჩი რომ გავაანალიზო, სჯობს ლიუბლიანაში ძველ ნომერზე დამირეკოთ, ასე თქვენთვისაც უკეთესი იქნება და ჩემთვისაც, გვითხრა.

მთელი მატჩის განმავლობაში კატანეცს მარცხენა არ გაუჩერებია. გამუდმებით რაღაცას ინიშნავდა. მერე კმაყოფილი სახით წამოდგა, თავი დააქნია და გზას ეწია. მეორე დილით სლოვენიელთა თავკაცი სამშობლოში იქნებოდა, ორშაბათს კი შეგირდებს უნდა დალოდებოდა.

ჩვენი მეტოქე თბილისს პარასკევს შუა დღით ესტუმრება. სასტუმროები უკვე დაჯავშნულია. საქართველოში ჩამოსულმა კატანეცმა ამაზეც იზრუნა, ეროვნულისთვის „შერატონი" შეიგულა, ახალგაზრდებისთვის — „აჭარა".

მანამდე კი, ჯერაც შინ მყოფი მწვრთნელი ისევ 20 მარტის თამაშზე ფიქრობს. ქართველმა კოლეგამ ნებით თუ უნებლიედ სლოვენიელს საქმე გაურთულა. თბილისში იმ შემადგენლობამ, იმ ფეხბურთელებმა ითამაშეს, რომელთა უმეტესობაზეც კატანეცს თურმე წარმოდგენაც არ ჰქონია, და ხეირიანად ვერც მატჩის მერე შეუქმნია.

რა დაასკვნა სრეჩკო კატანეცმა? რა ჩაინიშნა? როგორ აპირებს თბილისში თამაშისას ფეხბურთელების დამოძღვრას? რა პრობლემები აქვს მომავალ მეტოქეს? ბუნებრივია, მწვრთნელს ყველაფერზე დანვრილებით არ უთქვამს, ბევრს თავისთვის დაიტოვებდა, მაგრამ რაც გვითხრა, ეგებ ესეც გამოადგეს გუცაევსა და კომპანიას? ვნახოთ.



ვურაგ დულინოვაზვილის ფოტო

— საქართველო — უკრაინის მატჩი უკვე გააანალიზეთ?

— ნაწილობრივ, ჯერ კიდევ ვფიქრობ. ახალგაზრდული შემადგენლობით ითამაშეთ და ამან უფრო გამირთულა საქმე.

— არ იცოდით, რომ ასე იქნებოდა?

— მეგონა, ყველა ლეგიონერი გეყოლებოდათ. მხოლოდ თბილისში ჩამოსულმა შევიტყვე, რომ უძლიერესი შემადგენლობით არ ითამაშებდით.

— აქედან გამომდინარე, შინ მთლად კმაყოფილი ვერ დაბრუნდებოდით.

— არც უმაგისობაა. სჯობდა, ოპტიმალური შემადგენლობა მეხილა, მაშინ თქვენს შესახებ უფრო მეტი მეცოდინებოდა.

— ახლა რა იცით? 20 მარტის შემდეგ რა დაასკვენით?

— აშკარად ჩანდა რგოლებს შორის შეუთამაშებლობა. მცველები დაზღვევაზე თამაშს აგვიანებდნენ, ნახევარმცველები — თავდამსხმელთა დახმარებას. თქვენებურები ბურთის ართმევაშიც მოიკოჭლბდნენ. სულ ესაა, რაც ჩვენთვის სასარგებლოდ მენიშნა. ბევრი ვერაფერი დავასკვენი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს ნაკრები ბოლომდე არ გახსნილა. ვეჭვობ, გუცაევმა ნაღდი თამაში დამიმალა. უკრაინელებთან მან ჩემთვის უცნობი ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა. ისე, ერთიც უნდა გითხრათ, შესაძლოა უცნაურადაც მოგეჩვენოთ. საქმე ის არის, რომ რამდენიმე თქვენებური ფეხბურთელი გუნდის ლიდერია, რაც ძალიან კარგია, რამდენიმემ კი ფეხბურთი არ იცის. როგორც და დედამიწა, ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

— რომელ ფეხბურთელებს გულისხმობთ?

— არ გეტყვით, ჩემთვის შევინახავ.

— ლიდერებად რომლები გეჩვენათ?

— ძალიან ტექნიკური და ჟინიანი ფორვარდია დემეტრაძე. მომეწონა კობიაშვილი, რომლისგანაც ბევრ ხიფათს უნდა ველოდეთ. გუნდში საუკეთესო კი კალაძე იყო. აგრესიული და გონიერი მცველია. შეტევებშიც ხშირად მონაწილეობდა.

— სხვა დადებითი არაფერი ჩაგინიშნავთ?

— მხოლოდ იმას გეტყვით, რომ აბსოლუტურად ყველა ქართველი ტექნიკურია. მეტოქის გაპამპულავება პრობლემა არავისთვისაა.

— რაკი ასე ფიქრობთ, 27-ში შეგირდებს, ალბათ, პერსონალურად თამაშს დაავალებთ.

— არა, გამორიცხულია. პერსონალური მეურვეობის გარდა მეტოქის გაუვნებელყოფის სხვა ხერხებიც არსებობს.

— ბურთის კოლექტიურად წართმევაზე ამბობთ?

— თუნდაც.

— ამას შესაბამისი ფიზიკური მომზადება სჭირდება.

— ასეა, მაგრამ მე არ მითქვამს, რომ აუცილებლად ამ ხერხს გამოვიყენებთ. ჩვენ ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, ახალს არაფერს გამოვიგონებთ. თქვენ თქვენი სცადეთ.

— ესე იგი, უკრაინელების მსგავსად ვერ ითამაშებთ.

— ამისთვის ფეხბურთელების მომზადების დონე უნდა გიწყობდეს ხელს. ესეც რომ არა, უკრაინელები სხვა ტაქტიკას იყენებენ. მათ დარად სლოვენია ვერასდროს ითამაშებს.

— ვიცით, ლატვიასთან მატჩისას თქვენი რამდენიმე ფეხბურთელი მსაჯმა დაინდო და მოედნიდან არ გააძევა. მგონი, უკრაინელებიც არაერთხელ გადარჩნენ. საერთოს ვერაფერს ხედავთ?

— ლატვიასთან ჩვენ არ ვუხეშობდით. ელემენტარულად, ხისტად ვთამაშობდით. უკრაინელები კი... გეთანხმებით, მსაჯი უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. გაძევება თუ არა, რამდენიმე მათგანი მაინც უნდა გაეფრთხილებინა.

— ადრე გვითხარით, ლატვია — საქართველოს მატჩის ფირი ნანახი მაქვსო. შეგიძლიათ, მაშინდელი თამაში ქართველების უკრაინელებთან წაგებულ შეხვედრას შეადაროთ?

— მაშინ სხვა ფეხბურთელებმა ითამაშეს, უკრაინელებთან — სხვებმა. თანაც რიგაში სტუმრობდით და ტაქტიკაც აქედან გამომდინარეობდა. 20-ში პირიქით, მასპინძლები, შეტევაზე უფრო ფიქრობდით. თუმცა რიგაშიც და თბილისშიც ტექნიკურად ითამაშეთ. ეს სისხლში გაქვთ. თქვენ ხომ საშრეთელები ხართ.

— მალტის საერთაშორისო ტურნირზეც ტექნიკურობით დაგამახსოვრდათ ქართველები? 1994 წელს თქვენ იმ სლოვენიის ნაკრების კაპიტანი ბრძანდებოდით, რომელმაც ჩვენებურები 1:0 დაამარცხა.

— მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. აღარც კი მახსოვს მაშინდელი ტურნირი. არც ქართული ფეხბურთით ვიყავი დაინტერესებული. თქვენებურ ფეხბურთელებსაც მალტაში ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, დღემდე დამმახსოვრებოდა.

— არც შემადგენლობა?

— თუ არ ვცდები, მაშინ ახლანდელი ნაკრებიდანაც იყო რამდენიმე ფეხბურთელი. გვარებს ვერ ვიხსენებ.

— ქართველების უკრაინელებთან წაგების მიზეზზე რას გვეტყვით?

— არ უნდა წაგებოთ. მატჩის დასაწყისშივე რომ გამოეყენებინათ ის რეალური მომენტი, ვინ იცის, ეგებ დიდი ანგარიშითაც მოგებოთ. მეტოქემ ფიზიკური მომზადებით დაგჩაგრათ, მეორე ტაიმის შუაგულიდან უკვე იგრძნობოდა, რომ ქართველები მეტს ვეღარ მოუმატებდნენ. თანაც უკრაინელებმა ბევრი ფეხბურთელი შეცვალეს. დასვენებული მოთამაშე კი ყოველთვის საშიშია, სხვათაგან აშკარად გამორჩეული. თქვენ ტაქტიკურად არ წაგიგიათ, გოლიც შემთხვევითი იყო. ძირითადის ფეხბურთელებს რომ ეთამაშათ, საქმე სხვაგვარად იქნებოდა.

— ძირითადის ფეხბურთელებში ვის გულისხმობთ?

— რომელი ერთი გითხრათ. ჯამარული, ქინქლაძე, შოთა არველაძე, ქეცბაია. ესენი თქვენი გუნდის თამაშს განსაზღვრავენ, ძლიერი ფეხბურთელები არიან, ჩვენთან თამაშისთვის საქართველოს ნაკრები, მგონი, სრული შემადგენლობით მოემზადება. საკითხავი ისღა მრჩება, ვინ როგორ ფორმაში იქნება.

— საუკეთესო ფორმაში არიან.

— მაშინ ძალიან გაგვიჭირდება.

— ძალები რეალურად შეაფასეთ. კანონზომიერ შედეგად რა მიგაჩნიათ?

— პირადად ფრეზე ყაბულს ვარ. ლოგიკური ეგ იქნება. ხომ იცით, ფეხბურთი გამოუცნობი თამაშია. შესაძლოა, მთელი 90 წუთი უპირატესობა გქონდეს, ბოლოს კი მოულოდნელად წააგო. იმედი მაქვს, თბილისში ასე არ მოხდება. ალბათ, ფრეს მივაღწევთ.

— საბერძნეთი — ნორვეგიის რომელი შედეგი დაგაკმაყოფილებთ?

— იქაც ფრე. აჯობებს, მეტოქეებმა ქულები გაიყონ. თქვენთვისაც კარგი იქნება.

— ახლა თქვენს ნაკრებზე გვითხარით. შევიტყვეთ, ჯონი ნოვაკი დაგაკლდებათ.

— მას ტრავმა აქვს, ვერც ალბანელებთან დაგვეხმარება. მისი დონის ფეხბურთელი დღეს არავინ გვყავს. გუნდის სული და გულია, სამწუხაროა, რომ ნოვაკის შემცვლელი არ მოგვეძებნება. ეს ძლიერ დაგვეტყობა.

— კიდევ?

— ერთი სასურველ მცველსა და თავდამსხმელს ვერ ჩამოვიყვანთ. ჩვენთვის ესენიც დიდ ძალას წარმოადგენენ.

— ერთი სიტყვით, შესუსტებული შემადგენლობით გვესტუმრებით...

— ძირითადის სამი ფეხბურთელი ბევრს ნიშნავს. თუმცა, ამის კომპენსირებას გონივრული ტაქტიკის ხარჯზე შევეცდებით.

— მეგოლე ზაჰოვიჩი მოგყავთ?

— აუცილებლად. მისი იმედი მაქვს. ერთ გოლს, ალბათ, თქვენს ნაკრებსაც გაუტანს. კარგ ფორმაშია და, მგონია, არც თბილისში შეირცხვენს თავს.

— მაშ, თბილისში გელით. საუბარი აქ გავაგრძელოთ.

— უარს არ გეტყვით.

ძოგა ინასარიძე

სარბიელის არქივიდან

მარცხენა ფოტოზე მეკარის მარჯვნივ მდგომი, მარჯვენაზე კი კაპიტნის სამკლაურით ხელდამშვენებული სრეჩკო კატანეცი იმ ოშვიათ ფეხბურთელთაგანია, ორ, იუგოსლავიის და სლოვენიის ნაკრებ გუნდებში რომ უთამაშია

EURO 2000 ჩვენი ჯგუფი

UEFA EURO 2000

უდისციპლინოი

ალბანეთი ALB	GEO	NOR	GRE	-	SLO
ლუან პინარი	■	□	□		□
გლედარ კოლა	▒				///
ალტინ ლალა	▒	▒	□		
ალბან გუში	▒				///
ალტინ რაკლი		▒			///
ერვინ ფაკაი			▒		///
ალტინ ჰაჯი			▒		///
იგლი ტარე			▒		///
არიან ჯუმგა			▒		///
ლატვია LAT	**NOR**	**GEO**	**SLO**	**-**	**GRE**
ოლეგ კარავაევი	▒				///
ვიტალი ასტაფიევი			▒		///
ნორვეგია NOR	**LAT**	**SLO**	**ALB**	**GRE**	**-**
რონი იონსენი	▒			///	
ერიკ ჰოფტუნი		▒		///	
იოსტინ ფლო			▒	///	
საბერძნეთი GRE	**SLO**	**GEO**	**ALB**	**NOR**	**LAT**
ვასილიოს გორგოკისი	▒			///	
თეო ზაგორაკისი	▒			///	
დიმიტრიოს მარკოსი		▒		///	
ნიკოლაოს დაგიზასი			▒	///	
კონსტანტინოს კონსტანტინიდისი			▒	///	
ნიკოლაოს ლიგერაკულოსი			▒	///	
მარინოს უზუნიდისი			▒	///	
ილიას პურსანიდისი			▒	///	
საქართველო GEO	**ALB**	**LAT**	**GRE**	**SLO**	**-**
მამუკა წერეთელი	▒			///	
გიორგი კიკნაძე	▒			///	
ლევან კობიაშვილი	▒			///	
ზაზა ჯანაშია	■	□			
მიხეილ ყაველაშვილი		▒		///	
გიორგი ნემსაძე		▒		///	
კახა კალაძე			▒	///	
თემურ ქეცბაია			▒	///	
სლოვენია SLO	**GRE**	**NOR**	**LAT**	**GEO**	**ALB**
ალეს ჩეჰი	▒	▒	□		
მარინკო გალიჩი	▒		▒	□	
ზლატკო ზაჰოვიჩი	▒			///	
მილან ოსტერცი	▒			///	
დარკო მილანიჩი		▒		///	
რუდი ისტენიჩი			▒	///	

შენიშვნა

■ - გაძევება

▒ - გაფრთხილება

□ - გამოტოვა

/// - თუ გააფრთხილებენ, გამოტოვებს

დაფერილია საშინაო მატჩები

ბატისტუტა და ლოპესი — მუშვენიერია!

არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი მიმდინარე სეზონის ბოლოს „ვალენსიას“ დატოვებას აპირებს. გადაწყვეტილება საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება, უთხრა გუშინ ესპანურ გაზეთ „მარკას“ ჟურნალისტს ფეხბურთელის პირადმა აგენტმა გუსტავო მასკარდიმ.

მასკარდი და „ვალენსიას“ წარმომადგენლები რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, მაგრამ ამან ესპანეთის ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბს ვერაფერი სიკეთე მოუტანა — 24 წლის ფორვარდი და მისი ამჟამინდელი თავკაცი, იტალიელი კლაუდიო რანიერი ზაფხულში „ვალენსიას“ და, ალბათ, ესპანეთს დატოვებენ.

— „ვალენსიამ“ თავის უკანასკნელი შანსი გაუშვა ხელიდან — უთხრა „მარკას“ მასკარდიმ — მე აქ ჩამოვედი და ყველანაირად ვცდილობდი, ჩემი აზრები კლუბისას დამთხვეოდა, მაგრამ მათ არ მომისმინეს. ახლა ერთადერთი საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას, ლოპესის გამოსასყიდი თანხაა.

ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია, არგენტინელი ფორვარდის მსურველ გუნდებს მის შესასყიდად 24 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევთ. პრიმერა დივიზიონის გათამაშების მიმდინარე სეზონში თოთხმეტი გოლის გამტან და ათი დღის განმავლობაში „ბარსელონას“ კარში ექვსი ბურთის შემგდებ ფეხბურთელს „ვალენსიასთან“ 2003 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი.

კლაუდიო ლოპესი

სარგებლის არქივიდან

გაიგეს თუ არა უსწრაფესი თავდამსხმელის გადაწყვეტილების ამბავი, იმ წუთასვე გააქტიურდნენ იტალიური გრანდები — „პარმა“ და „ინტერი“, მაგრამ ყველაზე რეალური და საქმიანი წინადადებით ლოპესის აგენტს სერია A-ს მეორეადგილოსნის „ფიორენტინას“ ხელმძღვანელებმა მიმართეს — ფლორენციელები დღესვე მზად არიან, „ვალენსიას“ ანგარიშზე 17 მილიონი დოლარი გადარიცხონ და ფეხბურთელთან ხელშეკრულება გააფორმონ. ეს ვარიანტი თურმე თავად ლოპესსაც ხიბლავს, ჯოვანი ტრაპატონის გუნდში ხომ მისი დიდი თანამემამულე გაბრიელ ომარ ბატისტუტა გამოდის.

ნოდარ ძასრაძე

ფეხბურთის რუკასთან

ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში 23-25 ივლისს გაიმართება ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპული კლუბები ითამაშებენ. „გოთემის თასის“ გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თქმით, უკვე თანხმობა განაცხადეს ამსტერდამის „აიაქსმა“, ლისაბონის „ბენფიკამ“ და ათენის „პანათინაიკოსმა“. ტურნირის მეოთხე მონაწილეს მალე დაასახელებენ, თუმცა იგი, ალბათ, ამერიკის მეჯორ სოკერ ლიგის კლუბი იქნება. ტურნირი ჯგუფური სისტემით წარიმართება და გამარჯვებული ქულების მიხედვით გამოვლინდება.

შვედი მცველი როლანდ ნილსონი ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში, ლონდონის „არსენალთან“ 0:2 წაგებული შეხვედრის შემდეგ საავადმყოფოში მოათავსეს. მას ორი ნეკნის მოტეხილობა დაუდგინეს. „ქოვენთრის“ ფეხბურთელი დღესაც საავადმყოფოშია, თუმცა კლუბის ექიმების განცხადებით, ტრავმა არც ისე მძიმეა და ნილსონი მალე დაუბრუნდება მწვანე მინდორს.

ბელარუსი მცველი მიროსლავ რომაშჩენკო ერთ თვეს ვეღარ ითამაშებს. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელმა ორიოდ დღის წინ ბოლო ერთ წელიწადში მუხლის მესამე ოპერაცია გაიკეთა. 25 წლის რომაშჩენკო, ბუნებრივია, ვერც ნაკრებს დაეხმარება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში: 27 მარტს მინსკში შვეიცარიელებს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ ანკონაში იტალიელებს ვერ დაუპირისპირდება.

ინგლისის ლიგის თასის ფინალში დამარცხებული „ლესტერის“ შვედმა მცველმა პონტუს კამარკამ განაცხადა, შვილი ძალიან მომენატრა, სამშობლოში უნდა დავბრუნდეო. „ლესტერის“ პრესატაშეს თქმით, ფეხბურთელი მალე შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის კლუბ აიკ-ში გადავა. „კლუბმა შესანიშნავი კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ შინ მირჩევნია“ — განაცხადა კამარკამ. იგი „ლესტერში“ 1995 წელს გადავიდა, მას შემდეგ, რაც ექვსი სეზონის მანძილზე „გიოტებორგში“ თამაშობდა.

რუმინეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორ შეხვედრაში სლოვაკეთთან და აზერბაიჯანთან ბუქარესტის „რაპიდის“ ნახევარმცველ ოვიდიუ საბაუს მოისაკლისებს. ბუქარესტული კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფეხბურთელი ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „რესიტასთან“ მატჩში დაშავდა. რუმინეთის ნაკრების მწვრთნელის ვიქტორ პიტურკას თქმით, საბაუ მის გუნდს ძალიან დააკლდება.

ჰოლანდიელი თავდამსხმელი მიხაელ მოლსი მომავალ სეზონს შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში“ შეხვდება. „უტრეხტის“ 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ შოტლანდიელებმა 4 მილიონი გირვანქა გაიღეს. მოლსის შეძენა ძალიან უნდოდა ამსტერდამის „აიაქსს“, თავად ფორვარდსაც სურდა ამსტერდამულ კლუბში გადასვლა, მაგრამ „უტრეხტის“ ხელმძღვანელობამ სხვანაირად გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ მოლსი „უტრეხტის“ საუკეთესო ბომბარდირია. მისი შეძენა გლაზგოს მეორე კლუბ „სელტიკსაც“ უნდოდა.

ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელი ლი კერსლი „დერბიდან“ „ბლეკბერნ როვერსში“ გადავიდა. ტრანსფერი ბლეკბერნელთა მწვრთნელის, ბრაიან კიდის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ განხორციელდა. „კერსლი შესანიშნავი მოთამაშეა და თან სწორედ იმ ამპლუის, „ბლეკბერნს“ რომ ესაჭიროება“ — განაცხადა კიდმა. „ბლეკბერნმა“ „დერბის“ ირლანდიელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 5,4 მილიონი დოლარი გადაიხადა. მას შემდეგ, რაც ბრაიან კიდი „ბლეკბერნის“ მწვრთნელად დაინიშნა, კლუბმა ახალი მოთამაშეების შესაძენად 30 მილიონი დოლარი დახარჯა.

რუსეთის ფეხბურთის კავშირმა დაკმაყოფილა უეფას მოთხოვნა ანდორასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ვლადიკავკაზიდან მოსკოვში გადატანის თაობაზე. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ ვლადიკავკაზში დიდი ტრაგედია დატრიალდა, რამაც 60-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უეფამ მომხდარის შესახებ რომ შეიტყო, თამაშის ჩატარება რუსეთის დედაქალაქში ბრძანა. „უეფა ზრუნავს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მონაწილეთა უსაფრთხოებაზე. ჩვენ არ დავუშვებთ რაიმე გაუგებრობას“ — განაცხადა ანრი პერლომ, უეფას წარმომადგენელმა. ასე რომ, უეფას ახალი გადაწყვეტილების თანახმად რუსეთი ანდორას 31 მარტს ვლადიკავკაზში კი არა, მოსკოვში უმასპინძლებს.

სიერა ლეონე აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ აფრიკის თასის გათამაშებიდან მოხსნა. დისკვალიფიკაციის მიზეზი ისაა, რომ სამოქალაქო ომით გატანჯულმა ქვეყანამ ვერ შეძლო, დროზე ჩაეტარებინა კალენდრით დაგეგმილი შესარჩევი მატჩი გვინეასთან. ეს უკვე ზედიზედ მეორედ მოხდა, რომ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ სიერა ლეონე გათამაშებიდან დაითხოვა.

შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ქვეყნის ნაკრებში ცვლილებაა — ტრავმირებულ მცველის როლანდ ნილსონის და დაშავებული თავდამსხმელის იესპერ ბლომკვისტის ნაცვლად გუნდში ანდრეას იაკობსონი და იკსელ ოსმანოვსკი მიიწვიეს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შაბათს შვედეთი ლუქსემბურგს ხვდება. „ჰელსინგბორგის“ მოთამაშე იაკობსონმა „ქოვენთრის“ ნეკნებდამტვრეული მცველი როლანდ ნილსონი შეცვალა, იტალიის „ბარის“ თავდამსხმელმა ოსმანოვსკიმ კი — „მანჩესტერ იუნაიტედის“ მუხლმტკივანი იესპერ ბლომკვისტი.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაციაში ქვეყნის თასის გათამაშების მერვედფინალების კენჭისყრა შედგა: ბნეი იეჰუდა — ფეთახ თიქვას მაქაბი, იერუსალიმის ჰაპოელი — ქფარ სავას აპოელი ან აქრის მაქაბი, ჰაიფას ჰაპოელი — აშდოდის ირონი, ერზლის მაქაბი — ბიტ შანის ჰაპოელი, რიშონის ირონი — იერუსალიმის ბეითარი, ჰაიფას მაქაბი ან ბათ იამის ჰაპოელი — ჰოლონის ზაფრირიმი, თელ ავივის მაქაბი — ფეხათ თიქვას ჰაპოელი, ბეერშევას ჰაპოელი — თელ ავივის ჰაპოელი. მატჩები 10 აპრილს გაიმართება, ხოლო მეთექვსმეტედფინალის დარჩენილი გადათამაშებები — 30 მარტს.

ჰოლანდიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ბრედას“ მწვრთნელი რონალდ შპელბოსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. „ბრედა“ ქვეყნის პირველობის ერთპიროვნული მაჩანჩალაა და მისი მდგომარეობა იმდენად უიმედოა, რომ, ალბათ, უმაღლესი ლიგიდანაც გავარდება. შეგახსენებთ, რომ „ბრედაში“ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი არჩილ არველაძე თამაშობს.

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

ისევ ქვევით

გუშინ, ოთხშაბათს ფიფას რეიტინგი 59-ედ გამოქვეყნდა. კლასიფიკაციაში, როგორც ყოველთვის, ცვლილებები ახლაცაა იმ გუნდების რიცხვმა, რომელთაც ოფიციალურ მატჩებში ქულები დაერიცხათ, 200-ს გადააჭარბა.

რეიტინგის სათავეში დიდი ცვლილებები არაა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ბრაზილია კვლავ პირველ ადგილზეა, მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი კი მეორეზეა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, უკრაინასთან, თბილისში წაგების შემდეგ ორი საფეხურით დაიწია და ახლა 54-ეა.

ახალი რეიტინგი 21 აპრილს გამოქვეყნდება.

1.	ბრაზილია	824	32.	ისრაელი	572
2.	საფრანგეთი	786		ეგვიპტე	572
3.	ხორვატია	738	34.	საბერძნეთი	569
4.	იტალია	737	35.	უკრაინა	565
5.	გერმანია	734	36.	კორეა	563
6.	არგენტინა	731	37.	საუდეთი	562
7.	ჩეხეთი	726		იაპონია	562
8.	ჰოლანდია	712	39.	ზამბია	560
9.	ესპანეთი	704	40.	იამაიკა	558
10.	რუმინეთი	697	41.	ირლანდია	547
11.	ინგლისი	693	42.	განა	542
12.	მექსიკა	687		კოტ დივუარი	542
13.	ნორვეგია	674	44.	ირანი	532
14.	შვედეთი	656		კამერუნი	532
15.	იუგოსლავია	650	46.	თურქეთი	530
	დანია	650	47.	უნგრეთი	528
17.	პორტუგალია	637	48.	ქუვეითი	521
18.	ავსტრია	635	49.	ლიტვა	520
19.	მაროკო	627	50.	ბოლივია	519
20.	პარაგვაი	612	51.	ავსტრალია	514
21.	ჩილე	610	52.	ჩინეთი	510
22.	ბელგია	604	53.	ფინეთი	509
23.	აშშ	603	54.	საქართველო	508
24.	ს. აფრიკა	599	55.	ისლანდია	504
25.	სლოვაკეთი	597		ეკვადორი	504
26.	შოტლანდია	595	57.	ზაირი	502
27.	პოლონეთი	590	58.	საამიროები	501
28.	კოლუმბია	588	59.	ნიგერია	491
29.	ტუნისი	585		ანგოლა	491
30.	ბულგარეთი	579		კვიპროსი	491
31.	რუსეთი	573			

რაც იყო, იყო...



ინგლისელებმა იციან წარსულის პატივისცემა. ამით სულაც არ გვსურს იმის თქმა, თითქოს სხვა ერებს წარსული არ აინტერესებთ, მაგრამ ინგლისელებში ეს გრძნობა ყველაზე მეტად შეიმჩნევა.

წლეულს, 15 აპრილს, ათი წელი სრულდება „ჰილსბროს“ ცნობილი ტრაგედიიდან. 1989 წლის 15 აპრილს, მაშინ, როცა ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „შეფილდ უენსდეის“ „ლივერპულისთვის“ უნდა ემასპინძლა, მატჩამდე ტრაგედია დატრიალდა — სტადიონის თანამშრომელთა დაუდევრობის შედეგად 96 გულშემატკივარი დაიღუპა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ამაზე სისხლიანი შემთხვევები ძალიან ცოტა ახსოვს.

— ჩვენ გვინდა იმ გულშემატკივრების სახელები უკვდავყოთ, რომლებიც ათი წლის წინ დაიღუპნენ. 1989, წლის 15 აპრილი ინგლისური და მსოლიო ფეხბურთის ისტორიაში მუდამ დარჩება ერთ-ერთ ყველაზე სევდიან დღედ. ჩვენ პრემიერლიგის ყველა კლუბს ვთხოვეთ, მატჩის წინ მათთვის წუთიერი დუმილით პატივი მეგოთ — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა მაიკ ფოსტერმა.

გადაწყდა: 17-18 აპრილს, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩების დაწყებამდე, ყველანი წუთიერი დუმილით კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს დაღუპულ ფანებს. ხალხი გარდაცვლილ ქომაგებს ასოციაციის თასის ნახევარფინალების წინაც გაიხსენებს — 11 აპრილს, მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ „ნიუკასლის“ და „ტოტენჰემის“ და იმავე დღეს ბირმინგემში, „ვილა პარკზე“ „მანჩესტერის“ და „არსენალის“ შეხვედრის წინ.

... 1989 , წლის 15 აპრილი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი დღეა ინგლისური ფეხბურთის თითქმის 150-წლიან ისტორიაში.

კოტე ვაიტაძე

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ზღაპრული იდეა ჩიხში

მადრიდის „რეალი“ რომ კრიზისშია, ამაზე ყველაზე კარგად ფაქტები მეტყველებენ. რასაკვირველია, „სამეფო კლუბის“ ბანაკი ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იბრძვის და ერთგვარი „აღმშენებლობის პროგრამაც“ შექმნა, რაც გუნდის მოღონიერებას და მომავალ წარმატებებს ითვალისწინებს. ამ პროგრამის განხორციელებისთვის, ბუნებრივია, ფულია საჭირო, დიდი ფული. ჰოდა, „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსსაც ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწია — 40 მილიონი დოლარი გამოყო. მადრიდელი სელექციონერებიც დაფაცურდნენ და თვალი მსოფლიოს უძლიერეს მარჯვენა და, ალბათ, საერთოდ მცველ ლილიან ტურამს დაადგეს, რომელიც დღესდღეობით იტალიური „პარმას“ ღირსებას იცავს. ფრანგი უკანახაზელის შეძენა ასევე მილანის „ინტერს“ და კიდევ რამდენიმე გიგანტს სურს, მაგრამ „რეალი“ განსაკუთრებით აქტიურობს. მიუხედავად ამისა, გუშინდელ საგაზეთო ინტერვიუში სანსმა წუწუნი მორთო, ტურამი კი ძალიან გვინდა, მაგრამ ძვირი გვიჯდება და არ ვიცი, რა როგორ იქნებაო.

— ტურამი ის ფეხბურთელია, რომელზეც პირადად მე ვოცნებობ, თუმცა იგი სასწაულად ბევრს, სეზონში 500 მილიონ პესეტას (3,28 მილიონი დოლარი) ითხოვს. ამხელა ფულის გადახდა კი „რეალს“ ჯერჯერობით არ ძალუძს — თქვა პრეზიდენტმა და დაამატა — გარკვეული თანხა გამოვყავით, მაგრამ აქ ერთიც არის — ამჟამად კლუბში ბევრი ვარსკვლავია, მათ ჩვენთან გრძელვადიანი კონტრაქტები აკავშირებთ, ანუ ახალ მოთამაშეთა შესყიდვასთან ერთად, მათი შენახვაც მოგვიწევს, რაც მეტად და მეტად გაგვიჭირდება.

ერთი მხრივ სანსი მართალია, ამდენი მსოფლიო დონის ფეხბურთელის ყოველმხრივ უზრუნველყოფა ძალიან რთულია. თუმცა, ისევე როგორც ყველა საკითხს, ამასაც აქვს მეორე მხარე — გუს ჰიდინკის შექმნილი, მისი გემოვნებით ჩამოყალიბებული გუნდი ახლა არანაკლებ სახელოვანი ჯონ ტოშაკის ხელშია. უელსელი სპეციალისტს კი თავისი შეხედულებები, გეგმები და ამბიციები

ლილიან ტურამს „რეალი“ ეპატიჟება

სარგბილის არქივიდან

გააჩნია. მის სქემაში დღეს „რეალში“ მოთამაშე ვარსკვლავთა უმრავლესობა არ ჯდება, ალბათ, არც ტურამის პოზიციაზე მოთამაშე კრისტიან პანუჩი და ამიტომ სურს ფრანგი მცველის და სხვათა გადაბირება.

აქ ჩვენ ისევ პირველ მხარეს დავუბრუნდით — რა უყოს სანსმა ამდენ გაზულუქებულ ფეხბურთელს? მათთან ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელს ხომ საკმაოდ ხანგრძლივი ხელშეკრულებები აკავშირებს. აქედან გამომდინარე, კლუბებს, რომლებიც ტოშაკის გეგმაში ვერმოხვედრილ მოთამაშეებს დაადგამენ თვალს, უზარმაზარი თანხის გადახდა მოუწევთ, რაც ნაკლებად, ვინმეს სურდეს.

ასე რომ, „რეალს“ დიდი გეგმები აქვს, მაგრამ მისი განხორციელება წესით ძალიან უნდა გაუჭირდეს. ისე, ერთ მხარეს რობერტო კარლოსი, მეორე მხარეს ლილიან ტურამი, მართლაც ზღაპრული იდეაა.

დავით კოვზირიძე

აურზაური ანელკას ირგვლივ

ნიკოლა ანელკა

„იუვენტუსმა“ ნიკოლა ანელკახ დაადგა თვალი. იტალიის ჩემპიონი მზადაა, ინგლისის ჩემპიონ „არსენალს“ ნიჭიერი ფორვარდის სანაცვლოდ 20 მილიონი დოლარი გადაუხადოს — ირწმუნება იტალიის ორი წამყვანი გამოცემა, „კორიერე დელო სპორტი“ და „ლა გაძეტა დელო სპორტი“.

ანელკას ტურინულ კლუბში გადასვლაზე ამ ერთი თვის წინ ახალგაზრდა თავდამსხმელს და ზინედინ ზიდანსაც უსაუბრიათ, როდესაც ერთმანეთს ლონდონურ შეკრებაზე შეხვედრიან (მაშინ ფრანგებმა ინგლისელებს 2:0 მოუგეს ამხანაგურ მატჩში და ორივე გოლი სწორედ ანელკამ გაიტანა).

19 წლის ფრანგის აპენინებზე გადაბარგების თაობაზე „იუვენტუსის“ პრესმდივანს დაეკითხნენ და მან თქვა:

— გადაჭრით ამ თემაზე საუბარი ნაადრევია. ნახევარი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს ამ ბიჭს თვალს, მათ შორის, ჩვენც.

„კორიერე დელო სპორტის“ განცხადებით, ანელკა ყაბულსაა, „იუვენტუსთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმოს და თანამემულეებთან — ზიდანთან, დიდიე დეშამთან, ტიერი ანრისთან ერთად გააგრძელოს კარიერა.

ამავდროულად ყმაწვილის ამჟამინდელი კლუბი ლონდონის „არსენალი“ არასდიდებით არ აპირებს ანელკას გაშვებას. მიზეზი ნათელია: ფრანგი კლუბის წამყვან ფეხბურთელად ითვლება, კლუბისა, რომელიც შარშანდელ წარმატებასთან — ასოციაციის თასის დასაკუთრებასა და ინგლისის ჩემპიონობასთან კვლავაც ძალიან ახლოსაა. „არსენალმა“ უკვე სტკიცა უარი რამდენიმე ესპანურ კლუბს და „მარსელს“, რომელმაც მას 16 მილიონი დოლარი შესთავაზა.

ამხანაგური მატჩი 31 მარტი

იაპონია - ბრაზილია

იაპონიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — იოშიკაცუ კავაგუჩი (იოკოჰამა მარინოსი), ტაკაში შიმოდა (სანფრის ჰიროშიმა), სიეგო ნარაზაკი (ნაგოია გრამპუს ეით); მასამი იჰარა (იოკოჰამა მარინოსი), იტაკა აკიტა, ნაოკი სომა (კაშიმა ანტლერსი), ტოშიჰ იდე საიტო, რიზო მორიოკა (შიმიცუ ესპულსი), ტოშიჰირო ჰატორი (ჯუბილო ივატა), ნობუისა იამადა (ურავა რედ დაიმონსი); ნახევარმცველები — კაზუაკი ტასაკა, მასაჰირო ანდო, ეროიოში იტო (შიმიცუ ესპულსი), ტოშია ფუჯიტა, ჰიროში ნანანი, დაისუკე ოკუ (ჯუბილო ივატა), ჰიდეტოში ნაკატა (პერუჯა, იტალია); თავდამსხმელები — მასაში ნაკაიამა (ჯუბილო ივატა), ვაგნერ ლოპესი (ნაგოია გრამპუს ეით), შოჯი იო (იოკოჰამა მარინოსი), აცუში იანაგიშავა (კაშიმა ანტლერსი)

აქეთ, აქეთ

იტალიის „რომამ“ გადაწყვიტა, პეტერ შმაიხელი შეიძინოს.

რომაული კლუბის ხელმძღვანელობა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დანიელი მეკარის ნათქვამს გამოეხმაურა.

შმაიხელმა რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამ სეზონის ბოლოს უეჭველად დავტოვებ და იტალიურ კლუბებში ვცდი ძალასო. არავინ იცის, მართლა ასე მოიქცევა შმაიხელი თუ არა.

„რომა“ ინგლისის ჩემპიონატის ლიდერ „მანჩესტერს“ დანიელი მეკარის სანაცვლოდ 1,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ეს თანხა ნახევარი მილიონით მეტია, ვიდრე „უდინეზეს“ მიერ შეთავაზებული.

EURO 2000 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

I ჯგუფი. დანია - იტალია

დანიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ტომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი); მცველები — სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), ტომას გრავესენი (ჰამბურგი, გერმანია), იან ჰაინცე (ლევერკუზენის ბაიერი, გერმანია), რენე ჰენრიკსენი (კოპენჰაგენი), იეს ჰოგი (ფენერბახჩე, თურქეთი), კლაუს ტომსენი (ვოლფსბურგი, გერმანია); ნახევარმცველები — ბიარნე გოლდბეკი (ჩელსი, ინგლისი), ტომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), ალან ნილსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), ბრაიან სტინ ნილსენი (კოპენჰაგენი), სტიგ ტოფტინგი (დუისბურგი, გერმანია); თავდამსხმელები — იესპერ გრონკიაერი (აიაქსი, ჰოლანდია), მიკლოშ მოლნარი (სევილია, ესპანეთი), ებე სანდი (ბრონდბიუ), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)

EURO 2000 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

I ჯგუფი. ბელარუსი - შვეიცარია

ბელარუსის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ანდრეი სასუნკევიჩი (მინსკის დინამო), ვალერი შანტალოსოვი (ნიჟნი ნოვგოროდის ლოკომოტივი, რუსეთი), გენადი ტუმილოვიჩი (ჟემჩუჟინა, რუსეთი); მცველები — ერიკ იახიმოვიჩი, ანდრეი ოსტროვსკი (მოსკოვის დინამო, რუსეთი), ანდრეი ლავრიკი, სერგეი გურენკო (მოსკოვის ლოკომოტივი, რუსეთი), ალექსანდრ ლუხვიჩი (ტორპედო, რუსეთი), ედუარდ ბოლტრუშევიჩი (მოგილევის დნეპრ-ტრანსმაში), სერგეი კოვალჩუკი (მინსკის დინამო); ნახევარმცველები — ალექსანდრ ხაცკევიჩი, ვალენტინ ბელკევიჩი (კიევის დინამო, უკრაინა), ვასილი ბარანოვი (სპარტაკი, რუსეთი), ვიაჩესლავ გერაშჩენკო (ნოვოროსიისკის ჩერნომორეცი, რუსეთი), ალექსანდრ ჩაიკა, იგორ ტარლოვსკი (ალანია, რუსეთი), რადისლავ ორლოვსკი (ტორპედო, რუსეთი), ალექსანდრ კულჩიი (მოსკოვის დინამო, რუსეთი), ვადიმ სკრიპჩენკო (ბატე); თავდამსხმელები — ვლადიმირ მაკოვსკი (კიევის დინამო, უკრაინა), ოლეგ პუტილოსი (კაპელენი, ბელგია), მაქსიმ რომაშჩენკო (მოსკოვის დინამო, რუსეთი), ალექსანდრ ვიაჟევიჩი (მინსკის დინამო).

EURO 2000 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

III ჯგუფი. ფინეთი - გერმანია

ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ოსკარ მოენსი (ალკმაარი), ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი); მცველები — ფრანკ დე ბური, მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკ ვან ჰინტუმი (ვიტესი), იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), კიის ვან ვონდერენი (ფეიენოორდი); ნახევარმცველები — რონალდ დე ბური, ფილიპ კოკუ, ბუდეკინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), კლარენს ზეედორფი (რეალი, ესპანეთი), ჟან ჰოლ ვან გასტელი (ფეიენოორდი); თავდამსხმელები — დენის ბერხკამპი, მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი), დრის ბუსატა (ალკმაარი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), მიხაელ მოლსი (უტრეხტი), რუდ ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი), პეტერ ვან ფოსენი (ფეიენოორდი)

EURO 2000 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

III ჯგუფი. თურქეთი - მოლდოვა

თურქეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — რუსტუ რეჭბერი (ფენერბახჩე), ენგინ იპეკოღლუ (დარდანელსფორი); მცველები — ალფაი ოზალანი (ბეშიქთაში), ჰაქან უნსალი, ფათიხ აქიელი (გალათასარაი), მერტ ქორქმაზი (ქოჯაელისფორი), ოგუნ თემიზქანოღლუ (ტრაბზონსფორი); ნახევარმცველები — ტაიფურ ჰავუზუ (ბეშიქთაში), ოქან ბურუქი, თუგაი ქერიმოღლუ, არიფ ერდემი (გალათასარაი), ტაიფუნ ქორქუთი, სერგენ იალჩინი (ფენერბახჩე), აბდულა ერქანი (ტრაბზონსფორი); თავდამსხმელები — ჰაქან შუქური (გალათასარაი), ოქთაილ დერელიოღლუ, აიჰან აქმანი (ბეშიქთაში), ჰამი მანდირალი (შალკე 04, გერმანია).

აფრიკის თასი 10 აპრილი. გაბონი - ს. აფრიკა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიპსი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია); მცველები — მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი), მაიკლ მანზინი (მამელოდი სანდაუნსი), აარონ მოკოენა (აიაქსი, ჰოლანდია), ლუკას რადებე (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი); ნახევარმცველები — კვინტონ ფორტუნი (ატლეტიკო, ესპანეთი), ჟოელ მასილელა (მამელოდი სანდაუნსი), ელმან მკალელე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ტაბო მნგომენი, ჯონ მოეტი (ორლანდო პაირატსი), ჯეტრო მოლალა (მამელოდი სანდაუნსი), გოდფრეი საპულა (იომო კოსმოსი); თავდამსხმელები — შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ფილ მასინგა (ბარი, იტალია), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია), პოლენ ნდლენია (კაიზერ ჩიპსი)

ამხანაგური მატჩი 31 მარტი. ჰოლანდია - არგენტინა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიპსი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია); მცველები — მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი), მაიკლ მანზინი (მამელოდი სანდაუნსი), აარონ მოკოენა (აიაქსი, ჰოლანდია), ლუკას რადებე (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი); ნახევარმცველები — კვინტონ ფორტუნი (ატლეტიკო, ესპანეთი), ჟოელ მასილელა (მამელოდი სანდაუნსი), ელმან მკალელე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ტაბო მნგომენი, ჯონ მოეტი (ორლანდო პაირატსი), ჯეტრო მოლალა (მამელოდი სანდაუნსი), გოდფრეი საპულა (იომო კოსმოსი); თავდამსხმელები — შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ფილ მასინგა (ბარი, იტალია), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია), პოლენ ნდლენია (კაიზერ ჩიპსი)

ამხანაგური მატჩი 31 მარტი. ჰოლანდია - არგენტინა

არგენტინის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ალბანო ბისარი (რეალი, ესპანეთი), კარლოს როა (მალიორკა, ესპანეთი); მცველები — რობერტო აიალა (მილანი, იტალია), გუსტავო ლომბარდი (რივერ პლეიტი), მაურისიო პელეგრინო (ბარსელონა, ესპანეთი), მაურისიო პინედო, გუსტავო სივიერო (მალიორკა, ესპანეთი), მაურისიო პოჩეტინიო (ესპანიოლი, ესპანეთი), რობერტო სენსინი (პარმა, იტალია), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია); ნახევარმცველები — ანდრეს გუგლიენმინპიეტრო (მილანი, იტალია), დიეგო კანია (ბოკა ხუნიორსი), ფერნანდო რედონდო (რეალი, ესპანეთი), ფედერიკო ლუსენჰოფი (ტენერიფე, ესპანეთი), ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი), ხუან ვერონი (პარმა, იტალია), კრისტიან გონსალესი (სარაგოსა, ესპანეთი); თავდამსხმელები — არიელ ორტეგა (სამპდორია, იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა, იტალია), ერნან კრესპო (პარმა, იტალია), გუსტავო ლოპესი (სარაგოსა, ესპანეთი), კლაუდიო ლოპესი (ვალენსია, ესპანეთი)

გამანეგზეთ თავი! რა მინდა იქ?

ჩილელი თავდამსხმელი ივან სამორანო ესპანეთში არაფრისდიდებით არ დაბრუნდება. მილანის „ინტერის“ ფორვარდს მადრიდის „ატლეტიკო“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა ტრანსფერი იუარა.

ვინ იყო სამორანო სანამ ევროპაში გადაბარგდებოდა? ივან სამორანო იყო კარგი თავდამსხმელი, მაგრამ არც ისე ცნობილი. ჩილელმა ფორვარდმა სახელი ბებერ კონტინენტზე სწორედ მაშინ დაიგდო, როცა მადრიდში ჩავიდა. თავდაპირველად სამხრეთამერიკელს „რეალში“ გაუჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერს ალღო აუღო და „რეალის“ ლიდერიც გახდა.

— „რეალში“ გატარებული წლები ტკბილად მაგონდება, მაგრამ მიჯობს, „ინტერში“ დავრჩე. დღესდღეობით ჩემთვის ასე უკეთესია. პირადად მე უპირველეს მიზნად მიმაჩნია მომავალ სეზონში „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი — განაცხადა სამორანომ.

ივან სამორანო მილანიდან არსადაც არ წავა

„ატლეტიკო“ თავდამსხმელში 12 მილიონ დოლარს იხდიდა. მოგეხსენებათ, მადრიდულ კლუბს დღეს ძალიან უჭირს და მშველელის ძიებაშია, ასეთად კი ხესუს ხილი ხილს, კლუბის პრეზიდენტს, როგორც ჩანს, სამორანო ესახება.

12 მილიონი დოლარი მართლაც ძალიან დიდი თანხაა, მილანის „ინტერი“ კი ის კლუბია, დიდ ფულთან ურთიერთობა რომ უყვარს.

— ჩვენ განვიხილავთ ესპანელთა წინადადებას, აზრს თავად ფეხბურთელსაც დავეკითხებით და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ — თქვა სანდრო მაცოლამ, „ინტერის“ ტრანსფერთა გამგებელმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კლუბი სამორანოს „ატლეტიკოში“ გადასვლაზე თანახმა ყოფილა, მაგრამ ფეხბურთელს შეუთვლია უარი.

... 1995 წელი ივან სამორანოს კარიერაში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო — მაშინ ჩილელმა თავდამსხმელმა, რომელიც ჯერ კიდევ მადრიდის „რეალში“ თამაშობდა, პრიმერა დივიზიონი მოიგო და ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირობაც არავის დაანება.

ირაკლი ილაშვილი

REUTERS მადრიდიდან

რადომირ ანტიჩი „ატლეტიკოს“ დაუბრუნდა

კარგად ნაცნობი ძველი

ესპანეთი. მადრიდი. პასეო ვირხენ დელ პუერტოს 67. „ატლეტიკოს“ ოფისი. დაუძლურებული მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა ჟურნალისტებს კლუბის ახალ, მაგრამ უკვე კარგად ნაცნობ მწვრთნელს წარუდგენს.

სერბი რადომირ ანტიჩი ორშაბათს მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელად დაინიშნა. თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ ანტიჩის და „ატლეტიკოს“ გზები კვლავ გადაიკვეთა. 1998 წლის გაზაფხულზე „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა ანტიჩი საკით შეცვალა. დღეს კი...

— ჩვენ კვლავ ერთად ვართ, რათა წარმატებებს მივაღწიოთ. წინასწარ ძნელია რამის თქმა, თუმცა არც მომავლის განჭვრეტაა მაინცდამაინც რთული — „ატლეტიკომ“ უეფას თასი აუცილებლად უნდა მოიგოს — ასეთი გახლდათ „მეორედ მოსული“ რადომირ ანტიჩის პირველი სიტყვები.

1995 წლის ზაფხულში, როცა იგი პირველად დაინიშნა „ატლეტიკოს“ მწვრთნელად, პირველივე სეზონი ხელოვანიანი გამოდგა — გუნდი 1977 წლის შემდეგ პირველად გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ხოლო თასი ოთხწლიანი შესვენების შემდეგ მოიპოვა. შესანიშნავი სტარტი, თუმც ფინიში არცოუ სახარბიელო — წარმატებულ სეზონს ორი არც ისე საამაყო ჩემპიონატი მოჰყვა, მერე კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხილი ხილმა ანტიჩი გაუშვა.

„ატლეტიკოდან“ წასულს არსად უმუშავია. სერბი ამას ესპანეთთან საუკეთესოდ შეგუებით ხსნიდა. არც იყო გასაკვირი — მანამდე „სარაგოსას“, „რეალს“, „ოვიედოს“ წვრთნიდა. 10 წელიწადი პირინეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდა და სხვაგან წასვლა ვერ წარმოედგინა. იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელობას სთავაზობდნენ — იუარა. ერთი სიტყვით, მანამდე გახლდათ უმუშევარი, სანამ „ატლეტიკო“ არ შეეხმიანა.

— დიდხანს ვიფიქრეთ, სანამ ანტიჩს შევეხმიანებოდით, უამრავი კანდიდატურა გადავსინჯეთ და ყველაზე მისაღებად იგი მივიჩნიეთ. მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელებულა — ჩვენი ინტერესები ემთხვეოდა — ენრიკე სერეზო ტორე მადრიდის „ატლეტიკოს“ ვიცე-პრეზიდენტია.

...მიმდინარე ჩემპიონატში რადომირ ანტიჩი „ატლეტიკოს“ მესამე მწვრთნელი იქნება. წარმოგიდგენიათ? ასეთი სახელოვანი კლუბი სეზონში მწვრთნელებს ხელთათმანებივით იცვლიდეს. რაა გასაკვირი? — არაფერი. როცა გუნდის პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი ან მისდაგვარი ორიგინალური კაცია, მუდმივი ცვლილება ნურავის განაცვიფრებს. მესამე მწვრთნელიო, ვამბობთ და გვიკვირს — 1993-94 წლების სეზონში მადრიდის „ატლეტიკოს“ არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი (!) სხვა და სხვა პიროვნება თავკაცობდა. დიახ, ექვსი! და საერთოდ, სეზონში სამი მწვრთნელი ხილი ხილისთვის ლამის ჩვეულებრივი ამბავია — მისი „ატლეტიკოში“ მოღვაწეობის მანძილზე, ეს კი 1987 წლიდან იწყება, გუნდს თავკაცი 31-ჯერ გამეცვალა. ცვლილება აუცილებელი კია, მაგრამ ხანდახან მცირედი ერთფეროვნებაც საჭიროა.

აქ დავამთავროთ. რადომირ ანტიჩი „ატლეტიკოს“ დაუბრუნდა. ბოლო ათწლეულში გუნდისთვის იმდენი წარმატება, რამდენიც ანტიჩმა „ატლეტიკოს“ არგუნა, არავის მოუტანია. რას იზამს ახლა?

ვახშმობისას გაწვდილი ხელი

შვედი სვენ გორან ერიკსონი და იტალიელი სერჯო კრანიოტი რომის ერთ-ერთ რესტორანში ვახშმობისას შეთანხმდნენ, რომ პირველი, მეორეს საფეხბურთო კლუბის მწვრთნელად 2002 წლის 30 ივნისამდე დარჩება. სხვა სიტყვებით, 51 წლის ერიკსონმა იტალიის პირველობის ლიდერთან, რომის „ლაციოსთან“ ხელშეკრულება სამი წლით გააგრძელა.



სვენ გორან ერიკსონი

„მართალია, ოფიციალურ საბუთზე ჯერ ხელი არ მომწერია, მაგრამ ჩვენ შეეთანხმდით. „ლაციოს“ სათავეში 2002 წლის ივნისამდე დავრჩები“ — განაცხადა შვედმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

როგორც მოგახსენეთ, „ლაციო“ სერია A-ს ცხრილის სათავეშია. იგი ხუთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, „ფიორენტინას“ და ახლოა იმასთან, რომ 25-წლიანი ლოდინის შემდეგ მეორედ მოიპოვოს სკუდეტო, ანუ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

„რომ ვთქვა, ბედნიერი ვარო, აზრი არ აქვს. ეს სიტყვები არ გამოხატავს ჩემს გრძნობას. მე ხომ ორი სეზონის განმავლობაში ვიბრძოდი ამისთვის და არასდროს დამიმალია, რომ თანამდებობაზე დარჩენის უდიდესი სურვილი მქონდა“ — გულწრფელად აღიარა ერიკსონმა.

კონტრაქტის განახლება ხშირად შემოსავლის გაზრდის ტოლფასია. როგორც ამბობენ, ასეა ერიკსონის შემთხვევაშიც: მისი დღევანდელი ხელფასი ორმაგდება და სამი წლის განმავლობაში 12 მილიარდ ლირას ანუ 6,7 მილიონ დოლარს შეადგენს.

„მე და პრეზიდენტმა კრანიოტიმ მოვილაპარაკეთ, რომ მტკიცედ უნდა გავაგრძოთ იმ გზაზე სვლა, რომელსაც დღეს ვადგავართ. ჩვენი მიზანია, კლუბი უფრო და უფრო ძლიერი გავხადოთ“ — დასძინა მწვრთნელმა, რომლის შესახებაც ამბობდნენ, მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებოდაო.

„რამდენიმე კლუბმა მართლაც გამოთქვა ჩემი სამსახურში აყვანის სურვილი“ — განმარტა ერიკსონმა — „ხომ იცით, როგორია ჩვენი პროფესიის ხალხის ბედი. როდესაც საქმე მთლად კარგად არ მიდის, ტელეფონი დუმს, თითქოს სულ არ არსებობსო, მაგრამ როგორც კი წარმატებული პერიოდი დადგება, ზარი ერთი წუთითაც არ წყდება“.

პაპუნა კედია

ზინედინ ზიდანი დაშავდა

რიკარდო აგრიკოლა, „იუვენტუსის“ ექიმი: „ზინედინ ზიდანი ტრავმირებულია და იგი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ვიმედოვნებთ, რომ ზიდანი საპასუხო შეხვედრამდე გამოჯანმრთელდება“.

მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ზიდანი არა მარტო „იუვენტუსს“, არამედ მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებს, საფრანგეთის პირველ გუნდსაც დააკლდა. მოგეხსენებათ, მარტის მიწურულს კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებია, საფრანგეთს კი უპრინციპულესი შეხვედრა აქვთ შინ უკრაინასთან.

— საწყენია, ზიდანი რომ ვერ დაგვეხმარება, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. ვფიქრობთ, შევძლებთ დანაკარგის ანაზღაურებას — განაცხადა როჟე ლემერმა, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა.

თუ ფრანგულ პრესას ვენდობით, საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებლად უკრაინასთან მატჩში, ალბათ, „მარსელის“ რობერტ პირესი მოგვევლინება.

ზიდანი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ საპასუხო მატჩში დაშავდა.

— მალამოს ყოველ დღე დავადებთ, მაგრამ ტრავმის განკურნებას მინიმუმ ათი დღე დასჭირდება. ცხადია, „იუვენტუსს“ ზიდანი ძალიან დააკლდება, მაგრამ ვიმედოვნებთ, გუნდი მანჩესტერში სასურველი შედეგის მიღწევას შეძლებს — ისევ აგრიკოლა.

...ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „იუვენტუსი“ ჯგუფურ ტურნირში შეხვდნენ ერმანეთს. მაშინ, „ოლდ ტრეფორდზე?“ ინგლისელებმა 3:2 იმარჯვეს, ზიდანმა კი მატჩის უკანასკნელ წუთზე შესანიშნავი ჯარიმა გაიტანა.

კოტე ვაიტაძე



ინგლისი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ბარნსლი 2:0 ბრისტოლი

1:0 დაიერი (32), 2:0 ჰინეტი (88)

პორტ ვეილი 0:1 გრიმსბი

0:1 გროუვზი (71)

სანდერლენდი	38	25	10	3	74:23	85
იფსვიჩი	38	22	7	9	54:25	73
ბრედფორდი	37	21	7	9	63:38	70
ბირმინგემი	38	19	11	8	59:31	68
ბოლტონი	37	17	13	7	68:50	64
ვულვზი	37	16	11	10	53:37	59
შეფილდ იუნ.	37	15	11	11	60:54	56
უოტფორდი	38	14	13	11	51:50	55
ჰადერსფილდი	38	14	12	12	54:60	54
ვესტ ბრომვიჩი	38	15	8	15	61:59	53
გრიმსბი	36	15	8	13	36:39	53
კრ. პალასი	38	12	13	13	52:59	49
ნორვიჩი	37	12	13	12	50:51	49
ტრანმერი	38	10	16	12	50:51	46
ბარნსლი	38	10	15	13	46:46	45
სტოკპორტი	38	10	15	13	43:47	45
პორტსმუთი	38	10	13	15	49:57	43
სვინდონი	38	10	10	18	51:67	40
ქუინზ პარკი	37	10	10	17	41:47	40
ბერი	38	7	15	16	29:51	36
პორტ ვეილი	37	10	5	22	38:68	35
ოქსფორდი	38	8	11	19	37:62	35
ქრიუ	36	8	9	19	43:63	33
ბრისტოლი	37	5	14	18	45:70	29

ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩი

როდა 2:1 ჰერენვენი

1:0 ვან დერ ლუერი (21), 1:1 ტალანი (52), 2:1 ვან უდტი (63)

ფეიენოორდი	24	18	4	2	58:25	58
ვიტესი	25	15	5	5	48:30	50
ეინდჰოვენი	25	13	7	5	62:38	46
ტილბურგი	26	14	4	8	49:39	46
აიაქსი	25	12	8	5	53:25	44
როდა	25	13	5	7	47:32	44
ტვენტე	26	12	7	7	40:33	43
ჰერენვენი	26	11	9	6	44:33	42
ალმაარი	25	9	11	5	40:41	38
სიტარდი	25	9	6	10	34:38	33
უტრეხტი	26	9	6	11	46:48	33
ნაიმეგენი	25	7	8	10	32:40	29
კამბური	25	6	7	12	27:48	25
მაასტრიხტი	25	5	7	13	30:47	22
გრაფსხაპი	25	4	10	11	25:43	22
სპარტა	25	5	3	17	25:54	18
ვალვაიკი	26	3	6	17	27:51	15
ბრედა	25	3	5	17	25:46	14

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ბელგრადში ფეხბურთი ჯერ არ გაიმართება

უეფამ დიდი ყოყმანის შემდეგ მაინც თამაშების გადადება ამჯობინა. საუბარია ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მერვე შესარჩევი ჯგუფის ორ შეხვედრაზე, რომლებიც იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში უნდა გამართულიყო. პირველი შეხვედრა იუგოსლავიასა და ხორვატიას შორის შაბათს იყო დანიშნული, ხოლო მეორე, სადაც იუგოსლავიელებს მაკედონიის ნაკრებისთვის უნდა ემასპინძლათ, შემდეგ ოთხშაბათს.

ბჭობის საგანი გახლდათ იმავე ჯგუფის კიდევ ერთი მატჩი. იგი იუგოსლავია — ხორვატიის პარალელურად, შაბათს უნდა შემდგარიყო: მაკედონია — ირლანდია. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ამ მატჩთან დაკავშირებითაც იგივე თქვა და განაცხადა, რომ მაკედონიელთა და ირლანდიელთა შეხვედრა ასევე უნდა გადაიდოს.

ირლანდიელები უეფას გადაწყვეტილების შეტყობამდე ძალიან ნერვიულობდნენ. ქვეყნის ხელისუფლება მოსახლეობას შინ დარჩენას მოუწოდებდა, სთხოვდა თუ მატჩი ჩატარდებოდა გუნდთან ერთად სკოპიეში არ წასულიყვნენ.

გადადებულ თამაშები, 18 ავგისტოსა და 4 სექტემბერს გაიმართება, ანუ 18 აგვისტოს აუგოსლავია ხორვატიას უმასპინძლებს, მაკედონია ირლანდიას, ხოლო 4 სექტემბერს იუგოსლავია მაკეოდნიას.

„ასეთი გადაწყვეტილება იუგოსლავიაში შექმნილი მერყევი პოლიტიკური მდგომარეობის გამო მივიღეთ“ — გავრცელა უეფამ ოფიციალური განცხადება.

მოგეხსენებათ, კოსოვოს გადაუჭრელი პრობლემის გამო შესაძლოა ნატოს საჰაერო ძალებმა იუგოსლავიის სამხედრო ობიექტები დაბომბონ, თუმცა დაბომბვის თარიღი ზუსტად არ დაუსახელებიათ. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, დაბომბვის ოთხშაბათსაც არ არის გამორიცხულიო. ასეა თუ ისე, ომში ფეხბურთის თამაში გაუმართლებელია და მიტომ უეფას გადაწყვეტილება სწორად უნდა მივიჩნიოთ.

ბრაიან კიდი

მიუშვით საჭესთან რობსონი

ბობი რობსონმა თქვა კევინ კიგანს ინგლისის ნაკრების სათავეში ყოფნის ოთხმატჩიანი ვადა რომ გაუვა თანამდებობას სიამოვნებით დავიბრუნებო.

რობსონი 66 წლისაა. დღეს იგი ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს“ უდგას სათავეში, მაგრამ სეზონის ბოლოს ანუ სლ



ბობი რობსონი

რაღაც ორ თვეში ხელშეკრულების ვადა გაუვა.

ინგლისური „დეილი ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „უცხოეთში გატარებული ცხრა წლის შემდეგ შინ ვბრუნდები და სიამოვნებით ჩავუდგებოდი კიდეც სათავეში ნაკრებს. გულწრფელად გეტყვით, როგორც მწვრთნელი ახლა უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე ეროვნულ გუნდში პირველად მუშაობის დროს ვიყავი. ძალიან კარგი იქნებოდა თუ საქმეს ორი წლით მანდობდნენ, ხოლო ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთის ასოციაცია ხანგრძლივი კონტრაქტისთვის ახალგაზრდა მწვრთნელს შეიგულებდა და გამოზრდიდა“.

მოგეხსენებათ კევინ კიგანი, რომელიც შეთანხმებისამებრ ოთხი მატჩით გახდა ეროვნული გუნდის თავკაცი, როგორც კი საშუალება მიეცემა იმეორებს, რომ ვადის გასვლის მერე ახალი ხელშეკრულების დადებას არ აპირებს და მთელი ენერგია უნდა შეალიოს თავის კლუბს, „ფულემს“, რომელიც მეორე დივიზიონიდან პირველში გადასასვლელად იბრძვის.

რობსონი ფეხბურთელობისას 1950-იან წლებსა და 60-იანი წლების დასაწყისში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში, ხოლო 1982-90 წლებში მისი მწვრთნელი იყო. რობსონის ხელმძღვანელობით ინგლისელებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშეს, სადაც გერმანიასთან თერთმეტმეტრიანებით წააგეს.

რობსონის ბოლო შეხვედრა ეროვნული გუნდის მწვრთნელის რანგში გახლდათ იმავე შეჯიბრების მატჩი იტალიის ნაკრების წინააღმდეგ, რომელშიც მესამე ადგილის ბედი წყდებოდა. ინგლისელებმა 1:2 წააგეს.

მას მერე გამოცდილი სპეციალისტი ორჯერ მუშაობდა „ეინდჰოვენში“, თითოჯერ ლისაბონის „სპორტინგში“, „პორტუსა“ და „ბარსელონაში“. მისმა გუნდებმა მოიპოვეს ჰოლანდიისა და პორტუგალიის ჩემპიონის ტიტულები, ხოლო „ბარსელონამ“ 1997 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო.

რა ვქნათ, რა ჩვენი ბრალია?

REUTERS ბარი ზიდან

ეგიდიუს ბრაუნი დანიელ ნიველს საფრანგეთში ესტუმრა

გერმანელები ცოდვებს ინანიებენ. ეტყობა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში მართლაც კარგი ხალხი მუშაობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმას არ გააკეთებენ, რაც მოიმოქმედეს.

მოდით, უახლოესი წარსული გავიხსენოთ — 1998 წლის ზაფხულში, საფრანგეთში, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი კარგად გახურებული იყო, ტრაგედია დატრიალდა.

21 ივნისს, ლანსში, გერმანიის და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების თამაშის წინ მავანმა გერმანელმა ვაიგულშემატკივრებმა წესრიგის დამცველებთან ანგარიშსწორება განიზრახეს და პოლიციელებს გამეტებით ეკვეთნენ. ეიფორიაში მყოფი შეზარხოშებული გულშემატკივრების ამ სულელურ საქციელს საშინელი რამ მოჰყვა. ამას კინაღამ ფრანგი პოლიციელის, დანიელ ნიველის სიცოცხლე შეეწირა. ფრანგი სამართალდამცავი იმდენად მწარედ მიბეგვეს გერმანელმა ქომაგებმა, რომ იგი შემდეგი ექვსი კვირის მანძილზე კომაში იყო.

ისტორიაში მოკლე ექსკურსი აქ დავამთავროთ და დღევანდელობას დავუბრუნდეთ. ამჟამად დანიელ ნიველი თავს კარგად გრძნობს, საქმეს დაუბრუნდა, თუმცა თუ ადრე რიგითი პოლიციელი გახლდათ, დღეს ლამის საფრანგეთის ეროვნული გმირია.

მაინც რა მოიმოქმედეს გერმანიის ფეხბურთის დიდმოხელეებმა? — ღირშესანიშნავი რამ: გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი ქვეშევრდომებთან ერთად თავად ეწვია დანიელ ნიველს საფრანგეთში და მთელი გერმანელი ხალხის სახელით ბოდიში მოუხადა. ყველაფერ ამასთან ერთად ის 360 ათასი დოლარი გადასცა, ნიველის დასახმარებლად რომ შეაგროვეს გერმანელმა ქომაგებმა. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი საქციელია.

— გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას არ სურს, რომ ეს ინციდენტი სამუდამოდ დარჩეს მის შავ ლაქად. ასეთი შემაძრწუნებელი საქციელი უნდა დაიგმოს და დამნაშავე საკადრისად დაისაჯოს. მადლობა ღმერთს, ნიველი გადარჩა. დღეს ეს ყველაზე მნიშვნელოვანია — განაცხადა ეგიდიუს ბრაუნმა და პოლიციელი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის სახელით დააჯილდოვა.

ნიველს რა უნდა ეთქვა? მან სათქმელი თავის დროზეც თქვა, მიუხედავად ყველაფრისა, გერმანელი ხალხის მიმართ ისევ თბილი დამოკიდებულება მაქვსო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ნამდვილად კარგად მოიქცნენ. რაც შეეხება დამნაშავეებს, მათი სასამართლო პროცესი 30 აპრილს იწყება. უყურადღებოდ არც ეს მოვლენა ჩაიელის.

ირაკლი ილაშვილი

ბრაიან კიდი

კაცი, რომელსაც სიძნელეები და მზიანი დარი უყვარს

დეკემბერში, როდესაც ბრაიან კიდმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლა და „ბლექბერნ როვერსის“ მწვრთნელობა გადაწყვიტა, დიდი ტვირთი მოიკიდა მხრებზე. 1995 წლის ჩემპიონი, ნოემბერში მოხსნილი როი ჰოჯსონის ხელში საცოდავად მილასლასებდა პრემიერლიგაში. ჰოჯსონი „საუთჰემტონთან“ შინ 0:2 წაგების შემდეგ მოხსნეს. საბრალო „როვერსი“ ცხრილის ფსკერზე ესვენა, მის ფეხბურთელებს კი გონებაში ჩაბეჭდვოდათ, რომ ისინი მარად მაჩანჩალები და დამცირებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

დღეს „ბლექბერნი“ მე-17 ადგილზეა, ერთადერთი ქულით აღემატება საშიშ ზონას და ცხადია კვლავაც ხიფათს შეჰყურებს თვალებში, მაგრამ კიდს, რომელიც მაისში 50 წლისა გახდება, ხიფათთან თამაში უყვარს. სხვათაშორის, ამ კაცს მწვრთნელად მუშაობის მხოლოდ ოთხთვიანი გამოცდილება აქვს, 80-იანი წლების შუაში იგი „პრესტონს“ ედგა სათავეში, თუმცა სხვაგვარი გამოცდილებითაა მდიდარი: ბრაიან კიდი რვა წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედში“, ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობდა და უნახავს, როგორ უნდა წარმატებული კლუბის ხელმძღვანელობა. „ბლექბერნის“ ახალი მწვრთნელი აცხადებს, რომ „ივუდ პარკზე“ ფერგიუსონისეული მეთოდების დანერგვა აქვს ჩაფიქრებული. მერე რა, რომ „როვერსი“ ჯერჯერობით ცუდ დღეშია, კიდი პანიკას არ აყოლია და საერთოდ არ გრძნობს რაიმე ზეწოლას.

„როდესაც ბლექბერნის კლუბის მეპატრონემ, ჯეკ უოქერმა, სამსახური შემომთავაზა, კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა. ვიგრძენი, რომ ეს საჩემო საქმე იყო. საკმაოდ ძლიერი გახლავართ იმისათვის, რომ საკუთარი გზა ავირჩიო და მას არ გადავუხვიო. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორ მუშაობს ალექს ფერგიუსონი და ხშირად ჩემს ადგილზე მას წარმოვიდგენ ხოლმე. ასეთ დროს თითქოს მის დახმარებას ვგრძნობ და ვიცი, რომ უკეთესი მრჩეველი არასდროს მეყოლება. მაგრამ არის ერთი გარემოებაც: კაცმა ყოველთვის უნდა იცოდე თავად რა გინდა და რას აკეთებ, ამიტომაც ვაცხადებ, რომ საკუთარ პრინციპებს არასდროს დავთმობ“.

„ბლექბერნში“ რეფორმა მხოლოდ კიდის მიყვანით არ ამოწურულა. კლუბმა 15 მილიონი გირვანქა (24,41 მილიონი დოლარი) გაიღო ოთხი მოთამაშის, მეტ იანსენის, ეშლი უორდის, კით გილესპისა და ჯეისონ მაკატირის შესაძენად და ყველაფერმა ერთად აღებულმა, უპირველეს ყოვლისა კი მაინც კიდის ფაქტორმა, ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ შედეგი დაუყოვნებელი უნდა ყოფილიყო.

კიდმა მართლაც ჩინებულად დაიწყო. პირველ შვიდ შეხვედრაში გუნდს არ წაუგია, მაგრამ ახლა, თითქმის სამი თვის შემდეგ, „როვერსი“ ისევ განსაცდელშია. ბოლო ტურში „უიმბლდონთან“ 3:1 გამარჯვება ექვს შეხვედრაში პირველი გახლდათ. გუნდი 30 ქულით ფსკერიდან მეოთხეა და ორად ორი ქულით უსწრებს დაბლიდან მეორე გუნდს, „ჩარლტონს“, რომელსაც თამაშით ნაკლები აქვს. შეგახსენებთ, რომ დებულების თანახმად სამი გუნდი პირველ დივიზიონში უნდა გავარდეს.

კიდს პირობებიც არ უწყობს ხელს. მისი გუნდის რვა წამყვანი მოთამაშე ამწუთას დაშავებულია, სხვანი დისკვალიფიცირებული გახლავან. ასეთ ვითარებაში მწვრთნელმა 3,37 მილიონი გირვანქა (5,48 მილიონი დოლარი) გადაიხადა „დერბისგან“ ნახევარმცველის, ლი კარსლის საყიდლად. ეს ამბავი ორშაბათს მოხდა.

კიდი, რომელმაც 1968 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში, „ბენფიკას“ კარში ორი გოლი გაიტანა და საკუთარ მეცხრამეტე დაბადების დღეზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმატებაში (4:1) დიდი როლი ითამაშა, „როვერსის“ დღევანდელ მდგომარეობას ასე აანალიზებს:

„ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო უიმედობას არ უნდა მივეცეთ. რა გაეწყობა, ბრძოლას გავაგრძელებთ იმ ძალებით, რაც შემოგვრჩა. ცნობილია, როგორც კი ადამიანი საკუთარი თავის შეცოდებას იწყებს, იმწუთას ისჯება. ასეთია ცხოვრება და ამიტომაც ჯობს ვიბრძოლოთ. ჩვენს გუნდში შექმნილი ამჟამინდელი მდგომარეობა ხალხს აფიქრებინებს, რომ რაღაც წნეხში ვარ მოქცეული, თუმცა უნდა გითხრათ, რომ იღბლიანი კაცი გახლავართ. გულშემატკივარი უფრო დათრგუნულია ვიდრე მე. მე მიყვარს საქმე. მიყვარს მზიანი დღე და სუფთა ჰაერი. სირთულეებს ცხოვრება არ უნდა გადააყოლო“.

კიდს მხარს უჭერს ინგლისის ნაკრების მოთამაშე კრის სატონი, რომელიც ფიქრობს, რომ ამ მწვრთნელს „ბლექბერნის“ მდგომარეობიდან გამოყვანა ხელეწიფება. სატონს, ისევე როგორც „ბლექბერნის“ ბევრ სხვა მოთამაშეს, მიმდინარე სეზონი ტრავმიანი გამოადგა, რამაც გამოიწვია ის, რომ მან იმ 18 შეხვედრაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ ოთხჯერ მოახერხა მოწინააღმდეგის კარში ბურთის შეგდება. და მაინც, სატონი კევინ კიგანმა შეკრებაზე გამოიძახა.

„სამწუხაროდ გავარდნასთან ძალიან ახლოს ვართ. თუ დარჩენილ მატჩებში ვიმარჯვეთ, ჩათვალეთ, რომ გავიმართლა, მაგრამ ამასაც აქვს ახსნა. გუნდის ძალიან ბევრი ძლიერი მოთამაშე საექიმოშია, რის გამოც ახალგაზრდა მხრებზე უშველებელ ტვირთს ვკიდებთ. რა დაგვრჩენია, ღონე არ უნდა დავიშუროთ, რათა ყველა შეხვედრაში კარგად ვითამაშოთ“ — ამბობს სატონი.

„ბლექბერნს“ რვა მატჩი დარჩა ჩასატარებელი. მათ შორისაა შეხვედრები როგორც ლიდერებთან, „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“, ასევე კონკურენტებთან, „საუთჰემპტონთან“, „ჩარლტონთან“ და „ნოტინგემ ფორესტთან“.

„ძალიან კარგი“ — ამბობს კიდი — „ასეთი ცხოვრება მსურდა და ამიტომაც წამოვედი ბლექბერნში“.

და თუ „როვერსი“ პრემიერლიგაში დატოვა, ბრაიან კიდზე ბედნიერი კაცი ქვეყნად არ მოიძებნება.

ჯერემი ბატლერი, როიტერი

თასების მფლობელთა თასი

VII გათამაშება 1966-67 წლები

ბაიერნი

მიუნხენი, გერმანია

ლილიმონ ეყლისაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

ზედიზედ მესამედ თასების თასის მთავარ შეხვედრაში ბრიტანელები დასავლეთგერმანელებს დაუპირისპირდნენ. აქამდე ერთი ფინალი კუნძულელებს, ერთიც არიელებს ჰქონდათ მოგებული. 1967 წლის 31 მაისს მათ შორის არაოფიციალური გამარჯვებული უნდა დაესახელებინა. ნიურნბერგში გლაზგოს „რეინჯერსს“ მიუნხენის „ბაიერნი“ ელოდა.

ჟურადღება! ბაიერნი!

ტურნირის წინა გამარჯვებული, დორტმუნდის „ბორუსია“ შეჯიბრს დასაწყისშივე გამოეთიშა. საკვალიფიკაციო წრისგან თავისუფალი „დორტმუნდი“ მერვედფინალში „რეინჯერსს“ გადააწყდა. გლაზგოში 1:2-ის წაგების მიუხედავად, გერმანელებს შინ მინიმალური ანგარიშით მოგებაც ჰყოფნიდათ, მაგრამ იმ საღამოს დორტმუნდში გოლი არ გასულა. თვითონ თამაში ძალიან უხეში გამოდგა. ყველაფრის მოთავე კი ლოთარ ემერიხი გახლდათ. სწორედ ის ემერიხი, რომელიც წინა გათამაშების გმირად შერაცხეს. იგი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ვერ დააწყნარეს და როცა შესვენებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, მისგან ფეხმოტეხილი სქოთებისნახევარმცველი უოთსონი მინდვრიდან გაიყვანეს. მაშინ ფეხბურთელის შეცვლა აკრძალული იყო და „რეინჯერები“ ათნი დარჩნენ. მაგრამ სქოთები რის სქოთები იქნებოდნენ, სამაგიერო არ მიეზღოთ. ჰოდა, მეორე ნახევრის დასაწყისში ემერიხი უოთსონის გზას გაუყენეს და რიცხობრივი თანაფარდობა აღადგინეს, მაგრამ დროებით, ემერიხის ტრავმა მსუბუქი გამოდგა და მალე მინდორზეც დაბრუნდა.

ტრიუმფი. ბრენინგერი (თასით) და მაიერი ხარობენ

მოედანზე დაძაბულობას არც ტრიბუნების ვნებათაღლეღა ჩამორჩებოდა. საქმე ისაა, რომ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, ბუნდესლიგის მორიგ ტურში „დორტმუნდის“ ფანები ძალიან ცუდად იქცეოდნენ და თამაში კინაღამ ჩაშალეს. შედეგად გერმანიის საფეხბურთო კავშირმა კლუბი 2 500 მარკით დააჯარიმა (დღეს ეს თანხა არაფერია, მაგრამ მაშინ...) გლაზგოელებთანაც იგივე არ განმეორდესო და სტადიონზე პოლიციის გაძლიერებული რაზმები გაამწესეს. ამათ ორჯერ მოუხდათ ადგილობრივ ფანებთან მუშტი-კრივში ჩართვა, მაგრამ ამით არეულობები დასრულდა და თამაშიც მშვიდობიანად დამთავრდა.

გაცილებით უხეში გამოდგა ჰოლანდიური „სპარტასა“ და შვეიცარიული „სერვეტის“ მერვედფინალური შეხვედრა. ნამატჩევს „სერვეტის“ მწვრთნელმა ბელა გუტმანმა ისიც თქვა, 30-წლიანი სამწვრთნელო მუშაობის მანძილზე „სპარტას“ მსგავსი უხეში გუნდი არ მინახავსო. თუ მაშინდელ ევროპულ პრესას ვერწმუნებით, ეს იყო ტურნირის ყველაზე ბინძური და საშინელი თამაში. ჟურნალისტებმა მას „ჟენევის ბრძოლაც“ კი დაარქვეს.

მაინც რა მოხდა? ორმა ჰოლანდიელმა მოთამაშემ უმძიმესი ტრავმა მიიღო. ისინი სტადიონიდან პირდაპირ ჰოსპიტალში გააქანეს. მათგან ერთერთს ფეხი რამდენიმე ადგილას ჰქონდა მოტეხილი. მინდვრიდან გააძევეს შვეიცარიელი ჰეირი. კიდევ ექვსმა ფეხბურთელმა გაფრთხილება მიიღო (მაშინდელი დროისთვის ეს დიდი რიცხვია. დღევანდელისგან განსხვავებით, 60-იან წლებში მსაჯები იშვიათად იყენებდნენ ყვითელ ბარათს). საბოლოოდ „სერვეტმა“ 2:0 გაიმარჯვა. ჰოლანდიელები ყველაფერს მოწინააღმდეგეს აბრალებდნენ და პირიქით. უეფამ ორივე კლუბი მკაცრად გაფრთხილა, ხოლო საპასუხო მატჩზე როტერდამში საგანგებო კომისარიც მიავლინა. ჰოლანდიის ხელისუფლებასაც სთხოვა, მოსალოდნელი აურზაურის თავიდან ასაცილებლად სტადიონზე პოლიციის სპეცრაზმები მიეყვანათ. წინდახედულობამ ნაყოფი გამოიღო. როტერდამული რაუნდი მშვიდად ჩამთავრდა. „სპარტამ“ 1:0 მოიგო, მაგრამ საერთო ჩათვლაში „სერვეტმა“ იმარჯვა.

მიუნხენის „ბაიერნმა“ ამ წელს პირველად გაიბრწყინა ევროსარბიელზე. „ბაიერნი“ — ზეპ მაიერის, ფრანც ბეკენბაუერისა და გერდ მიულერის გუნდი, რომელმაც მერე სამჯერ (1974, 75, 76) ზედიზედ ჩემპიონთა, ერთხელაც (1976) საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. ამ ფეხბურთელებმა საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ყველა ტიტული ირგუნეს, თუკი რაიმე არსებობს, გახდნენ მსოფლიოსა (1974) და ევროპის (1972) ჩემპიონები. ბეკენბაუერი ორჯერ (1972, 76) დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. მიულერმა 1970-ში „ოქროს ბუცი“, ორჯერაც (1970, 72) „ოქროს ბუცი“ დაისაკუთრა, ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი (365) ბურთი გაიტანა, თასთა თასის ტურნირებზე კი 20-ჯერ შეაგდო და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ჰოლანდიელ რობი რენსენბრინკს ჩამორჩება. გერმანელებმა მას „ერის მგოლე“ (Der bomber der nation) უწოდეს. მაგრამ ეს იყო შემდეგ... 1967-ში კი ამ უნიჭიერესი ფეხბურთელებისა და შესანიშნავი გუნდის „დიდი ისტორია“ მხოლოდ იწყებოდა.

პირველი სამი წრე ბავარიელებმა დიდი ნერვიულობის ფასად გაიარეს. განსაკუთრებით მეოთხედფინალში გაუჭირდათ ავსტრიის „რაპიდთან“. ვენაში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. მიუნხენში საქმე დამატებით დრომდე მივიდა. შუაგულ მეორე ტაიმში, როცა ანგარიში გახსნილი არ იყო, შოტლანდიელმა არბიტრმა ბარტონმა მინდვრიდან რაპიდელი ზეიტლი გააძევა. ვენელებმა მთელი გუნდით მსაჯისკენ გაიწიეს. ბოლოს მხოლოდ პოლიციის მეშვეობით მოხერხდა ზეიტლის მოედნიდან გაყვანა. ბავარიელებმა თავისას მაინც მიაღწიეს, ოლჰაუზერმა მცველების შეცდომით ისარგებლა, მეკარე მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა. საერთო ჩათვლაში ანგარიში გათანაბრდა. გამარჯვებული მხოლოდ 106-ე წუთზე გატანილმა მიულერის გოლმა გაარკვია. აი, ნახევარფინალში კი მიუნხენელებს აღარ გასჭირვებიათ. ბელგიის „სტანდარდის“ პირველ შეხვედრაში შვიდ წუთში მოათავეს საქმე. უკვე 90-ე წამზე მიულერმა გახსნა ანგარიში. მე-7 წუთზე „სტანდარდის“ მცველმა ბურთის ხელიანად მოგერიება ვერ შეძლო და კუფერშმიდტის დარტყმული ბელგიელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. საპასუხო რაუნდი ლიეჟში გერდ მიულერისა გამოდგა. „ბომბერმა“ ჰეთ-თრიქი შეასრულა, თუმცა შესვენებამდე ტაბლოზე 1:1 ენთო. მიულერის გოლს „სტანდარდის“ იუგოსლავიელმა გალიჩმა უპასუხა. ტერიტორიული უპირატესობაც ბელგიელებისა იყო, მაგრამ ისინი ხშირად ზედმეტად ერთობოდნენ შეტევებით და მიულერმა ორჯერ კონტრშეტევებზე გამოიჭირა. 3:1 და „ბაიერნი“ ფინალში გავიდა. გერმანელების იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ჩაიკოვსკიმ შემდეგ თქვა, რომ მისმა გუნდმა ლიეჟში სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა.

მეორე ნახევარფინალში „რეინჯერსს“ ბულგარული „სლავიის“ დაჩაგრა არ გასჭირვებია. სოფიაში ისე ციოდა, რომ სტადიონზე მხოლოდ 20 ათასი მაყურებელი მივიდა. არადა, წინა დღეს 70 ათასივე ბილეთი გაყიდული იყო. ამინდმა თამაშის ხარისხზეც იმოქმედა. სქოთები აშკარად დაცვით ვარიანტს თამაშობდნენ. აღმოჩნდა, რომ მეორე ტაიმის განმავლობაში მათი 7 ფეხბურთელი საკუთარ ნახევარს არ გასცილებია, ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა კი გოლით დაამთავრეს. ბულგარელთა მეკარემ სიმიონოვმა უაზროდ დატოვა თავისი ბაქანი და უილსონმა ცარიელ კარში შეაგდო ბურთი. გლაზგოში, 60 ათასი მაყურებლის გასახარად, ჰენდერსონის თავურმა კვლავ მინიმალური ანგარიშით მოაგებინა სქოთებს და ფინალისკენ გზა გაუხსნა.

ფინალამდე სამი დღის განმავლობაში ნიურნბერგში გადაულებლად წვიმდა. სათამაშო მინდორი მთლად დაღლა, მაგრამ ეს მონაწილეების მთავარი პრობლემა არ ყოფილა. „რეინჯერსმა“ საკუთარ ქვეყანაში პირველობაც და თასიც მეზობელსა და მოსისხლე მტერს, „სელტიკს“ დაუთმო. თანაც „სელტიკი“ ჩემპიონთა თასის ფინალშიც გავიდა (ნიურნბერგის მატჩიდან ორ კვირაში „ინტერს“ 2:1 მოუგო და თასსაც დაეუფლა). ამიტომ თასების თასის მოგება კლუბის პრესტიჟის დასაცავად ერთადერთი გამოსავალი იყო. სხვა მხრივ, რეინჯერები ვერაფერით შეარბილებდნენ ქომაგთა გულისწყრომას. მწვრთნელიც შეავალეს. ახალი მენეჯერი ბობი სტეინი ფინალამდე ცოტა ხნით ადრე დაინიშნა და გადამწყვეტ თამაშს გუნდი გადაწყობის პროცესში შეხვდა.

უპრობლემოდ არც მიუნხენელები იყვნენ. ლიბერო ბეკენბაუერს რამდენიმე თვის განმავლობაში ტრავმა აწუხებდა და არც ფინალის დღეს იყო მთლად ჯანმრთელი. მიულერმა კი რამდენიმე დღით ადრე გფრ — იუგოსლავიის ნაკრებთა მატჩში ხელი მოიტეხა, მაჯაზე გვარიანი თაბაშირიც დაადეს. გუნდის ექიმი ამტკიცებდა, გლაზგოელების წინააღმდეგ ვერ ითამაშებსო.

ფინალის დღეს წვიმამ გადაიღო და სანამ მოედანზე ძველგერმანულ სამოსში გამოწყობილი მუსიკოსები მაყურებლებს ართობდნენ, გასახდელში მიულერის ბედი წყდებოდა. საბოლოოდ ჩაიკოვსკიმ ის მაინც შეიყვანა განაცხადაში. გერდს თამაში არ გამოუვიდა, თუმცა მანამდე გატანილი 8 ბურთით გათამაშების საუკეთესო მეგოლე გახდა.

პირველ ტაიმში შოტლანდიელები განუწყვეტლივ უტევდნენ. იერიშებში ხშირად მათი განაპირა მცველები — იოჰანსენი და ჯარდინიც ერთვებოდნენ. გერმანელები კი ერთფეროვანი ტაქტიკით თამაშობდნენ. ცდილობდნენ, გრძელი გადაცემებით ბურთი საჯარიმოსთან მდგომი მიულერისათვის მიეწოდებინათ, მაგრამ უშედეგოდ. მეორე ნახევარში ჩაიკოვსკიმ ტაქტიკა შეცვალა. ბავარიელებმა ბურთი „დაიჭირეს“, სქოთები არბენინეს, დაღალეს და ტემპიც დაადეს. მიუხედავად ამისა, საქმე დამატებით დრომდე მივიდა. აქ თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათო, ორივე გუნდმა ლაღი ფეხბურთი გააჩაღა. ჯერ მეკარე მაიერმა რაღაც სასწაულებრივად მოიგერია სქოთი ჰაინდის თავური, მერე ოლჰაუზერმა ჩააწოდა საჯარიმოში. მცველი როტი თავით ცდილობდა დარტყმას, არ გამოუვიდა, მაგრამ შეცდომა თავადვე გამოასწორა, ბურთს ფეხი მოარტყა და ფინალის ერთადერთი ბურთიც გაიტანა.

თამაში მთავრდებოდა, როცა ტრიბუნების ქვეშ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი გამოჩნდა. ორგანიზატორებს ეშინოდათ, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ ხალხი მინდორზე გადაცვივდებოდა და თასის გადაცემის ცერემონიალს ჩაშლიდა. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. „ბაიერნის“ ბედნიერმა კაპიტანმა ოლკმა თასი ჩაიბარა, ხოლო დანარჩენ მოთამაშეებს ოქროს მედლები ჩამოურიგეს.

ასე რომ, ბრიტანულ — გერმანული არაოფიციალური დუელი არიელების გამარჯვებით დამთავრდა. „ბაიერნმა“ გერმანიას თასების თასი შეუნარჩუნა და სათავე დაუდო თავის დიდ ევრო გამარჯვებებს.

ბაიერნი 1967 წელს. მარცხნიდან: ოლკი, მაიერი, ბეკენბაუერი, ნაფციგერი, როტი, ოლჰაუზერი, გ. მიულერი, ბრენინგერი, კულმანი, კუპფერშმიდტი, ნოვაკი

წინასწარი წრე

ვალიური (ისლანდია) — სტანდარდი (ბელგია) 1:1, 1:8

პირველი წრე

რაპიდი (ავსტრია) — გალათასარაი (თურქეთი) 4:0, 5:3; სკენდი (ნორვეგია) — სარაგოსა (ესპანეთი) 3:2, 1:3; სერვეტი (შვეიცარია) — ოფკ (ტურკუ, ფინეთი) 1:1, 2:1 (პენალტი); ფლორიანა (მალტა) — სპარტა (ჰოლანდია) 1:1, 0:4; სტანდარდი — აპოლონი (კვიპროსი) 5:1, 1:0 (ნამიური); სოუსი (უელსი) — სლავია გულგარეთი) 1:1, 0:4; გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1, 0:4; აეკ (სალონიკი) — ბრაგა (პორტუგალია) 0:1, 2:3; ტატრანი (ჩეხოსლოვაკია) — ბაიერნი (გფრ) 1:1, 2:3; ჰეგი (ბელგია) — ლეგია (ჰოლონეთი) 3:0, 2:2; შპაროუ როვერსი (ირლანდია) — სპორა (ლუქსემბურგი) 4:1, 4:1; ოლბორგი (დანია) — ინტერტონი (ინგლისი) 0:0, 1:2; ოფკ (ოუფო სლავია) — სპარტაკი (მოსკოვი, სარკ) 1:3, 0:3; ფიორენტინა (იტალია) — ეტო (უნგრეთი) 1:0, 2:4; სტრასბური (საფრანგეთი) — სტიაუა (რუმინეთი) 1:0, 1:1

მერვედფინალი

სარაგოსა — ევერტონი 2:0, 0:1; სერვეტი — სპარტა 2:0, 0:1; ეტო — ბრაგა 3:0, 0:2; სპარტაკი — რაპიდი 1:1, 0:1; შეფროკ როვერსი — ბაიერნი 1:1, 2:3; სტრასბური — სლავია 1:0, 0:2; რეინჯერსი — დორტმუნდი 2:1, 0:0; ჰეგი — სტანდარდი 2:1, 0:1

მეოთხედფინალი

რაპიდი — ბაიერნი 1:0 (სტარკეი), 0:2 (ოლჰაუზერი, გ. მიულერი)

სერვეტი — სლავია 1:0 (დეკ�ილი), 0:3 (მაშეკი, სარალამპიეკი, პეკე სკ. კარში)

რეინჯერსი — სარაგოსა 2:0 (დ. სმიტი, უილოუბი), 0:2 (ლაპეტრა, სანტოსი), კენჭისყრით ნახევარფინალში რეინჯერსი გავიდა

ეტო — სტანდარდი 2:1 (შტოიკეა, სალო; სემელინგი), 0:2 (კლასენი, კაიუ)

ნახევარფინალი

სლავია — რეინჯერსი 0:1 (უილსონი), 0:1 (ჰენდერსონი)

ბაიერნი — სტანდარდი 2:0 (გ. მიულერი, კუპფერშმიდტი), 3:1 (გ. მიულერი 3; გალიჩი)

ფინალი. ნიურნბერგი. 31 მაისი. 69 480 მაყურებელი

ბაიერნი 1:0 რეინჯერსი (0:0, 0:0 დ.დ.)

1:0 როტი (108)

ბაიერნი: მაიერი, ნოვაკი, კუპფერშმიდტი, ოლკი, ბეკენბაუერი, როტი, ნაფციგერი, ოლჰაუზერი, გ. მიულერი, კულმანი, ბრენინგერი

რეინჯერსი: მარტინი, იოჰანსენი, პროვანი, ჯარდინი, მაკინონი, გრეიგი, ჰენდერსონი, ა. სმიტი, ჰინდი, დ. სმიტი, ჯონსტონი

მსაჯი: ლებელი (იტალია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები საბჭოთა ნაკრებში

თამაზ კოსტავა

WORLD SOCCER

თამაზ კოსტავა თასების თასით

მარადიული ქვეყნად არაფერია და აჰა, „სარბიელის“ ერთ-ერთი რუბრიკაც „ქართველები საბჭოთა ნაკრებში“ წარსულს ჩაბარდა. უკან დარჩა 28 ლეგენდა ქართული ფეხბურთისა, ოცდარვა მოგონება — ზოგი დიდი, ზოგი — მცირე, ზოგი — ძველი, ზოგი — ჯერაც ახალი.

სსრკ ნაკრების ზოგიერთ თავკაცთა ნამუსს რა ვუთხართ, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ ღირსეულ ქართველ მობურთალს უნდა ეთამაშა საბჭოეთის პირველ გუნდში. მაშინ სხვა დრო იყო, სხვა სისტემა და ფეხბურთელის გარჯის ყველაზე დიდი ჯილდოც ეს იყო — სსრკ ნაკრებში თამაში. ქართული ფეხბურთის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ოცდარვა მოთამაშეს ადირსეს ეს ჯილდო. აფსუსია! კიდევ ბევრი იმსახურებდა, მაგრამ ისტორიას ფაქტები ქმნიან და ფაქტიც ესაა — სსრკ ნაკრებში ოცდარვა ქართველმა ითამაშა.

ღმერთმა ისე ინება, რუბრიკის ბოლო წერილი თამაზ კოსტავას მიეძღვნა. აი, ისიც.

მარჯვნივ და მარჯვე

სარბიელის არქივიდან

თბილისის „დინამოს“ დაცვა: ნოდარ ხიზანიშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თამაზ კოსტავა და დავით მუჯირი

ქართული ფეხბურთის ისტორიამ ბევრი დასამახსოვრებელი მომენტი შემოინახა, ბევრი დიდი ფეხბურთელის, რამდენიმე „დიდი გუნდის“ სახელი, მაგრამ თუკი ფეხბურთში ყველაზე მაღლა, მისი უდიდებულესობა შეღეგი დგას, ყველაზე დიდი „დინამო“ 1975-81 წლების „დინამოა“.

და როცა ამ „დინამოზე“ ვლაპარაკობთ, გვერდს ვერაფრით ავუვლით თამაზ კოსტავას — ფეხბურთელს, რომელმაც თავის თანაგუნდელებთან ერთად ზიდა უმძიმესი, ზოგჯერ გაუსაძლისი ტვირთიც კი. და ამ ტვირთის ტარება რომ მხოლოდ ექსტრაკლასის ფეხბურთელს შეუძლია, ნებისმიერ ქომაგს კარგად მოეხსენება.

თამაზ კოსტავა ექსტრაკლასის მარჯვენა მცველი იყო. ფეხბურთელი, რომელმაც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად გაუსწრო თავის დროს ყველაზე მეტადო, ვამბობ და ყიფიანს, გუცაევს, შენგელიას, ჩივაძეს, დარასელიას, სულაქველიძეს ვგულისხმობ „ყველაში“.

ეს კი ხუმრობა საქმე არ გახლავთ — „გაუსწრო“ ამდენ ვარსკვლავს ერთად და გაუსწრო დროს.

დიდი დრო არ გასულა, რაც იოჰან კრუიფმა სიტყვა თუ საფეხბურთო ცნება — „კულუარის მოთამაშე“ იხმარა. „კულუარის მოთამაშე“ ანუ ფეხბურთელი, ვინც ერთდროულად არის მცველიც, თავდამსხმელიც, ნახევარმცველიც და მთელ ფრთას აკონტროლებს, იგი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში დაქრის წინ და უკან და ზღვა სამუშაოს ასრულებს. ამ ტიპის მობურთალები განსაკუთრებით ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე დაფასდა.

ყოველივე ამას — მცველობას, ნახევარმცველობას, თავდამსხმელობას, ფრთის კონტროლს თამაზ კოსტავა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატამდე გაცილებიც ადრე, ოცი წლის წინ აკეთებდა.

ეს კი, განა მარტო ფეხბურთისთვის, არც ისტორიისთვის არის მცირე დრო. ოცი წელიწადი სამი საფეხბურთო თაობა მაინცაა.

ქართულ ფეხბურთში ყოველთვის იყო მაღალი კლასის ორი ნომერი. ორი ნომერი ტრადიციულად იგივე მარჯვენა მცველია. ვფიქრობ, ჩამოთვლა ზედმეტი იქნება — ჩვენს ფეხბურთს არასდროს აკლდა ამ ამპლუის მობურთალები (ის კი არა, წლების მანძილზე სსრკ ნაკრების დაცვის მარჯვენა ფრთას მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ამაგრებდნენ).

ჰოდა, თამაზ კოსტავა ამ „თავისი ამპლუის“ ქართველებშიც ირჩევა. მას განსაკუთრებული სათამაშო სტილი ჰქონდა და იმიტომ.

პირველი და უმთავრესი სათამაშო შტრიხი კოსტავას საფეხბურთო ხასიათისა ელეგანტურობა და არტისტულობა იყო. არტისტულობა და ელეგანტურობა კი ბევრს ნიშნავს გულშემატკივრისთვის. ფეხბურთში არსებობს დაუწერელი კანონი — საკმარისი არ არის, მოთამაშემ ბოლომდე მოიხადოს თავისი მოვალეობა, ბოლო წუთამდე არაფერი დაზოგოს გუნდის გამარჯვებისთვის... თურმე საჭიროა, მან თავისი ნამოქმედარი რაღაც თავისებური არტისტიზმით მიიტანოს მაყურებლამდე, თავისებური ძახილის ნიშანი დაუსვას ნამოქმედარს. ამაზე კამათი შეიძლება, ზოგს როგორ ჰგონია და ზოგს როგორ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ქომაგს სტანდარტულს არასტანდარტული ურჩევნია.

თამაზ კოსტავა ამ არასტანდარტულობითაც გამოირჩეოდა. და ეს არ იყო ყალბი კოსმეტიკა. საერთოდ, შემტევი მცველი თავისთავად მშვენიერი რამაა ფეხბურთში და გავიხსენოთ, რამდენი ტაში მოუწყვეტია თამაზ კოსტავას ტრიბუნებიდან, როცა თავის ცნობილ რეიდს ახორციელებდა.

ამ რეიდის დროს კი თავისუფლად შეეძლო ორი-სამი მეტოქის მოტყუება, ლამის მთელი მოედნის ბურთიანად გადასერვა, ელვისებური გადაწყვეტილებების მიღება და გამჭოლი გადაცემა კარის გასწვრივ — იქ, სადაც უკვე იყვნენ თანაგუნდელები ჩასაფრებული.

ალბათ, ქართული ფეხბურთის ისტორიამ არ იცის მცველი, რომელსაც კოსტავაზე ბევრი პენალტი მოეტანოს გუნდისთვის. ეს ხდება მაშინ, როცა საჯარიმოს მცირე მონაკვეთში მეტოქეს სჯობნის სისწრაფით, ტექნიკით და მასაც წესის დარღვევის გარდა არაფერი დარჩენია. ჰოდა, კოსტავას წინააღმდეგ ბრძოლისასაც ხშირად არღვევდნენ წესს.

და ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არ შეიძლება, გამოგვრჩეს. ქართულმა საფეხბურთო ტერმინოლოგიამ დღემდე არ იცის ერთი ილეთის — „პადკატის“ ზუსტი შესატყვისი. ვითომ „ტექნიკური ვარდნაა“ „პადკატი?“ არ ვიცით, მაგრამ ის კი არავისთვისაა სათუო, რომ თამაზ კოსტავაზე სწორედ (ვიმეორებ, სწორედ) და უზადოდ ვერც ვერავინ ასრულებდა ამ ილეთს. ლამის ხელოვნურობამდე ჰქონია აყვანილი, ისე ფაქიზად და გამართულად ჩაუწვებოდა ხოლმე მეტოქეს.

„პადკატის“ არსი მაინც თავდაცვაშია საძიებელი. მეტოქეს ბურთი აქვს, გიტევს და რახან პოზიციურად უკეთეს მდგომარეობაშია, იძულებული ხარ, ვარდნაში, წოლაში, სრიალში (უწოდეთ, რაც გნებავთ) ფეხის წვერი გაკრა ბურთზე და ამით ჩაუშალო შეტევა.

კოსტავას „პადკატი“ სულ სხვა იყო, იგი მეტოქეს ბურთზე კონტროლს აკარგვინებდა და თანაც ისე, რომ იგი მასვე რჩებოდა. ვერც ამას იზამდა ყველა. „იმ“ ელემენტარულობაზე და არტისტიზმზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

არავინ იცის, კიდევ რამდენ სიხარულს მოუტანდა თამაზ კოსტავა ქართველ გულშემატკივარს, რომ არა ფატალური უიღბლობა. უიღბლობა, რომელიც განუშორებლად სდევდა თან კოსტავას მთელ კარიერას.

თითქმის არ ყოფილა სეზონი, რომ თამაზ კოსტავას ტრავმა არ მიეღო. არც არავის გაცდენია იმდენი ტრავმების გამო ჩვენს ფეხბურთში, რამდენიც მას გაუცდა. მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ იმტვრეოდა და ბრუნდებოდა, იმტვრეოდა და ბრუნდებოდა — ესეც ვაჟკაცი ხასიათის ნიშანია, ალბათ.

ბევრ მობურთალს უკიჟინებდნენ, ტრავმამ დააშინაო. კოსტავაზე თითქმის არავის უთქვამს ეს. ხედავდნენ მის ფენიქსისებრ განახლებას.

თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე თამაზ კოსტავამ მრავალი დიდი ფეხბურთელის წინააღმდეგ ითამაშა. ეს იყო ღირსეულ მეტოქეთა ორთაბრძოლა. კოსტავას არასოდეს შეუტანია დისონანსი თამაშში, იგი იყო მაღალი დონის საფეხბურთო სპექტაკლების მონაწილე. არა მგონია, ვინმეს ახსოვდეს კოსტავა ინერტული, პასიური, დოინჯშემოყრილი. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარგად იყო თუ შეუძლოდ, სანამ მინდორზე იდგა, კაცურად, ფეხბურთელად იდგა და საკეთებელს აკეთებდა.

თამაზ კოსტავას კარიერის გვირგვინი, ისევე როგორც მისი თაობის ყველა დინამოელისა, რა თქმა უნდა, 13 მაისის დიუსელდორფული ფინალი იყო. იმ შეხვედრაში, ალბათ, სხვები კოსტავაზე მეტად გამოირჩნენ კიდეც, მაგრამ ეს კანონზომიერი მოვლენაა სპორტში და კერძოდ, ფეხბურთში. კონკრეტული შეხვედრა ხან ერთი ფეხბურთელის ბენეფისად იქცევა ხოლმე, ხან მეორესი.

წვლილი კი თასების თასის მოპოვებაში კოსტავას არავისზე ნაკლები შეუტანია. თასთა თასით ზეაღმართული ხელები სწორედაც რომ ღირსეული და ლამაზი აკორდი იყო მისი ტიტულებით და ჯილდოებით დატვირთული, მაგრამ მაინც უიღბლო კარიერისა.

კონსტანტინე გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო — ტონგა

მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩი. თბილისი.
28 მარტი. ეროვნული. 16 საათი

გვაავარჯიშეთ, ხალხი არა ხართ?!

უფროსი რკინიგზელი მორაგბეთა ეროვნულ გუნდს პოლიციით გვიშინებს

ბადრი კუმელაძის ფოტო

ლევან ცაბაძე (ბურთით) ტონგელებს ემუქრება

ბორჯღალოსნების პრობლემების შესახებ გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით. ამ ერთ დღეში მხოლოდ ზოგიერთი საკითხი მოგვარდა. მათ შორის, საქართველო-ტონგის მატჩზე მაყურებელთა უფასო დასწრებაც. როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელებს შეხვედრია, ისინი გაგებით მოჰკიდებიან მორაგბეთა თხოვნას და ივჯარის ფული არ მოუთხოვიათ. აქედან გამომდინარე, გულშემატკივარს შეხვედრის ნახვა უფასოდ შეეძლება. მატჩი კვირას, 4 საათზეა დანიშნული. რაც შეეხება სავარჯიშო მოედანს, სახელმწიფო მინისტრის, ვაჟა ლორთქიფანიძის ჩარევის შედეგად თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას მორაგბეთათვის ნება დაურთია, ისინს სტადიონზე ევარჯიშათ, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს შეუძლებელია, რადგან მოედანი დატბორილია. დარჩა ერთადერთი ვარიანტი — „ლოკომოტივის“ სტადიონი, თუმცა რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე კვლავაც არ უშვებს იქ ბორჯღალოსნებს. იგი მიზეზად ახალდათესილ ბალახს ასახელებს, აქაოდა, მორაგბეები გააფუჭებენო, არადა, ამ სარბიელზე საფეხბურთო „ლოკომოტივი“ ვარჯიშობს და თამაშობს კიდეც. ამ საკითხზე ჩხაიძესთან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიასაც უსაუბრია, მაგრამ უშედეგოდ. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს ამ მნიშვნელოვანი თამაშის წინ ვარჯიშის საშუალებაც კი არ აქვს. პრესკონფერენციაზე გამოითქვა აზრი, რომ პიროვნება, რომელიც საქვეყნო საქმეზე წინ უწყებრივ ინტერესებს აყენებს, არ შეიძლება, ასეთ თანამდებობაზე იმყოფებოდეს. იგი ისე არაფერს გააკეთებს, თუ პირადი სარგებელი არ ექნა. ერთადერთი, რაც მორაგბეებს დარჩენიათ, სტადიონზე ძალით შესვლაა და, ალბათ, მათ ვერც ვერავინ აღუდგება წინ, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ჩხაიძეს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობისთვის შეუთვლია, პოლიციის ძალით გაგიყვანთ სტადიონიდანო. არადა, ტონგელები სავარჯიშოდ რომ არ შეუშვან, თამაშზე უარს იტყვიან. შედეგი კი ქართული რაგბისთვის სავალალო იქნება.

ტონგელებთან დასაპირისპირებლად ლეგიონერების ნაწილი უკვე ჩამოვიდა თბილისში, ნაწილიც, ამ „სარბიელს“ რომ წაიკითხავთ, უკვე აქ იქნება. ერთ-ერთი მათგანი, ლევან ცაბაძე, გუშინ პრესკონფერენციასაც დაესწრო და ტონგაში ქართველთა სტუმრობაც გაიხსენა:

— სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ. ველოდი, იმაზე ვისაუბრებდით, როგორ დავამარცხოთ მეტოქე. ერთი ნაბიჯიღა დავჩრჩა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობამდე. აქ კი სულ სხვა სიტუაცია დამხვდა — სტადიონზე სავარჯიშოდ არ გვიშვებენ. თურმე მორაგბეები მოედნის საფარს აფუჭებენ. „პარკ დე პრენსზე“ მითამაშია, იქ სადაც საფეხბურთო პსჟ გამოდის. კვირაში ერთ დღეს ეს სტადიონი ფეხბურთელებს მასპინძლობს, ერთ დღეს — მორაგბეებს. იქ აზრადაც არავის მოსვლია, მორაგბეებისთვის ასეთი რამ დაებრალებინა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი გამარჯვება არავის უნდა. რაგბი ნამდვილ მამაკაცებს აყალიბებს, ასეთები კი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საჭიროა. რაც შეეხება შანსებს, პირადად მე იმისთვის ვარ ჩამოსული, რომ მოვიგოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. ბოლომდე დავიხარჯები. ბიჭებიც ასევე ფიქრობენ. ასე რომ არ იყოს, მონპელიეში ჩვენივე ხარჯებით სამდღიან შეკრებას არ მოვაწყობდით. ვიმხჯელეთ ტაქტიკურ და ტექნიკურ არსენალზე, რომელიც მოწინააღმდეგეს უნდა დაუპირისპიროთ, აქ კი, როგორც ირკვევა, სავარჯიშოდაც არ გვიშვებენ მოედანზე. საქართველოში ნაკრების რამდენიმე წევრი თამაშობს და ჩვენი ერთად ვარჯიში აუცილებელია. ჩვენი მოგზაურობის შესახებ კი იმის თქმა შემიძლია, რომ, ცოტა არ იყოს, კურიოზული გამოგვივიდა. ორშაბათს წავედით და რატომღაც პარასკევს ჩავედით ფიჯიში, არადა, მხოლოდ 22 საათი ვიფრინეთ. გზაში ვიზებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. დროში განსხვავება ტონგასა და საფრანგეთს შორის 12 საათია. ტონგაში რომ თამაში მიგიგო, დაახლოებით ორი-სამი კვირით ადრე უნდა ჩახვიდე. პირადად მე ოთხი დღე ვერ გავერკვიე, როდის მეჭამა, როდის დამეძინა. ტონგაში აღმოჩნდა, რომ არც ვიზები გვქონდა და არც დაზღვევა. მალხაზ ურჯუკაშვილმა ვიზები საკუთარი ფულით იყიდა. თამაშის წინა ღამეს უნდა შევკრებილიყავით და ტაქტიკური სქემა დაგვემუშავებინა, მაგრამ სადაზღვევო პრობლემების გამო მატჩზე არ გვიშვებდნენ და მთელი ღამე ამ საქმის მოგვარებას მოვუნდით. ის თამაში არ უნდა წაგვეგო. უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, შერკინებაშიც ვიძალეთ, მაგრამ სიცხისა და ნერვიულობის გამო დაულაგებლად ვითამაშეთ. წავაგეთ იმიტომ, რომ იყო ბევრი ტექნიკური შეცდომა. ნაკრების იმ წევრებს, რომლებიც აქ თამაშობენ, არ აქვთ ნორმალური სავარჯიშო და სათამაშო პირობები. წელიწადში ხუთ მნიშვნელოვან შეხვედრას თუ ატარებენ, ჩვენ კი საფრანგეთში ყოველ კვირას ვმართავთ სერიოზულ მატჩებს. სწორედ ამით განსხვავდებიან ჩვენი და იქაური სამმეოთხედელები. აქედან გამომდინარე, ჩვენი გუნდი ვერ უტევს ისე, როგორც საჭიროა. ტონგელები უფრო სამხრეთაფრიკულ რაგბის თამაშობენ და ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან, მაგრამ თუ ჩვენ ამ სამ დღეში ვარჯიშის პრობლემა არ გვექნა და კვირას მაყურებელი სტადიონზე მოვა, დარწმუნებული ვარ, სასურველი ანგარიშით მოვიგებთ. კვირას ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავთ...

პაატა თოთაძე

გვირგვინოსანი თავის პრობლემები

კი ბისკეინი, აშშ.
„ლიპტონის“ პირველობა. ჰარდი
საჩრდილო 4,75 მილიონი $

REUTERS კი ბისკეინიდან

სებასტიან გროსჟანი

თუ სერ უილიამ შექსპირს დავესესხებით, ჩვენი სათქმელი დაახლოებით ასე ჟღერს — „ყველაზე ძნელი არს ტარება გვირგვინოსანი თავისა“. თუ სტრედფორდელი ბარდის ნათქვამს სპორტში მასზე არანაკლები წონის მქონე ვაშინგტონელ პიტ სამპრასს გადმოვაჩოგბურთელებინებთ, იგივე სიბრძნე შემდეგნაირად აჟღერდება — კლასიფიკაციაში პირველი ადგილის შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე იქ მოხვედრა.

ამხელა შესავალი კი იმისთვის იყო საჭირო, რომ ესპანური არმადის ქომაგებისთვის ფრიად არასასიამოვნო ამბავი გვეუწყებინა: ორშაბათიდან კაცთა ჩოგბურთის ტატტზე, კარლოს მოიამ ხეირიანად გათბობაც რომ ვერ მოასწრო, ისევ ძველი მფლობელი, ზემოხსენებული აფორიზმის ავტორი პისტოლ პიტი დაბრუნდება.

მოია ერთი შეხედვით ვერაფერიშვილმა მეტოქემ, 20 წლის ფრანგმა სებასტიან გროსჟანმა დაღუპა არაჩვეულებრივად დრამატულ და დაძაბულ ორსაათნახევრიან შეხვედრაში. ზედიზედ მეორე სუპერ 9-ის სერიის ტურნირზე ერთეულებსა და წყვილებში შეუჩერებლად თამაშით გასავათებული ესპანელი ამ დღეს საკუთარ თავს არ ჰ გავდა, თუმცა თავისი გვირგვინი უბრძოლველად მაინც არ დაუთმია.

გადამწყვეტ სეტში ფრანგს ორჯერ საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაც ჰყოფნიდა მოსაგებად, მაგრამ მოიამ ორჯერვე ბრეიკი გაახერხა და ტაი-ბრეიკამდე მიატანა. აქ მსოფლიოს აწ უკვე ყოფილ პირველ ჩოგანს სამი მატჩპოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ თავისი სანაქებო ფორჰენდი იოლ სიტუაციებში სულ აუტში ურტყა და შეხვედრა ბადესთან თავისი უკანასკნელი, 72-ე (!) უნებლიე შეცდომით დაასრულა — 3:6, 6:4, 7:6 (11:9) გროსჟანის სასარგებლოდ.

„არც კი ვიცი, როგორ მოვიგე, შეიძლება იმიტომ, რომ ეს გაცილებით მეტად მსურდა — განაცხადა მატჩის შემდეგ თავადაც მსოფლიოს ყოფილმა, ოღონდ იუნიორების პირველმა ჩოგანმა გროსჟანმა, რომელიც ერთ-ორ კვირაში სამუდამოდ აპირებს ფლორიდაში გადმოსახლებას და ამის გამო კი ბისკეინში ცოლ-შვილიც ჩამოუყვანია — ჩემი პატარას აქ ყოფნამ ხომ არ გამოიწვია ეს გმირობა? არ ვიცი. ის მსოფლიოში საუკეთესო ქომაგი ნამდვილად არ არის, მატჩის დასაწყისიდან ბოლომდე ეძინა“.

თუ მოიას ვენდობით, ადგილის მოსალოდნელ დაკარგვას მასზე არანაირი ზეწოლა არ მოუხდენია: „ისე, ამ გრძნობას მართლაც არაფერი შეედრება. შემიძლია ვთქვა, რომ ორი კვირა მაინც ვიყავი პირველი ჩოგანი. არ ვიცი, კიდევ დავბრუნდები თუ არა იქ, მაგრამ იგივეთი ბევრი ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს“.

თუ გვონიათ, რომ მოიას წაგებით ყველაზე მეტად ნასარგებლევ სამპრასს კლასიფიკაციის სათავეში მოქცევა გაუხარდა, ძალიან ცდებით. აი, რა განაცხადა ალბერტ კოსტას 6:4, 6:4 დამარცხების შემდეგ ამერიკელმა: „ათასჯერ მითქვამს და ერთხელაც გავიმეორებ, წელიწადის ამ დროს ჩემი ადგილი საუკეთესოთა ნუსხაში ნაკლებად მაინტერესებს, მთავარი ის არის, დეკემბერში სად ვიქნები. რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოა, მაგრამ ამჟამად მე უფრო მომდევნო მატჩი მადარდებს კრაიჩეკთან (როგორც აღმოჩნდა, არცთუ ტყუილად)“.

რა თქმა უნდა, ამერიკელს გულწრფელობაში არ გაემტყუნება, მაგრამ საეჭვოა, ეს განცხადება ATP-ის თავკაცებს თუ მის კოლეგებს დიდად გახარებოდათ. იმ დროს, როდესაც ქალების ჩოგბურთის გვერდით გაფერმკრთალებული და პოპულარობადაკარგული სპორტი ქომაგების მიზიდვას ხუთიოდ მოთამაშის მიერ პირველობისთვის გაჩაღებული ბრძოლით ცდილობს, „მისტერ ტენისისგან“ ცეცხლზე წყლის კი არა, ნავთის დასხმას მოელიან.

REUTERS კი ბისკეინიდან

ვინუს უილიამსი

მერვედფინალი: ტომას ენკვისტი (14, შვედეთი) — ალექს კორეტხა (4, ესპანეთი) 7:5, 6:3; რიჩარდ კრაიჩეკი (7, ჰოლანდია) — მარატ საფინი (23, რუსეთი) 6:3, 6:2; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — მარსელო რიოსი (8, ჩილე) 6:2, 6:0; ნიკოლას კიფერი (27, გერმანია) — გრეგ რუზეიკი (12, ინგლისი) 4:6, 7:5, 6:2; ჟერომ გოლმარი (28, საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (11, სლოვაკეთი) 4:6, 6:2, 6:2; ფრანსისკო კლავეტი (20, ესპანეთი) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 7:5, 4:6, 6:4.

როგორ დავიცვათ თავი უილიამსებისგან? რაკი შიდსისგან განსხვავებით, ამ მოურჩენელ პრობლემას პატარა რეზინის მოწყობილობით ვერ გაექცევი, ქალი ჩოგბურთელების უმეტესობას ამ ბოლო ხანებში იმუნიტეტის გამოშუშავებაზე ფიქრში უსაკდებათ თავი.

ეს ერთი თვეა, WTA ტურზე მხოლოდ შავი სერენა (სირინოზი) და ვენერა (ვინუსი) იმარჯვებენ: პირველმა პარიზსა და ინდიან უელსში მიითვალა ტიტულები და მწვანეები, მეორემ — ოკლაჰომაში. და ჯერჯერობით მათი გამჩერებელი არც კი ბისკეინში ჩანს ვინმე.

ბოლო ორ ტურნირზე ნატალი ტოზიას, ლინდსი დევენპორტის, შტეფი გრაფის, ამელი მორესმოსა და სანდრინ ტესტიუს (ისეც შთამბეჭდავი კოლექციაა) მომნადირებელმა დაკუნთულმა სერენამ ამჯერად მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონიკა სელეში (3) გაანადგურა 6:2, 6:3, თანაც აქ ჩატარებულ ოთხ მატჩში საკუთარი მოწოდება ერთხელაც კი არ დაუკარგავს.

„ამ წუთში საკუთარ ძალებში არაჩვეულებრივი რწმენა გამჩნია. რატომაც არა? ძლიერ მეტოქეებს ვხვდები და ყველას ვამარცხებ“ — განაცხადა ზედიზედ მეოთხმეტე გამარჯვების შემდეგ უმცროსმა უილიამსმა.

ვინუსს კი კარგა ხანია წარუმატებლად მოასპარეზე ანკე ჰუბერთან მერვედფინალში გვარიანად გაუჭრდა. ერთ დროს საუკეთესო ხუთეულმა გერმანელმა მეტოქეს მოწოდებაზე ბევრი ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ, უკანა ხაზიდან გაცილებით სტაბილურად და ნაკლები შეცდომებით გაისარჯა და მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე დამარცხდა 3:6, 7:5, 6:7 (4:7).

ასე რომ, იმის შანსი, რომ უილიამსები კი ბისკეინურ ფინალსაც ოჯახურ დუელად აქცევენ, ძალიან დიდია. „ამას რა აჯობებს. მოუთმენლად ველი მსგავს შესაძლებლობას“ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ვინუსმა. „ძნელი სათქმელია, რომელი ვიმარჯვებთ. ჩვენ ორივენი კარგად ვთამაშობთ“ — განაცხადა მეორემ.

თუმცა თავიდან, დიპლომატიურად გაწყობილი სერენას „აგდება“ მაინცდამაინც ძნელი არ აღმოჩნდა. ერთმა ჟურნალისტმა განუცხადა, საერთოდ ჩოგბურთში უფროსები ყოველთვის სჯობდნენ უმცროსებსო და სასურველი პასუხიც მაშინვე მიიღო: „მართლა? არ ვიცოდი, მაგრამ ეს უბრალოდ წიგნში წერია. ასეთ რამეს, ვფიქრობ, არ უნდა ენდოთ“.

მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:0, 6:2; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (23, რუსეთი) 6:2, 6:0; იანა ნოვოტნა (4, ჩეხეთი) — პატი შნიდერი (12, შვეიცარია) 6:3, 2:6, 6:2; შტეფი გრაფი (7, გერმანია) — ნატაშა ზვერევა (19, ბელარუსი) 6:2, 6:4; ამანდა კუტცერი (9, სამხრეთ აფრიკა) — მარი პირსი (8, საფრანგეთი) 6:1, 4:2 (ტრავმა); ბარბარა შეტი (20, ავსტრია) — ანა კურნიკოვა (13, რუსეთი) 6:1, 1:6, 6:1.

* * *

დიდი პოლიტიკა ზოგჯერ დიდ სპორტზეც ახდენს საკმაო ზეგავლენას. ჩოგბურთში დევისის თასის გათამაშების მატჩი იუგოსლავიასა და მაროკოს შორის 30 აპრილიდან 2 მისამდე, წესით, ბელგრადში უნდა გამართულიყო, მაგრამ კოსოვოს კრიზისისა და ნატოს ჯარების მიერ შესაძლო დაბომბვის შიშით იუგოსლავიელები მასპინძლებიდან სტუმრებად იქცნენ. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისი განცხადებით, მატჩი იმავე დროს მაროკოში ჩატარდება.

ავთანდილ სვანიძე

საით გაუძღვება მოსეშვილი ქართულ კალათბურთს?

ევროპა თუ ბნელი ლაბირინთი

ლევან მოსეშვილი

ლევან მოსეშვილის სანაკრებო კარიერა გრძელდება. მოსეშვილს უნდა ვაცადოთ გადაწყვიტა კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა და ბეჭედიც დაასვა. არადა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ქართველთა უილაჯო გამოსვლამ მწვრთნელს, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ოპონენტები მოუმრავლა. მოსეშვილის მთავარ მწვრთნელობას წყალი შეუდგა, ამას ბოლო ხანს ფედერაციაც აღარ უარობდა და მის მუშაკთა საკმაოდ ხმამაღალი განცხადებების საფუძველზე საკალათბურთო საქართველოში მის სავარაუდო შემცვლელებზეც ალაპარაკდნენ.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტების — თემურ დათიკაშვილისა და დუდუ დადიანის მიმართვა, აღმასკომის წევრებს მათთვის მხარი დაეჭირათ და ფარული კენჭისყრით, ნაკრების მწვრთნელის პოსტზე სხვა კანდიდატებისთვისაც ეყარათ კენჭი, უმრავლესობის აზრს ემსხვერპლა.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოხსენება-ანგარიში ბოლოს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხამდე მივიდა, თუმცა... საქმე შორს აღარ წასულა.

ერთი რამ ცხადზე უცხადესია. მოსეშვილმაც და აღმასკომმაც უდიდესი პასუხისმგებლობა იტვირთეს...

— ბატონო ლევან, თუ იცოდით, რომ დღის წესრიგში თქვენი ნაკრებიდან განთავისუფლების საკითხიც იდგა?

— ასეთი რამ აღმასკომამდე ორი დღით ადრე, ისიც პრესა-ტელევიზიით შევიტყვე. არადა, იმ დღეს ფედერაციაშიც გახლდით, მაგრამ ჩემი და ვიცე-პრეზიდენტების საუბარი მხოლოდ სამოამავლო მზადების გეგმებით შემოისაზღვრა. მათ შევახსენე, რომ მაისამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა და ამაზე უნდა ეფიქრათ.

— თქვენი მოხსენება აღმასკომს წესით გასულ კვირას უნდა მოესმინა, მაგრამ მაშინ გადაიდო. ახლა კი მოხსენებასთან ერთად თქვენი ბედიც წყდებოდა. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ამ ერთ კვირაში? სწორედ ამ პერიოდში გაიჟღერა თქვენი მოსალოდნელი განთავისუფლების ცნობებმა.

— როდესაც ასეთი სერიოზული საკითხი წყდება, მოწინააღმდეგე მხარე, როგორც წესი, ერიდება წინასწარ ხმაურის ატეხვას. ამ შემთხვევაში კი პირიქით მოხდა. ვერ გეტყვით, ვის რაში სჭირდებოდა ეს პერიოდი, მაგრამ ისიც ვიცი — რომ არა მასმედია, მე ამას ვერც გავიგებდი. აკი გითხარით, თქვენგან შევიტყვე, მოხსნას რომ მიპირებდნენ.

— მიუხედავად ამისა, თქვენი გამოსვლა საკუთარ თავში დარწმუნებული და ხიფათისათვის მზადყოფი კაცის საუბარს ჰგავდა.

— ალბათ, იმიტომ, რომ შევძელი საკუთარი თავის მორევა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ოპონენტებს არ ჰქონდათ ლოგიკური არგუმენტები ჩემს საწინააღმდეგოდ. ვერავინ დამანახა ჩემი შეცდომა, რაც ნაკრების მწვრთნელობისას დაგუშვი.

თითზე ჩემი ავადმყოფობა დაიხვიეს. კარგი რა, რა მოხდა მერე? ცუდად ვიყავი და ახლა კარგად ვარ. მერე ისიც ითქვა, რთული ხასიათი აქვს და მოთამაშეებთან ურთიერთობა უჭირსო...

— ვაკო ბეჟანიშვილზე იყო ლაპარაკი, გაკვრით ვატო ნაცვლიშვილზეც.

— ეს მონაჭორია. არც ერთთან არა მაქვს უთანხმოება. პირიქით, ბეჟანიშვილი რუსეთში წასვლისას მე დავმძღვრე, დავაკვალიანე, ავუხსენი, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა. ვაკო ზაზა ცაგარეიშვილის მეზობელია და სწორედ ზაზასგან ვიგებდი მის ამბებს. გეხსომებათ, ნაკრებშიც გამოვიძახე, მაგრამ კლუბმა არ გამოუშვა და ჩვენც ალარ მივეძალეთ. ჩინებული ურთიერთობა მაქვს ნაცვლიშვილთანაც. მას ამას წინათ ველაპარაკე ტელეფონით და როგორც კი მზადებას დავიწყებთ, შემოგვიერთდება. მითხრა, ფეხი კვლავ მაწუხებს და იქნება ამასობაში როგორმე მოვრჩინო.

გაუგებრობა მხოლოდ ქარაბაკთან მქონდა, მაგრამ ესეც წარსულს ჩაბარდა. გუნდში ყველაფერი ხდება, ჰოდა, ლევანიც ნაწყენი იყო ჩემზე, მაგრამ ალარ ავყევი. ვფიქრობ, კეთილგონიერება გამოვიჩინე.

— მოდით, ისევ აღმასკომს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, კენჭისყრა რომ ფარული ყოფილიყო, ამით რა შეიცვლებოდა?

— ბევრიც არაფერი. შესაძლოა, ორი-სამი ხმით ნაკლები მიმეღო, თუმცა საბოლოო შედეგი გარდაუვალი იყო.

— თუ იცით, მწვრთნელობის შესაძლო კანდიდატებში კონკრეტულად ვის გულისხმობდნენ?

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, არ უთქვამთ და იმიტომ. ისე, მეც ვერ მივმხვდარვარ, ასე რატომ მოიქცნენ, ალბათ, თავადაც არ სჯეროდათ.

— არადა, არაერთ მწვრთნელზე იყო ლაპარაკი. ითქვა, მოსეშვილზე კარგი ბევრიაო...

— შეიძლება მაგ საკითხის ასე გადაწყვეტა?! რას ჰქვია, ბევრია? საქმეც ისაა, რომ ცოტაა.

— თქვენი თავი რომ გამორიცხოთ, ვის დაასახელებდით ეროვნული გუნდის მწვრთნელად?

— მიმაჩნია, რომ საქართველოში გამზადებული მწვრთნელი დღესდღეობით არ არის. სხვებთან შედარებით ვაჟა მხეიძეს მივაკუთვნებდი უპირატესობას. ჩემს არყოფნაში პაატა გურასპაულმაც არცოუ ცუდად გამოავლინა თავი და ვფიქრობ, კარგი მომავალი აქვს. დანარჩენების ფონზე კი ზურაბ ტომარაძეც არ გამოიყურება ცუდად.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი მაინც მწვრთნელის პიროვნება და ავტორიტეტია. ვგულისხმობ ისეთ ხალხს, ვისაც ელემენტარული სამწვრთნელო განათლება მიუღია, წაუკითხავს ლიტერატურა და კარგად ერკვევა ფსიქოლოგიაში. ჩემს მიერ ზემოჩამოთვლილი მწვრთნელები, ვფიქრობ, ჯერ შორს არიან ამისგან. თითქმის გურასპაულის და ტომარაძის ამხანაგები თამაშობენ დღეს კალათბურთს. მათ შორის უფრო სხვანაირი, მეგობრული დამოკიდებულებაა. ძნელია მწვრთნელისთვის ასეთ ატმოსფეროში მუშაობა.

ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გუნდი იგებს თამაშებს, მაგრამ წააგებ და უმალ ზურგს მოგაქცევენ, მერე იტყვიან, ეს ვინ ყოფილაო, შემდეგ კი ახალ მწვრთნელს დაუწყებენ ძებნას. ამ ხალხს ჯერ დრო და მომწიფება სჭირდება. ჯერ თვითონ უნდა გამოიწრთონ და შემდეგ სხვები გაწვრთნან.

— ნაკრებში თქვენი „მეორედ მოსვლის“ შემდეგ მწვრთნელთა ბანაკში თუა მოსალოდნელი ცვლილებები?

— მინდა, კიდევ ერთმა მწვრთნელმა იმუშავოს ეროვნულ გუნდში და, ალბათ, ასეც იქნება, თუმცა მის ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ. დანარჩენები ჩვეულებრივად განვაგრძობთ — ცაგარეიშვილს გუნდის დაცვაში მომზადება ევალება, გურასპაულს თავდასხმის ორგანიზებასთან ერთად უკანასკნელ მოთამაშეთა მოძიება აკისრია. ჩემი ფუნქციებიც კარგად მოვეხსენებათ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ... ნაკრების წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზად უსახსრობა და მოუმზადებლობა დასახელდა. ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძის თქმით, უკეთესობას არც უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ. რა გარანტია არსებობს საიმისოდ, რომ გუნდი დაძლევს მაისის საკვალიფიკაციო ეტაპს? რისი უნდა ეიმედებოდეს გულშემატკივარს?

— სპორტში გარანტია არ არსებობს. მე ერთის მჯერა — თუ იქამდე ნაცვლიშვილიც ბოლომდე მომჯობინდა, გუნდი პოტენციით გამსვლელია შემდეგ ეტაპზე. ეს მე ჩეხეთში თამაშისას ვირწმუნე და ახლაც ასე ვფიქრობ. ამისათვის კი სრულფასოვანი მომზადებაა საჭირო. რაღა თქმა უნდა, ჩემი თავის იმედიც მაქვს. ღრმად მწამს, რომ საბედისწერო შეცდომას არ დავუშვებ, ჩემი მიზეზით გუნდი არ წააგებს, საამისო გამოცდილება და ცოდნა ნაღდად მაქვს.

— კონკრეტულად რა პიროობებს ითხოვს მწვრთნელი ფედერაციისგან?

— ელემენტარულს. ხუთი მაისიდან გუნდი უნდა გადავიდეს ორჯერად ვარჯიშზე. ამისათვის აუცილებელია კალათბურთელების გამოკვება. ეს უნდა მოახერხოს ფედერაციამ.

გარდა ამისა, ვითხოვ, რომ თუ შესაძლებელია, ნაკრებმა ითამაშოს ოთხხუთი საკონტროლო მატჩი, რაც შეიძლება სერიოზულ სპარინგ-პარტნიორებთან. ამით კალათბურთელები პრაქტიკასაც მიიღებენ და მწვრთნელებსაც მოგვეცემა საშუალება, ამა თუ იმ კომბინაციის ავკარგიანობა გადავამოწმოთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს ჩემთვის სასურველი მოთამაშის თბილისში დროულად ჩამოყვანა.

— ყოველივე, რაც ჩამოთვალეთ, არცთუ მიუწვდომელია და იმედია, ფედერაციაც გაითვალისწინებს თქვენს მოთხოვნას. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ შედეგი მაინც ვერ აჩვენეთ, ამ შემთხვევაში რა ბედი ეწევა ნაკრების მწვრთნელ ლევან მოსეშვილს?

—ამაზე დღეს საუბარიც არ ღირს. ვერ ხვდებით, რასაც ვიზამ? — ქუდს დავიხურავ და ჩემს გზას გავუყვები.

...ეს კი ყველაზე ნაკლებად აწყობს ქართულ კალათბურთს. მოსეშვილთან ერთად ხომ ჩვენი კალათბურთიც ბნელი ლაბირინთებისკენ გაუყვება გზას.

გიორგი ბიკაშვილი

ფედერაცია დათიკაშვილს: დარჩი ჩვენთან!

კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი კვლავაც დაკავებულ თანამდებობაზე გააგრძელებს მუშაობას, რამაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს ხმამაღლა ათქმევინა: „ვეღარ ვხედავ ჩემს ფუნქციას ფედერაციაში. რადგან მოსეშვილი ნაკრების მწვრთნელად დარჩა, მე ხვალვე დავწერ განცხადებას განთავისუფლების შესახებ.“

დათიკაშვილმა ეს აღმასკომის გასრულებისთანავე, ცხელ გულზე განაცხადა. ამის აუცილებლობა გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ აღმასკომამდე სამი დღით ადრე დათიკაშვილი უკვე მას-მედიასაც გაენდო: „სამშაბათს საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება, თუ მოსეშვილი დარჩა, მაშინ მე წავალ.“

შესაძლოა, დათიკაშვილის ფედერაციისგან განდგომას სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მოსაზრებებიც ახლდეს, შესაძლოა, იგი ემოციებს აჰყვა და ნაჩქარევი განცხადება გააკეთა.

იმავე დღეს ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძის კაბინეტში შინაურული საუბარი შედგა, რომელსაც დათიკაშვილიც ესწრებოდა. პრეზიდენტი და აღმასკომის წევრები ვიცე-პრეზიდენტს აზრის გადათქმას შესთხოვდნენ.

გუშინ ფედერაციის მეორე ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმა ასეთი კომენტარი დაურთო ამ ფაქტს: „თემურ დათიკაშვილი სჭირდება როგორც ფედერაციას, ისე მთლიანად ქართულ კალათბურთს. ყველა ღონეს ვიხმართ, რათა იგი დარჩენაზე დავიყოლიოთ.“

ვერ გეტყვით ახლა, რას ფიქრობს თავად დათიკაშვილი. პირადად მასთან დაკავშირება გუშინ ვერაფრით მოხერხდა და იმიტომ.

ფაქტი კი ერთია: გუშინ დათიკაშვილს ფედერაციაში განცხადება არ წარუდგენია.

დიმიტრი ნიშნიანიძე

თემურ დათიკაშვილი

ევროლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 23 მარტი

ჟალგირისი 69:68 ეფესი

ჟალგირისი: ადომაიტისი (11), ბოული (10), ედნი (9), მასიულისი (13), მასკოლიუნასი, შტომბერგასი (13), ზიდეკი (8), ე. ჟუკაუსკასი (5)

ეფესი: ბიდინი (12), ბეშოქი (7), დრობნიაკი (8), ნაუმოსკი (14), სარიჯა (11), სავიჩი (9), თურქჯანი (7)

ტიმსისტემი 90:63 რეალი

ტიმსისტემი: ბეტსი, ჩიტადინი (2), დამიო (5), ფუჩკა (13), გაი (8), კარნიშოვასი (12), ლაცისი (8), მულაომეროვიჩი (23), მაიერსი (16), პილუტი (3)

რეალი: ანგულო (3), ბერდი (10), ბუენო (7), გარსია (5), ერეროსი (6), ლასა (3), ლიუკი (2), მარტინი (2), სანტოსი (8), სტრიულენსი (17)

პორტეზი 67:59 კინდერი

პორტეზი: აიშა (8), დევისი (15), ფატუ (2), ფუარე (8), დ. გადუ, ტ. გადუ (4), გრანტი (11), სხოლტენი (6), სმიტი (13)

კინდერი: აბიო (11), ბინელი (11), კრიპა (2), ფროსინი (4), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (8), ოსალივანი, რიგოდო (15), სკონოჩინი (8),

ოლიმპიაკოსი 70:57 ვილერბანი

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (17), გოლდვაიერი (8), კომაზეცი (12), ობერტო (2), პაპანიკოლაუ (12), როჯერსი (8), ტარლაკი (9), ტომიჩი (2)

ვილერბანი: ადამსი, ბილბა, ბლომი (10), დიგბო (12), ჰენრი (14), პალმერი (12), პერსევო (1), პლუვი, რადი (8), სონკო

მეორე მატჩები გაიმართება დღეს.
თუ საჭირო გახდა, გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 1 აპრილს.

სპორტას ციხე. ნახევარფინალი. პირველი მატჩები. 23 მარტი

ბენეტონი (იტალია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 76:60

ბენეტონი: ბონორა (8), ხოფრესა, მარკონატო, ნიკოლა (7), პიტისი (4), რებრაჩა (18), შმიდტი (9), სეკუნდა (9), ვილიამსი (21)

ბუდუჩნოსტი: ბოშკოვიჩი (2), ბულატოვიჩი (15), ოსტოიჩი, პაიოვიჩი (6), რადონიჩი (2), რადუნოვიჩი (7), შჩეპანოვიჩი (7), ტოპალოვიჩი (2), ვუკჩევიჩი (19)

პამესა (ესპანეთი) — არისი (საბერძნეთი) 70:64

პამესა: გარსია (1), ბერნარდო (2), ჰოფკინსი (21), ლუენგო (15), მალუენდა (10), როდილია (1), სელერსი (20)

არისი: ხრიზანტოპულოსი, გალაკტეროსი (13), კული (2), ლიადელისი (16), მიხაილოვი (19), სიგალასი (10), სიუტისი (4)

საპასუხო მატჩები გაიმართება 30 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

ლიგის ფინალის რეპეტიცია?

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — მაიამი. ასოციაციის გამორჩეული გამთამაშებლების, იუტელი ჯონ სტოქტონის (ბურთით) და მაიამელი ტიმ ჰარდეევეის (№10) ორთაბრძოლა

23 მარტი

იუტა 84:81 მაიამი

იუტა: სტოქტონი (12 ქულა, 8 პასი), ჰორნაჩეკი (8), რასელი (17), მელოუნი (23 ქულა, 17 მოხსნა), ოსტერტაგი (4); ეისლი (7), ბეილი (4), კიფი (4), ფალერი (3), ანდერსონი (2), ფოსტერი

მაიამი: ჰარდეევეი (30), მარლი (6), ესკინსი (3), ბრაუნი (6), მურნინგი (11 ქულა, 13 მოხსნა); ფოსტერი (11), ვეზერსპუნი (8), ქოზველი (4), ედვარდსი (2)

შტატების დედა მდინარე მისისიპის იქითა და აქეთა მხარეს ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთობ დაძაბულად წარიმართა. იუტაცა და მაიამიც თავიანთი კონფერენციების გრანდებს განეკუთვნებიან და საკუთარი დივიზიონების ცხრილის სათავეში მყარად დაფუძნებულან. „იუტა ჯაზი“ 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და ბოლო ორ წელიწადში ორჯერ მოახერხა ლიგის ფინალში თამაში. ჯაბანი არც მაიამია, მით უმეტეს, რომ მას ასოციაციაში მოღვაწე მწვრთნელთაგან ერთ-ერთი უგამოჩენილესი პატრიალი თავკაცობს. ეს ორივე გუნდი ფინალში გასვლის რეალური კანდიდატები არიან და სრულიად შესაძლებელია, წლევანდელი ფინალი ამ გუნდების მონაწილეობით ვიხილოთ.

სოლტ ლეიკ სიტიში ფავორიტებად, რა თქმა უნდა, მასპინძლები ითვლებოდნენ. „ჯაზის“ შინ დამარცხება ხომ ერთობ ძნელი საქმეა და ამას მთელ სეზონში ერთი-ორი გუნდი თუ ახერხებს. მაინც მაიამის დარი გუნდები დიდ წინააღმდეგობას უწევენ და იუტას „დელტა ცენტრში“ შეკრებილი მაყურებელი ხშირად დამტკბარა უშეღავათო ბრძოლით და ლამაზი სანახაობით. 19 911 კაცით გადაჭედილი მრავლისმნახველი დარბაზი ამჯერადაც საინტერესო მატჩის მომსწრე შეიქნა.

როგორც უფრო მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მასპინძელ გუნდს დარჩა, თუმც შეიძლებოდა პირიქითაც მომხდარიყო. მატჩი გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. მეორე მეთოხედში კი უფრო მაიამი ყოჩაღობდა, რომლის შეტევებსაც შედეგიანად წაუძღვა სტუმართა ვეტერანი გამთამაშებელი ტიმ ჰარდეევეი. მაიამმ რვა ქულით მოახერხა დაწინაურება, მაგრამ ამ დროს მასპინძლები ბებერი ლიდერების — კარლ მელოუნის და ჯონ სტოქტონის თავგამოდებამ გამოაცოცხლა და იუტამ შორი და საშუალო მანძილებიდან სროლებით პირველი ნახევარი ერთქულიანი უპირატესობით დაასრულა — 42:41

მესამე მეთოხედი მაიამისა იყო. მისმა 208-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ალონზო მურნინგმა აჯობა მასზე ორი სანტიმეტრით დაბალ იუტას ლიდერ მელოუნს და ამ თორმეტწუთეულში ქულაც არ ჩააგდებინა. მელოუნი კი იყო მონდომებული და ფარქვეშ ბევრსაც ჯავგურობდა, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდიოდა და ლიგის ამ ყველაზე დიდი ჯანის პატრონმა კაცმა სამ-ოთხჯერ ძირსაც მოადინა ბრაგვანი. მურნინგის თანაგუნდელმა ჰარდეევეიმ კი სტუმართა კალათი სამი-ანებით აიკლო და მისი წყალობით გუნდებმა ბოლო მეოთხედში 63:57 შეაბიჯეს. აქ კი გადაირია მელოუნი. მან ამ დროში 12 ქულა გააკეთა, მელოუნს სტოქტონი და რასელიც წამოეშველნენ და როდესაც იუტას უზარმაზარმა, მაგრამ ბევრი არაფრით გამორჩეულმა ცენტრმა ოსტერტაგმა ჩატენა, ანგარიშიც გათანაბრდა 78:78. აქ მელოუნმა ერთი საჯარიმოთი თავისიანები პირველად გაიყვანა წინ მეორე ნახევარში. მატჩის დამთავრებამდე 42 წამით ადრე ტიმ ჰარდეევეიმ ესოდენ საჭირო სამქულიანი ჩააგდო — 81:79. თუმც მელოუნმა ამჯერად ორი საჯარიმოთი კვლავ გაათანაბრა ანგარიში. მატჩის გმირი კი იუტას ფრთა ბრაიან რასელი გახდა, რომელმაც 5 წამით ადრე უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და კიდეც გადაწყვიტა მატჩის ბედი. მაიამის კიდევ რჩებოდა საკმარისი დრო შეტევისთვის, მაგრამ მთელ მატჩში მშვენივრად მოთამაშე ტიმ ჰარდეევეიმ ყველაზე საჭირო დროს ვერ შეძლო თავის გამოჩენა. „კარგი მატჩი იყო — თქვა მატჩის შემდეგ დაღონებულმა ჰარდეევეიმ — მაგრამ რომ მოგვეგო, კიდევ უკეთესი იქნებოდა. რას ვიზამთ, სხვა დროს გვექნება შანსი.“

სან ანტონიო 112:82 დენვერი

სან ანტონიო: დანკანი (19)
დენვერი: ვან ექსელი (18)

„დენვერ ნაგითსს“ ერთობ სურდა სან ანტონიოსთან თავის გამოჩენა, მის ლიდერ ანტონიო მაკდაიესს კი უნდოდა ტიმ დანკანისთვის ეჩვენებინა თავისი ძალა, მაგრამ საშინელი წაგების მეტს ვერაფერს გამორჩნენ ტეხასელებს. მასპინძელთა ლიდერმა დანკანმა, მართალია, უდალატა ტრადიციას და 20 ქულაზე ნაკლები ჩაუგდო მეტოქეს, მაგრამ მეურვე მაკდაიესი სულაც 10 ქულას დაჯერა. სანაქებოდ გაისარჯა მასპინძელთა ძველი ლიდერი დევიდ რობინსონიც, რომელმაც დენვერს 17 ქულა ჩაუგდო და ამას 9 მოხსნა და ოთხი დაფარება დაუმატა. ამ 216-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ერთხელ სამქულიანის ხახიდანაც ივარგა, მისმა სან ანტონიომ კი მთლიანად თავისი სროლების 50 პროცენტი გამოიყენა, რაც, თუ გავითვალისწინებთ ლიგაში ბოლო წლებში შედეგიანობის თვალშისაცემ კლებას, ურიგო სულაც არაა.

ორლანდო 86:78 შარლოტი

ორლანდო: არმსტრონგი (28)
შარლოტი: ჯონსი (20), კემპბელი (19 ქულა, 11 მოხსნა)

ლოს ანჯელესიდან შარლოტში არმსტრონგის, რაისისა და რიდის ნაცვლად გადასული ედი ჯონსი და ელდენ კემპბელი „ჰორნეთსს“ ლიდერებად მოევლინნენ და გუნდმაც ცოტა გამოიხედა თვალებში. ორლანდოსაც უპირატესად ეს ორი ყოფილი ლეიკერსელი ებრძოდა. ორლანდოელთაგან კი თამაში ჩააფლავეს — ანფერნი ჰარდეევეიმ მხოლოდ 13 ქულის მოპოვება შეძლო, ნიკ ანდერსონმა კი 40 წუთში სულ რაღაც 4 ქულა იკმარა. ეს მაშინ, როდესაც იგი ორლანდოს უპირველესი ბომბარდირია და მატჩში საშუალოდ 17 ქულაზე მეტის გაკეთებას ახერხებს. მასპინძლებს კი მშველელი იქიდან მოევლინა, საიდანაც ნაკლებად ელოდნენ. სათადარიგო გამთამაშებელმა დარელ არმსტრონგმა რამდენი წუთიც ითამაშა, იმდენჯერ ჩაუგდო „კრაზანებს“ და საბოლოოდ კარიერაში ყველაზე მეტი, 28 ქულა შეაგროვა.

პორტლენდი 79:72 გოლდენ სტეიტი

პორტლენდი: საბონისი (14 ქულა, 11 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: კეფი (18 ქულა, 11 მოხსნა)

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი ძველი დიდების გზას ადგას და რეგულარულ ჩემპიონატში წარმატებული სვლის შემდეგ პლეი ოფში წარმატებასაც ვეგმავს. წლევანდელი პორტლენდის შედარებაც არ შეიძლება იმ ძველ, საშუალო დონის გუნდთან, პლეი ოფში ყოველთვის რომ გადიოდა და იქიდან უიმედოდ ვარდებოდა. მილუოკში გატარებული რამდენიმე წარუმატებელი სეზონის შემდეგ ამ გუნდს სათავეში მაიკლ დანლივი ჩაუდგა და ივივე გუნდს სულ სხვა სული შთაბერა. დღეს მისი შეგირდების ანგარიშზე არა მარტო დივიზიონის და კონფერენციის, არამედ მთელი ლიგის გუნდებს შორის ყველაზე მეტი მოგება და ყველაზე ნაკლები წაგებაა. იმ ღამით დანლივი ავადმყოფობის გამო შეგირდთა წარმატებას ვერ დესწრო, უმისოდ მასპინძლებს თავიდან ცოტათი გაუჭირდათ მებრძოლი გოლდენ სტეიტის გატეხვა, მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ჩიკაგო 90:113 ტორონტო

ჩიკაგო: ლარუ (15)
ტორონტო: ბრაუნი (25), კარტერი (23 ქულა, 11 მოხსნა)

დრაფტი 98-ში არჩეულ მოთამაშეთა პატრონ გუნდთაგან ყველაზე უფრო „ტორონტო რეპტორზს“ გაუმართლა, როდესაც მეხუთე ნომრად ვინს კარტერი აიყვანა. ეს კანადური გუნდი სეზონის დაწყებამდე უიმედო აუტსაიდერად მიიჩნეოდა და მთელ სეზონში რომ იმდენი თამაში მოეგო, რამდენიც ჯერ კიდევ სეზონის შუაში რომ აქვს მოგებული, ურიგო შედეგად არ ჩაეთვლებოდა. მაგრამ ტორონტოელი „ტირანოზავრების“ ანგარიშზე 25 თამაშიდან 12 მოგებაა და აქედან მან ბოლო 7 მატჩში ექვსჯერ იზეიმა გამარჯვება. ამაში ლომის წილი სწორედ ვინს კარტერმა დაიდო, რომელმაც უკვე მოასწრო ლიგის კვირის მოთამაშის ტიტულის დათრევა, რაც მის ერთობ პერსპექტიულ მომავალზე მიუთითებს და თუ ამ ყმაწვილს სერიოზული ტრავმა ან რაიმე ამდაგვარი უბედურება არ დაატყდა თავს, კოჭებშივე ეტყობა დიდი კალათბურთელობა. მან თავისი 23 ქულიდან 14 პირველ მეოთხედში ჩაუგდო ზედიზედ სამგზის ჩემპიონს.

კლივლენდი 113:86 ბოსტონი

კლივლენდი: პერსონი (19)
ბოსტონი: ვოლკერი (22)

ტორონტოსი არ იყოს, ბოსტონმაც მშვენიერი ახალბედა პოლ პირსი დაითრია, მაგრამ რამდენიმე კვირის ჩინებული თამაშის შემდეგ ამ ყმაწვილმა ტრავმა მიიღო და ახლა უკვე ჩვეულად ვეღარ ირჯება. ეს გუნდის შედეგსაც დაეტყო. ბოსტონმა ბოლო 10 თამაშიდან 9 დათმო. შეხვედრაში ინტერესს იწვევდა კლივლენდელი ენდრიუ დეკლერკის და ბოსტონელი ვიტალი პოტაპენკოს დუელი. სამიოდე კვირის წინ ეს ახალგაზრდები იმ დღეს ერთმანეთის დაპისირებული გუნდების კუთვნილება გახლდნენ, მაგრამ ახლა თავიანთ ყოფილ კლუბებს დაუპირისპირდნენ. თავი არცერთს შეურცხვენია — პოტაპენკოს ანგარიშზე 10 ქულა და 12 მოხსნაა, დეკლერკმა კი ყოფილ გუნდ ბოსტონს 16 ქულა ჩაუგდო და ექვსიც მოუხსნია.

ირაკლი ფირაშვილი

კვირის მოთამაშე

ვინს კარტერი (ტორონტო)

ახალბედა ვინს კარტერის აღიარება განაპირობა იმან, რომ მისმა „ტორონტო რეპტორზმა“ წინა კვირაში ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო, რითაც საკლუბო რეკორდი დაიმყარა.

კარტერი ტორონტოს პირველი კალათბურთელია, ვინც კი ოდესმე დაუსახელებიათ კვირის მოთამაშედ. ამასთანავე, იგი მე-20 ახალბედაა, ვისაც ამგვარი პატივი ერგო.

ტორონტოს ფორვარდმა წინა კვირაში საშუალოდ მატჩში 20,0 ქულა, 7,0 მოხსნა და 1,6 დაფარება გააკეთა. მოედანზე კი საშუალოდ 34,0 წუთს იმყოფებოდა. კვირის პირველ მატჩში შარლოტის წინააღმდეგ (89:82) მან მხოლოდ 18 წუთს ითამაშა, მაგრამ მეორე მატჩში ნიუ ჯერსისთან (100:85) 20 ქულა და 15 მოხსნა (პირადი რეკორდი) მიითვალა. კარტერმა გაიმეორა პირადი რეკორდი (28 ქულა) დეტროიტის წინააღმდეგ (103:101), ხოლო „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ (93:82) 26 ქულა ჩაუგდო. კვირის დასკვნით მატჩში ვინსმა ნიუ იორკს (85:81) 23 ქულა, 12 მოხსნა და 4 დაფარება გაუკეთა.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
მაიამი	18	7	72,0
ორლანდო	19	8	70,4
ფილადელფია	14	11	56,0
ნიუ იორკი	15	12	55,6
ვაშინგტონი	10	15	40,0
ბოსტონი	8	16	33,3
ნიუ ჯერსი	5	20	20,0

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა	18	7	72,0
მილუოკი	15	10	60,0
ატლანტა	15	11	57,7
კლივლენდი	13	11	54,2
დეტროიტი	14	12	53,8
ტორონტო	12	13	48,0
შარლოტი	9	15	37,5
ჩიკაგო	8	18	30,8

დასავლეთის კონფერენცია

წუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	20	6	76,9
ჰიუსტონი	17	9	65,4
სან ანტონიო	17	9	65,4
მინესოტა	14	12	53,8
დალასი	9	18	33,3
დენვერი	7	19	26,9
ვანკუვერი	5	21	19,2

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი	21	5	80,8
ლეიკერსი	19	9	67,9
სიეტლი	13	11	54,2
ფინიქსი	13	13	50,0
საკრამენტო	11	16	40,7
გოლდენ სტეიტი	10	15	40,0
კლიპერსი	2	22	0,83

კვირის მოთამაშედ აღიარებული ახალბედები

მოთამაშე	კლუბი	აღიარების თარიღი
ვინს კარტერი	ტორონტო	21.03.99
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	1.03.98
ალენ აივერსონი	ფილადელფია	13.04.97
არვიდას საბონისი	პორტლენდი	31.03.96
ჯეისონ კიდი	დალასი	19.03.95
კრის ვებერი	გოლდენ სტეიტი	19.01.94
ალონზო მურნინგი	შარლოტი	18.04.93
შაკილ ონილი	ორლანდო	15.11.92
ლარი ჯონსონი	შარლოტი	22.03.92
დენის სკოტი	ორლანდო	10.03.91
ლაიონელ სიმონსი	საკრამენტო	17.02.91
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	22.04.90
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	25.03.90
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	25.02.90
ტიმ ჰარდეევეი	გოლდენ სტეიტი	4.02.90
ჩარლზ ბარკლი	ფილადელფია	30.03.86
ჩარლზ ბარკლი	ფილადელფია	2.03.86
ჩარლზ ბარკლი	ფილადელფია	26.02.86
პატრიკ იუინგი	ნიუ იორკი	17.11.85
მაიკლ ჯორდანი	ჩიკაგო	20.01.85
კელი ტრიპუკა	დეტროიტი	14.03.82
ჯეი ვინსენტი	დალასი	14.02.82
მეჯიძ ჯონსონი	ლეიკერსი	16.03.80

რაფაელი — ის ცქვიტი ბიჭი

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე (1952 წ), სადაც საბჭოთა სპორტსმენები პირველად მონაწილეობდნენ მსოფლიოს ამ უდიდეს შეჯიბრებაზე, სამმა ჩვენმა სპორტსმენმა, მოჭიდავე დავით ციმაკურიძემ, ძალოსანმა რაფაელ ჩიმიშკიანმა და ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელმა ოქროს მედლები მოიპოვეს. ისინი ამავე თანმიმდევრობით ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში შევიდნენ, როგორც პირველი ოლიმპიური ჩემპიონები. ამათგან ერთს, რაფაელ ჩიმიშკიანს გუშინწინ 70 წელი შეუსრულდა, დღეს კი ამ თარიღთან დაკავშირებით მას საღამოს უმართავენ. ჩვენს ინტერვიუსაც სწორედ ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ.

რაფაელ ჩიმიშკიანი დაიბადა 1929 წლის 23 მარტს თბილისში. დაამთავრა საქართველოს ფისკულტურის ინსტიტუტი. არის ჰელსინკის (1952) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 60 კგ წონით კატეგორიაში (337,5 კგ მსოფლიო რეკორდი); სსრკ (1949, 51, 54, 55, 60) და ევროპის (11950, 54, 57), ხუთ-ხუთგზის და მსოფლიოს ორგზის (1954,55) ჩემპიონი, ორჯერ მსოფლიოს (1950, 1953) და ერთხელ ევროპის (1953) ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი; მრავალგზის მსოფლიო რეკორდის ავტორი, მათ შორის ხუთი რეკორდისა სამჭიდში.

— როგორ ხვდებით თქვენს 70-წლიან იუბილეს?

— როგორ და, 12-ლარიანი პენსიით.

— ეჰ, რას იზამთ, ყველა პენსიონერი მაგ დღეშია და არც სხვები არიან უკეთესად. მაგრამ, რაც მთავარია, ჯანზე ხომ ხართ, ხომ ძველებურად ვარიშობთ?

— რა თქმა უნდა, ვვარჯიშობ. ყოველდღე ვვარჯიშობ ჩემი შტანგით.

— დიახ, გამახსენდა, შარშანწინ შინ რომ გესტუმრეთ და ღირსების ორდენით დაჯილდოება მოგილოცეთ, ის შტანგა მახახეთ, 40-კილოგრამიანი იყო.

— იმ შტანგას 10 კილოგრამი ჩამოვაკელი. სხვათა შორის, პირველად ძალოსნობაში 17 წლისა რომ გამსინჯეს, მაშინაც 40 კილოგრამი ავჭიმე. ვიყავი. მას მერე შტანგა ხელიდან არ გამიგდია. ყოველდღიურად რომ არ ავწიო, გული გამიჩერდება.

— თქვენი ასაკის კაცისთვის 30 კილოგრამიანი შტანგით ვარჯიშიც დიდი მიღწევაა, მაგრამ დრო იყო, მსოფლიოს რეკორდებს პანტაპუნტით ამყარებდით.

— დიახ, იყო ასეთი დრო. 14-ჯერ დავამყარე მსოფლიოს რეკორდი.

— ამ 70 წლის განმავლობაში რომელი დღე იყო თქვენთვის ყველაზე ბედნიერი?

— ის დღე, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მომანიჭეს. ის დღე, უფრო სწორად 25 ივლისის ღამე ჩემთვის დაუვიწყარია. მაშინ ჰელსინკის ფიცარნაგზე ბრძოლა უსაშველოდ გაგრძელდა. მანამ შეჯიბრება გასრულდა და მერე დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალიც, ამასობაში განთიადიც მოგვეპარა. ისე ვიყავი გამარჯვებით გახარებული, რომ ღამენათევი და ბრძოლაგადატანილი დაღლას ვეღარც ვგრძნობდი. ოლიმპიურ სოფელს უთენია რომ მივუახლოვდით, იქ ჩემი გამარჯვების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ავტობუსის შოფერს ვთხოვე, იქ სულ პიპინ-პიპინით შესულიყო.

მანქანის გაუთავებელმა სიგნალმა მთელი სოფელი გააღვიძა. ცხონებული გივი კარტოზია გამოვბრდა და რომ დამინახა, იყვირა: „რა ჰქენი, რაფიკჯან?!“ გაბადრული რომ დამინახა, გამოქანდა, მტაცა ხელი, ამიყვანა და სირბილით გამაქანა. მე შენ გეტყვი და, გაუჭირდებოდა.

ჩემთვის ბედნიერი იყო ის დღეც, როცა ორი ტყუპი შემეძინა — ჟანა და ჯულია. ეს იყო 1954 წლის 10 ივნისს. მაშინ 25 წლის ბიჭი ვიყავი. იმ დროს ოლიმპიური ჩემპიონიც ვიყავი, მსოფლიოსიც და ევროპისაც.

— მერეც იყო გამარჯვებები, მედლები... მაინც, რამდენი კილოგრამი იქნება თქვენს მიერ სარბიელზე მოპოვებული „ოქროვერცხლი“?

— ვაჰ, ჟურნალისტებს ჩემთვის რაღა არ უკითხავთ, ეგეთი რამ კი აზრად არავის მოსვლია. მშვენიერი კითხვაა, მაგრამ პასუხი არა მაქვს. უთუოდ ავწონი და გეტყვით.

— ისე, კაი გვარიანი წონისა იქნება. მაშინ, თქვენ რომ გესტუმრეთ, მედლების მხოლოდ ერთმა ასხმამ ლამის მკლავი მომწყვიტა.

— თქვენ ჩემი მედლების სრული კოლექცია არ გინახავთ. მათი ნაწილი ჩემი ქალიშვილების ოჯახებში ინახება. 4 შვილი მყავს, ოთხივე ქალიშვილი. აქედან სამი ექიმია, ერთი — მუსიკოსი. რა თქმა უნდა, შვილიშვილებიც მყავს. ოთხნი არიან. ჩემი მედლებით ისინიც თავს იწონებენ.

— მაინც, რა მოგცათ ოლიმპიურმა ჩემპიონობამ: ფული, სახელი, დიდება, პოპულარობა თუ სხვა რამ?

— ოლიმპიური ჩემპიონობისთვის ჩემთვის კაპიკი არავის მოუცია. მაგრამ ჰელსინკში გამარჯვებამ მომცა ხალხის პატივისცემა, დაფასება, სიყვარული...

— რომ არა ძალოსნობა, სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდით?

— ჭიდაობას. ბავშვობაში, 13 თუ 14 წლისა დიდი „შუსტრი“ ვინმე ვიყავი. კარგად ვჭიდაობდი. ფეხბურთის თამაშიც ძალიან მიყვარდა. დედაჩემი, ნინო ბერიძე, სულ ,,ჭუჩა-ჭუჩა დამდევდა, რამე არ დაიშავო, მე კი ჭიდაობისა და ბურთის გარდა მეზობლად მცხოვრები მსახიობის, ვანო ტურიაშვილის შტანგისკენ გამირბოდა თვალი.

— საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ძალოსნობის ფედერაცია და სპორტსმენთა ხელშეწყობის ფონდი „ინტერსპორტი“ ხვალ საიუბილეო საღამოს გიწყობენ. იქ ბევრჯერ შეისმევა თქვენი სადღეგრძელო. თავად რას უსურვებთ იქ შეკრებილთ?

— მათაც და სხვებსაც ვუსურვებ სიმშვიდეს, სიწყნარეს, სულ მშვიდობასა და კმაყოფილებას.

— ამ დილით (ჩვენი საუბარი 23 მარტს გაიმართა. ა.გ.) რომ გაიღვიძეთ, თქვენი დაბადების დღეს რა ინატრეთ?

— იგივე.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჩვენი მოჭიდავეების ბოლოდროინდელ გაჭირვებაზე არაერთხელ დაგვიწერია. ისიც არაერთხელ გვითქვამს, რომ უფულობით მათ წინასაოლიმპიადო სეზონი, ფაქტობრივად, ჩაუვარდათ. აბა, რა მზადებაზეა საუბარი, როდესაც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა სექტემბრის შემდეგ (როცა შვედეთში მსოფლიოს პირველობა ჩატარდა) ტურნირში პირველად ამ ხუთიოდე დღის წინ იასპარეზეს ტაშკენტში. ბევრად უკეთეს დღეში არც თავისუფალი სტილით მოჭიდავენი არიან მათ თებერვალში თურქეთში სცადეს ძალა. ეს იყო და ეს. შარშან ისედაც არასაკმარისი სპორტული ბიუჯეტის კიდევ უფრო შეკვეცის გამო მომავალიც მეტად ბუნდოვანია. მართალია, დეპარტამენტმა თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა იმ მცირერიცხოვან სახეობათა შორის შეიტანა, რომელთა დასაფინანსებლადაც მწირი ბიუჯეტიდან თანხებს გამოყოფს, მაგრამ თუ თვითონაც სრულყოფილად არ დაფინანსდა მთავრობისგან, ეს ფედერაციებზეც უარყოფითად იმოქმედებს. სამწუხაროა, რომ გაჭირვების ეს ლოდები სასიდნეო ოლიმპიადის აღმართში მდგომთ წამოგვეწია, ამიტომაც ჩავთვალეთ ტაშკენტის ტურნირი

«პრეზიდენტის თასი» ღვთის წყალობად

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲑᲔᲒᲘ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲛ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მთავარმა მწვრთნელმა სწორედ ამით დაიწყო ჩვენთან საუბარი:

— ტაშკენტმა მესამედ უმასპინძლა აწ უკვე ტრადიციულ ტურნირს და კვლავაც უმაღლეს დონეზე. წლეულს მას „ა“ კატეგორია მიენიჭეს, ხოლო გაისად სალიცენზიო სტატუსსაც მიიღებს. ტურნირის რანგი ყველაფერში იგრძნობოდა — ორგანიზაციაში, მონაწილეთა რაოდენობაში, საპრიზო ფონდში, საცხოვრებელ თუ სავარჯიშო პირობებში... დიდად დაგვეხმარა უზბეკეთში საქართველოს ელჩი გივი აბდუშელიშვილი, რომელიც იქ ყოფნისას ყოველთვის გვერდში გვედგა.

ტურნირში 19 ქვეყნის 400-მდე ფალავანი მონაწილეობდა, მათ შორის — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორები. ჩვენი გუნდიდან გიორგი ჯინჭველაშვილმა (69) და ტარიელ მელელაშვილმა (76) ჩემპიონობა მოიპოვეს, ხვიჩა ბიჩინაშვილი (76) მეორე ადგილზე გავიდა, ემზარ მახარაძე (85) და თამაზ გოგელია (მძიმე) კი — მესამეზე. ამ შეჯიბრს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის მოსამზადებელ ეტაპად განვიხილავთ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ეს ბიჭებისთვის პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო. ეტყობოდათ კიდეც საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობა.

ჯინჭველაშვილმა ფინალში ბელარუს კაპიტოვს, ევროპის ოთხგზის პრიზიორს, მოუგო. მართალია, თავიდან აგებდა, მაგრამ დამატებითში იმარჯვა და საევროპო გუნდშიც გაინაღდა ადგილი. 76 კგ-ში — მელელაშვილმაც და ბიჩინაშვილმაც კარგად დაიწყეს. ნახევარფინალში მელელაშვილმა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონ ბასენკოვს მოუგო, ხოლო ფინალში ბიჩინაშვილს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 4:3 დაამარცხა. 85 კგ-ის ნახევარფინალშიც ორი მონაწილე — ემზარ მახარაძე და მუხრან ვახტანგაძე გვყავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივემ წააგო. მესამე ადგილისთვის მატჩში მახარაძემ იყოჩალა. კარგად იჭიდავა ახალგაზრდებიდან ახლახან გადმოსულმა თამაზ გოგელიამაც. მან მხოლოდ ნახევარფინალი დაითმო ბელარუს გებელკასთან, რომელიც რეიტინგით საუკეთესო ექვსეულშია.

— სხვებზე რას იტყვით?

— მალხაზ ნიშნიანიძემ (54), ჯამბულ ფუტკარაძემ (58) და ბადრი ანთიძემ (63) თავი ვერაფრით გამოიჩინეს, თუმცა ფუტკარაძე ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვდა. ანთიძემაც პირველ წრეში მსოფლიოს ჩემპიონთან, ყაზახ მანუკიანთან წააგო. მერე კი მოიგო, მაგრამ ჯგუფიდან ვერ გავიდა. კენჭისყრამ არ გაუმართლა გენადი ჩხაიძესაც (97). ეს წონა კარგი შემადგენლობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ვინც იყო — ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, ბელარუსი ლიშტვანი და ყაზახი მატვიენკო — მის ჯგუფში მოხვდა.

— 76-ის შედეგებმა, ალბათ, საფიქრალი მოგიმატათ...

— დიახ, მაგრამ ვინ დაიკავებს ამ წონაში ნაკრებში ადგილს, მელელაშვილი თუ ბიჩინაშვილი, მაინც საწვრთნელი შეკრებების შემდეგ გაირკვევა.

— ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან გუნდსაც მაშინ დააკომპლექტებთ?

— დიახ. ჩვენ ორი შეკრება დავგეგმეთ — ერთი შარშანდელივით მინსკში, მეორე, დასკვნითი კი ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ, ბაკურიანში. ნაკრებსაც იქ წასვლამდე დავაკომპლექტებთ. კონკრეტულად ჯერ მხოლოდ 69-ზე შემიძლია ვისაუბრო, დანარჩენებმა კი შეკრებებზე უნდა გამოიჩინონ თავი. ფინანსური პრობლემების გადამკიდე შეიძლება ევროპაზე არასრული გუნდით წავიდეთ. ჩვენთვის უმთავრესი მაინც მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც პირველ რვა ადგილზე გასულები ოლიმპიურ ლიცენზიებს მოიპოვებენ.

— აყაი ჩაჩუას და კობა გულიაშვილს თუ აქვთ ნაკრებში მოხვედრის შანსი?

— ჩაჩუამ ტრავმის გამო საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა, ხოლო გულიაშვილი ინდივიდუალურად ემზადება მსოფლიოს პირველობისთვის და ჯერ არსად უსაუბრია. ჩვენ არ ვიცით მათი მომზადების დონე, თუმცა გვინდა, ისინი სამსოფლიოსჩემპიონატოდ მოვამზადოთ და ლიცენზიები მოვაპოვებინოთ.

— ბოლოს ისევ ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ, რომელიც 12-15 მაისს სოფიაში გაიმართება.

— სოფიაში მხოლოდ ღირსეულნი წავალენ. უფულობის გამო მოსამზადებელი ეტაპი ჩაგვივარდა, ამიტომაც სოფიაში გუნდის გამოსვლაზე უეჭველად იქონიებს გავლენას.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაც ზაზა თურმანიძესთან საუბარი ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მეორე მწვრთნელ გია გალდავასგან შევიტყვეთ, რომ ნაკრები 29 მარტს ბაკურიანში შეკრებაზე გაემგზავრება და საევროპო გუნდიც მერე დაკომპლექტდება.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

მილან-სან რემოს შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ველოსიპედოსებმა ესპანეთში გადაინაცვლეს. „კატალონიის კვირეულში“ მონაწილეობის მისაღებად. შეჯიბრი ორშაბათს დაიწყო და პარასკევამდე გასტანს. მის პოტენციურ გამარჯვებულებად მარკო პანტანის (იტალია, „მერკატონე უნო“), იან ულრიხს (გერმანია, „ტელეკომი“), ლორან ჟალაბერს (საფრანგეთი, „ონსე“), ლენს არმსტრონგს (აშშ, „პოსტალი“), ხოსე მარია ხიმენესს (ესპანეთი, „ბანესტო“), ფერნანდო ესკარტინს (ესპანეთი, „კელმე“) და შარშანდელ ტრიუმფატორს მიქაელ ბოგერდს (ჰოლანდია, „რაბობანკი“) თვლიან. ამათგან ყველაზე კარგი შანსი, ალბათ, პანტანის აქვს, რომელმაც გასულ შაბათს საშობლოში დაამტკიცა, რომ შშვენიერ ფორმაშია. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიურპრიზების შემოთავაზება, როგორც ცალკეულ ეტაპებზე, ისევე მთლიანობაში, სხვა სპორტსმენებსაც შეუძლიათ.

ჯამში ველოსიპედოსებს 763,2 კმ აქვთ დასაფარი ხუთი ეტაპის განმავლობაში. რიგით 26-ე „კატალონიური კვირეულის“ ეტაპები წინა წლებისგან განსხვავებით საკმაოდ იოლი გასავლელია. მთიანი მონაკვეთები ძალიან ცოტაა, ხოლო არც ერთი ფინიში არაა აღმართის ბოლოში. პირველი სამი ეტაპი უკვე გაიმართა, თუმცა დღეს მხოლოდ ორი მათგანის შედეგებს გაგაცნობთ.

„ლორეტ დე მარის“ შემდეგ ლიდერობა „ფესტინას“ გერმანელმა მარსელ ვუსტმა იგდო ხელი. 172 კმ-იანი ტრასა მან ყველაზე სწრაფად განვლო და ფინიშის ხაზიც მარტოობაში გადაკვეთა. სპრინტების სპეციალისტმა ვუსტმა 144 კმ იქროლა მთავარ ჯგუფს მოწყვეტილმა და მეორეადგილოსან თანამემამულე ერიკ ზაბელს („ტელეკომი“) 19 წამი მოუგო.

REUTERS კასტელო დემპურიესიდან

მარკო პანტანი

ვუსტმა სხვებთან ერთად მხოლოდ 28 კმ დაჰყო, რის შემდეგაც იგი ესპანელ ალბერტო ლოპეს დე მუნეთან ერთად გაიჭრა წინ. 69-ე კმ-ზე მათმა უპირატესობამ უკვე 16 წუთს მიაღწია. გერმანელმა „თანამებრძოლს“ „სანტ გრაუს“ დაღმართზე უღალატა და ბოლო 35 კმ ეულად გაიარა. ფინიშამდე ცოტაღა რჩებოდა, როცა მისი წუთები თვალსა და ხელს შუა წამებად იქცა. მისდა საბედნიეროდ, ჯგუფმა მისი ჩაყლაპვა ვერ მოახერხა, თორემ საბოლოო სპრინტში ვუსტს მოგების აღარანაირი შანსი არ ექნებოდა. ფესტინელმა გამარჯვება თავის ახალშობილ ვაჟს უძღვნა და ბრაზილიელი ფეხბურთელის ბებეტოსნაირად ხელები ისე გააქან-გამოაქანა, თითქოს ბავშვს არწევსო.

მეორე ეტაპი „ლორეტ დე მარი — კასტელო დემპურიესი“ სამშაბათს გაიმართა. 169 კმ-იან დისტანციაზე პირველობა „ჯირო დ იტალიასა“ და „ტურ დე ფრანსის“ შარშანდელმა გამარჯვებულმა მარკო პანტანიმ ირგუნა. საერთო ჩათვლაში კი ლიდერი კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო („კელმე“) გახდა, რომელიც მოწინავე ხუთეულში იყო. ეს ხუთი მრბოლი ჯგუფს ეტაპის ერთადერთ ურთულეს მონაკვეთზე, „სანტ პერ დე როდესზე“ გაექცა 40-წამიანი უპირატესობით. ბოლო კილომეტრებზე მათ სხვები ახლოს არ მიიკარეს და პირველობაც ერთმანეთში გაითამაშეს.

და აქ მოხდა აშკარა, მაგრამ დაუჯერებელი რამ. საფინიშო სპრინტი პანტანიმ მოიგო, არადა, იტალიელის აქამდე მოგებული სპრინტის გახსენება ვერავინ შეძლო. მისი ძალა ხომ მთავორიან ეტაპებზე ჩანს ხოლმე, გამარჯვებების უმეტესობა კი აღმართში მდებარე ფინიშებზე მოდის. ერთი სიტყვით, პანტანიმ მოიგო და საერთო ჩათვლაშიც ხუთეულში შევიდა.

საერთო ჩათვლა: 1. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, „კელმე“) — 8სთ, 28წთ და 57წ; 2. ვლადიმირ ბელი (იტალია, „ფესტინა“); 3. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია, „რაბობანკი“); 4. კლაუს მიქაელ მოლერი (კოლუმბია, TVM); 5. მარკო პანტანი (იტალია, „მეკარტონე უნო“ — ყველას იგივე დრო.

გაიოზ თალაძგაძე

დედლაინი: ქარვასლა დაიხურა

სკოტი ბოუმენი დიდვაჭარიც ყოფილა

დაიხსომეთ ანდერს ერიქსონი

წლევანდელი „დედლაინიც“ ჩაბარდა ისტორიას. შალე მისი ციებ-ცხელებაც დავიწყებას მიეცემა. განხორციელდა 21 გაცვლა, რომელშიც 30 მოთამაშე იყო ჩართული. 1999 წლის „დედლაინი“ დეტროიტის მთავარი მწვრთნელის სკოტი ბოუმენის და გენერალური მენეჯერის კენ ჰოლანდის საკადრო პოლიტიკის ტრიუმფად შევა ნჰლ-ის მატიანეში.



სარგბიელის არქივიდან

კრის ჩელიოსი

დეტროიტის მესვეურებმა რამდენიმე საათში, არც მეტი, არც ნაკლები, ერთბაშად სამი სენსაციური ტრეიდი განახორციელეს, პრაქტიკულად ყველა სუსტი პოზიცია გაამაგრეს და სხვა კლუბების ხელმძღვანელები გააოგნეს. „წითელფრთიანებმა“ ჯერ ტამპასგან შეიძინეს შედეგიანი ფორვარდი უენდელ კლარკი (წლეულს 28 გოლი, 3 (!) ჰეთ-თრიკი) და გამოცდილი მეკარე ბილ რენფორდი, თანაც სულ რაღაც ორი სადრაფტო არჩევისა და სათადარიგო გოლკიპერ კევინ ჰოლსონის ფასად, მერე ასევე დრაფტზე არჩევის სანაცვლოდ რეინჯერსის ცნობილი მცველი ულფ სამუელსონი იგდეს ხელთ, მთავარი კი ბოლოსთვის შემოინახეს — ფილადელფიელ თავკაცებს ცხვირწინ აცალეს ჩიკაგოს სახელოვანი კაპიტანი, ლიგის სამგზის საუკეთესო მცველი კრის ჩელიოსი, კაცი, რომელზეც „მფრინავები“ მთელი სეზონის განმავლობაში ნადირობდნენ. აი, ამ „დედლაინის“ მთავარი მოვლენაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დეტროიტი კვლავ თასის მთავარ ფავორიტად იქცა. თავად განსაჯეთ: ჩელიოსი, სამუელსონი, უვე კრუპი და ლიგის საუკეთესო დაცვითი წყვილი — ნიკლას ლიდსტრიომი და ლერი მერფი... სახით დაცვით ხაზში ჩემპიონებს მთელი თანავარსკვლავედი შეექმნათ. დანარჩენი რგოლებიც ხომ მშვენივრად ჰყავთ დაკომპლექტებული. პირში ჩალაგამოვლებული ფილადელფიელთა მენეჯერი ბობი კლარკი კი მხოლოდ ერთ ოსტატ მცველ სტივ დიუშენს დასჯერდა. ისიც წლეულს ლოს ანჯელესს ვერ შეეწყო და ძველებური სისწრაფით აღარ გამოირჩევა.

ასე რომ, დეტროიტის სენსაციურმა გაცვლებმა ყველა დაჩრდილა, მათ შორის მონრეალის კაპიტან ვენსან დამფუსის (12 გოლი და 24 პასი ამ სეზონში) სან ხოსეში გადასვლა (არადა, კანადელთა ლიდერზე თითქოსდა ფინიქსი აცხადებდა პრეტენზიას), ბუფალოელთა მიერ ვაშინგტონელი ჯო ჟიუნოს (14 გოლი და 27 პასი წლეულს) გადაბირება (შეგახსენებთ, რომ შარშანდელი თასის ნახევარფინალში სწორედ ჟიუნომ დაასამარა „ხმლების“ იმედები). ლოსანჯელესელებმა დიუშენის გარდა პერსპექტიული ცენტრი იანიკ პეროც დაკარგეს, რომელიც ტორონტოს გააძლიერებს. და კიდევ, კოლორადოს არჩევანი, ვაშინგტონის ვეტერანი დეილ ჰანტერი, რომელიც „ეველანშის“ პოლიციელთა ბრიგადას გაუძღვება.

ერთსაც გირჩევთ, დაიმახსოვრეთ ეს სახელი — ჩელიოსის ნაცვლად ჩიკაგოში გადასულ ახალგაზრდა შვედ მცველ ანდერს ერიქსონს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

23 **მარტს**, ჩვენი დროით შუაღამისას, „დედლაინის“ ჟამი დგება. ნჰლ-ში წყდება ყოველგვარი გაცვლა-გამოცვლა და გუნდები უკვე ჩამოყალიბებული შემადგენლობებით იწყებენ ბრძოლას თასისთვის. სანამ ეს დრო მოატანდეს, უკანასკნელ საათებში, კლუბები განსაკუთრებით აქტიურობენ, ასეთია ტრადიცია. სწორედ ამ დროს ხორციელდება მოულოდნელი გაცვლები, თუმც, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, დიდი ხნის განმავლობაში ნაფიქრი და კარგად აწონილ-დაწონილი ცვლილებები უფრო შედეგიანია. ყოველ შემთხვევაში, ნჰლ-ის უდიდესი ტრეიდების ხუთეულში „დედლაინის“ დროს გაკეთებული ერთიც არ მოხვდა. ერთობ ეფექტურია ზაფხულში, დასვენებისას ან ჩემპიონატის წინა დღეებში განხორციელებული გაცვლები.

გთავაზობთ სუპერხუთეულს:

1 1988 წლის 9 აგვისტო. ედმონტონმა ლოს ანჯელესისგან ჯიმი კარსონი, მარტინ ჟელინა და სამი დრაფტის (1989,91,93) პირველ რაუნდში არჩევის უფლება მიიღო, ამის სანაცვლოდ კი მაიკ კლუშენიეკი, მარტი მაკსორლი და...„დიადი“ უეინ გრეცკი გაუშვა.

ამ დღიდან იწყება უეინ გრეცკის კარიერის დაღმასვლა. დიდების მწვერვალზე მყოფი ნჰლ-ის საუკეთესო ჰოკეისტი საშუალო დონის კლუბში გადავიდა, ლიგის პირველი ბომბარდირის ტიტული მარიო ლემიეს გადაულოცა („მეფეთა“ რიგებში ჩატარებულ რვა სეზონში მხოლოდ სამჯერ გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ლემიე — ოთხჯერ) და ტრიუმფების გემოც საბოლოოდ დაივიწყა. „მენავთობეებთან“ ერთად ოთხჯერ თასის მფლობელ „დიადს“ ამის შემდეგ ლორდ სტენლის ვერცხლის თასით დამშვენებული ხელები აღარ ალუმრთავს. გრეცკის წასვლის შემდეგ ვერც ედმონტონმა გაიხარა. მარკ მესიემ და სხვა დარჩენილმა ლიდერებმა მხოლოდ ერთხელ მოუტანეს კლუბს გამარჯვება (1990), მერე კი „მენავთობეთა“ მზეც ჩაესვენა.

და მაინც, ამ გაცვლას სახეირო შედეგი მოჰყვა. გრეცკის ლოს ანჯელესში გადასვლამ უდიდესი ზეგავლენა იქონია მზიურ კალიფორნიაში ჰოკეის განვითარებაზე. „მეფეთა“ თამაშებს „დიადის“ მონაწილეობით ერობამად 3 ათასი მაყურებელი შეემატა, კლუბმაც როგორც იქნა მიაღწია თასის ფინალს (1993), ხოლო როცა 90-იანი წლების დასაწყისში კალიფორნიაში კიდევ ორი ახალი გუნდი — სან ხოსე და ანაჰაიმი დაარსდა, კალიფორნიელები ჟინულის თამაშს საბოლოოდ შეეჩვივნენ.

სარგბიელის არქივიდან

უეინ გრეცკი

2 1957 წლის 23 ივლისი. დეტროიტმა გლენ ჰოლის და ტედ ლინდსეის ნაცვლად ჩიკაგოდან ჯონ უილსონი, ფორბს კენედი, უილიამ პრესტონი და ჰენკ ბასენი შეიძინა.

50-იან წლებში დეტროიტი ლიგაში ბატონობდა, რაზეც გუნდის მიერ მოპოვებული 4 თასიც მეტყველებს. მაგრამ ბოლო გამარჯვებას (1955) ორი სეზონის განმავლობაში წარუმატებლობა მოჰყვა. კლუბის მესვეურები შეეცადნენ, გუნდისთვის ახალი სული შთაებერათ და ახალგაზრდები შეიძინეს, მაგრამ ამაოდ. ისინი 42 (!) წლით დაეშვიდობნენ თასს, ჩიკაგომ კი იხეირა. მართალია, გორდი ჰოუ — სიდ ეიბლი — ტედ ლინდსეის სამეულის მარცხენა გარემარბმა და ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ლინდსეიმ სულ მალე კარიერა დასრულა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩინებულმა მეკარემ გლენ ჰოლმა კიდევ რამდენიმე სეზონი ჩაატარა უმაღლეს დონეზე და 1961 წელს „ქორებს“ თასიც მოაგებინა.

3 1992 წლის 7 აგვისტო. ბუფალომ დომინიკ ჰაშეკი ჩიკაგოსგან სტეფან ბორეტარის და 1993 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევის (ერიკ დაზე) ფასად შეიძინა.

მაშინ არავის ეგონა, რომ ამ გაცვლას ასეთი დიდი შედეგი მოჰყვებოდა. ახლა ყველას პირზე რომ „დომინატორი“ აკერია, მაშინ მას ერთი სრული სეზონიც არ ჩაეტარებინა და მხოლოდ ედ ბელფორის შემცვლელი გახლდათ. ჰაშეკი ბუფალოს უმალ შეეწყო და „ხმლებში“ ჩატარებულ პირველივე სეზონში ლიგის საუკეთესო მეკარე გახდა (ეს ტიტული კიდევ სამჯერ მოიპოვა), ხოლო უმაღლეს მწვერვალს უკანასკნელ ორ სეზონში მიაღწია, როცა პირველი გოლკიპერი შეიქნა, ვინაც ზედიზედ ორჯერ გახდა ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე.

ჩიკაგომ რაღა ისარგებლა? ბორეტარი სამ დღეში ვინიპეგში გაცვალეს და ამის შემდეგ მის შესახებ აღარაფერი გვსმენია. ნიჭიერი ფორვარდი ერიკ დაზე კი, რომელმაც სადებიუტო სეზონში 30 გოლი მიითვალა, ამჟამად ღრმა კრიზისშია, ისევე როგორც მისი გუნდი.

4 1926 წლის 28 სექტემბერი. „ვანკუვერ მარუნსმ“ (დასავლეთის ჰოკეის ლიგა) ფრენკ ბუშე რეინჯერსს 15000 დოლარად მიჰყიდა.

ასეთ სასაცილო ფასად შეიძინეს ნიუიორკელებმა მოთამაშე, რომელიც 30-იანი წლების შუა ხანებამდე ლიგის საუკეთესო პლეიმეიკერად ითვლებოდა. „ლედი ბინგ ტროფის“ (ლიგის ჯენტლმენი ჰოკეისტებისთვის დაწყებული კრიზისი) შვიდგზის მფლობელი, ჩემპიონატის სამგზის საუკეთესო ასისტენტი და თასის ორგზის მფლობელი (1928,33) — ასეთია ბუშეს მიღწევათა არასრული ნუსხა. კარიერის დასრულების შემდეგ იგი ასევე ჩინებულ მწვრთნელად იქცა და რეინჯერსს კიდევ ორ ტრიუმფალურ სეზონში (1939,40) უთავკაცა.

5 1996 წლის 9 ოქტომბერი. დეტროიტმა ჰართფორდს (ამჟამად კაროლინა) პოლ კოფის, კეიტ პრიმოსა და 1997 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის (ნიკოს ცელიოსი) სანაცვლოდ ბრუნდან შენაჰანი და ბრაიან გლინი დაუთმო.

1996 წლის პლეი ოფში ჩემპიონატში გამარჯვებული დეტროიტი ძალიან ახლოს იყო მიზანთან — 41-წლიანი პაუზის შემდეგ შეიძლებოდა, თასი დაესაკუთრებინა. თუმც კონფერენციის ფინალში კოლორადოსთან მოულოდნელმა მარცხმა ჩაუშალა გეგმები. მაშინვე ნათლად გამოიკვეთა ძალისმიერი ფორვარდის საჭიროება, რომელიც „წითელფრთიანთა“ შეტევებს სიმტკიცეს შემატებდა. ამიტომაც, როცა ბრენდან შენაჰანის შეძენის საშუალება მიეცათ, კლუბის მესვეურები უმალვე შეეცადნენ მის გადაბირებას და მაშინ ლიგის საუკეთესო ბომბარდირი — მცველი (კოფი) და ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდაც (პრიმო) არ დაინანეს. რისკმა გაამართლა. მართალია, შენაჰანს ძველებურად 50 გოლზე მეტი ვეღარ გაჰქონდა, მაგრამ პლეი ოფში აუცილებელ ეფექტს მიაღწიეს, მომდევნო სეზონებში კი დეტროიტი ლიგაში გაბატონდა.

ახლებ-მიცემობის ხუთი ამბავი

გრეცკის გამშვები ჩაეშვა

დრო იყო, ჰაშეკს მუქთად იძლეოდნენ

შეწცა, ჯერემი?!

23 მარტი

პიტსბურგი — ჩიკაგო 5:2 (2:0 3:2 0:0)

1:0 ჰრდინა 15'18 (11); 2:0 იაგრი 19'26 (34); 3:0 კოვალიოვი 25'21 (19); 4:0 ლანგი 27'06 (21); 5:0 მორანი 30'23 (4); 5:1 ჟამნოვი 33'31 (17); 5:2 სიმპსონი 34'27 (4)

ჩიკაგოს აქამდეც უჭირდა, ახლა კი, როცა „დედლაინზე“ გუნდის სული და გული, მრავალწლიანი ლიდერი და კაპიტანი კრის ჩელიოსი გამოეცალა, იარმირ იაგრსა (1+2) და კომპანიასთან ვერაფერს გახდა. პირველ პერიოდში მასპინძლები იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ, ხოლო ჩეხმა სუპერფორვარდმა ზედიზედ მე-8 მატჩში გამოიჩინა თავი (5 გოლი და 10 პასი ამ ხნის განმავლობაში) და, ფაქტობრივად, გაინაღდა ბომბარდირთა დავაში პირველობა. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა უკაპიტნოდ ისპარეზეს — ჩელიოსის მოულოდნელი გაცვლის შემდეგ სულ რამდენიმე საათი იყო გასული და, ცხადია, ჩიკაგოელებმა ახალი წინამძღოლის დანიშვნა ვერ მოასწრეს.

ნიუ ჯერსი — ბუფალო 1:1 (0:0 1:0 0:1 0:0)

1:0 ნემჩინოვი 22'57 (9); 1:1 შატანი 56'23 (34)

„დომინატორის“ კარის დალაშქვრა მხოლოდ აილენდერსიდან ახალშეძენილმა სერგეი ნემჩინოვმა მოახერხა, ჰაშეკმა (31 მოგერიება) კი ოვერტაიმში სამჯერ იხსნა თავისიანები.

ფინიქსი — დალასი 2:3 (0:1 0:1 2:1)

0:1 ჰალი 13'18 (27); 0:2 ლეპტინენი 35'30 (19); 0:3 ნუინდაიკი 41'18 (22); 1:3 ტკაჩუკი 57'38 (31); 2:3 ტოკეტი 58'32 (23)

მაიკ მოდანო თავისი სანაკრებო პარტნიორისგან ასეთ ვერაგობას ნამდვილად არ ელოდა. პირველი პერიოდის შუაგულში მეტოქის კარს უკან მყოფ დალასის ლიდერს ფინიქსელმა ჯერემი რენიკმა (ისინი აშშ-ის ნაკრებში ერთად თამაშობენ) ბორტზე ისე მიარტყმევინა თავი, რომ მაიკმა რამდენიმე წუთით გონება დაკარგა და მოედნიდან ექიმების გასაყვანი შეიქნა. დალასელებმა ჩემპიონატში პირველებმა მიაღწიეს 100-ქულიან ზღვარს.

სამფელ ღარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ჰელსინკიდან

ტანგოს ალმური ფინურ ყინულზე

ანჟელიკა კრილოვა და ოლეგ ოვსიანიკოვი ფოტოზე ჰელსინკიში ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავიანთი მორიგი უმაღლესი ტიტულისკენ მიიწევენ. ამ მოხდენილი ტანგოსა და გუშინდელი ჰაეროვანი ვალსის შემდეგ მათ ხვალ ნამეტანი უბადრუკად უნდა იცეკვონ, რომ უეჭველად მოსაგები ან კანადელთა დუეტს დაუთმონ, ანაც ფრანგებისას, მაგრამ ამისი როგორღაც არავის სჯერა — ანჟელიკა და ოლეგი ხომ ცეკვა-თამაშის უბადლო ოსტატები არიან.

რაც შეეხება ვაჟთა ინდივიდუალურ სასრიალეთს, აქ მოკლე პროგრამის შემდეგ 16 წლის რუსი ევგენი პლუშენკო ლიდერობს. ჩვენებური ვახტანგ მურვანიძე 30 შემსრულებელში რიგიან მე-17 ადგილზე გავიდა, ფინალურ ჯგუფში მოხვდა და დღეს-ხვალ კიდევ უფრო რიგიანად გამოსვლასაც ეცდება.

გრანტის უეცარი გრანტი

ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ 1500 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონმა, ავსტრალიელმა გრანტ ჰეკეტმა სამშაბათს ავსტრალიის ჩემპიონატზე სპორტის ამ სახეობის ერთი უძველესი რეკორდი დაამხო. უძველესი ამ რეკორდს მხოლოდ ერქვა, თორემ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ვერვისგან შეუცილებელი 15თ 46,69წმ იტალიელმა ჯორჯო ლამბერტიმ თავისუფალი სტილით გასაცურ 200 მეტრიან ბილიკზე 1989 წელს ბონში მიმდინარე ევროჩემპიონატზე აჩვენა.

ჰეკეტმაც გუშინ აიღო და ამ შედეგს წამის ორი მეასედი ჩამოპარსა, თანაც ეს 4×200 მეტრიანი ესტაფეტის პირველ მონაკვეთზე გააკეთა...

არადა, იქ შეკრებილი მილეთი, ჩემპიონატის დაწყებამდე ამგვარ თავგამოდებას გრანტზე მეტად, 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონ მაიკლ კლიმისა და 400 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონ იან თორპისგან უფრო გამოელოდა. მაგრამ ჰეკეტმა აღნიშნულ გვირგვინოსანთა ტყაპუჭები ჯერ ორშაბათს, საკუთრივ 200 მეტრიან ბილიკზე დახია, მეორე დღეს კი, როგორც ზემოთაც ვთქვით, აიღო და რეკორდსაც უყელა.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ჰეკეტის ასეთ უეცარ გაშმაგებას თურმე თავისი სოლიდური მიზეზიც ჰქონია — ბიჭს ავსტრალიის 4×200 საესტაფეტო ნაკრებიდან ამოგდება ვერ აუტანია და — ახლა განახებთ, ვინცა ვარო — ჩემპიონატისთვის სწორედ ასეთი განწყობით მომზადებულა.

მომზადებულა და — თუკი ვინმეს რეკორდი გინდათ მოახსნევინოთ — აწი ასე მოექეციოთო, ეგრეც დაუბარებია.

ისე კი, გრანტის უდიდესი ოცნება მისივე თანამემამულის კირენ პერკინსის მიერ 1500 მ-ზე ნაჩვენები უსწრაფესი დროის (14.41,66) შეკვეცა ყოფილა. „200 მ-ზე მოგება, სუზი, ამათ გულის გასახეთქად მინდოდა, თორემ შენც კარგად იცი, 1500-ზე ცურვასა და პირველობას რომ არაფერი მირჩევნია“ — ასე ეუბნება გრანტი (ფოტოზე) თავის კეთილ მეგობარს, ქალთა შორის 200 მეტრზე ნახეირებ სიუზან ონილს. სიუზანიც — ვიცი, აბა, არ ვიცი — ასე პასუხობს და გამამხნევებლადაც ეთათუნება.



REUTERS ჩიკაგოდან

ჩიკაგო — ტორონტო. როცა საქმეში ერთდროულად შვიდი ხელი ჩაერევა, ბურთს აუცილებლად დაკარგავ. ასე დაემართა ტორონტოელ ვინს კარტერს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეს. მატჩი კი ტორონტომ მოიგო — 113:90

ფრენის მასწავლებელი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲨᲕᲔᲓᲘ პატრიკ შიობერგი სიმაღლეში მსტომელთა სადედმამიშვილოში ფრიად გამორჩეული ფიგურაა. სხვა რომ არა იყოს რა, იგი ყოფილი რეკორდსმენია და ხურჯინშიც იმდენი ჩინ-მედალი ულაგია, გასართობად შვილთაშვილებსაც ეყოფათ. თუ არ დაიზარებთ, ეგ ამბავი თავადაც შეგიძლიათ განსაჯოთ: შიობერგი 1984 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანია, 1988-ის — ბრინჯაოსი, 1992-ისა კი — ისევ ვერცხლისა. გარდა ამისა, მსოფლიოს ჭერქვეშა თასის 1985 წლის გამარჯვებული, 1989 წლის ბრინჯაოს პრიზიორი და 1992 წლის ვიცე-ჩემპიონია, ხოლო 1987-ში მსოფლიოს ჭერგარე თასიც მოუგია და საერთოდაც — 2,30 მეტრიან თამასას რაგინდარა შეჯიბრზე 112-ჯერ გადაცილებია.

კარიერის უბრწყინვალეს მომენტად პატრიკი 1987 წლის ერთ მზიან დღეს მიიჩნევს, როცა იმ დროისათვის 2,42 მეტრიან თამასას გადაევლო და თავის ეპოქას ბარე ორი გრძელი ტერფით გადაუსწრო. კარიერის უმურდლესი ჟამი კი მისთვის 1996 წლიდან იწყება, როცა ატლანტის ოლიმპიადისთვის მზადებისას ზურგი დაიშავა და მას მერე ხტომა რაა, წესიერად სიარულიც აღარ შეუძლია...

ჰოდა, რამდენადაც ექიმები მას უკვე რახანია ვარჯიშზე მეტად ტრიბუნაზე ჯდომასა და სხვათა ჯომარდობის ცქერას ურჩევენ, 34 წელს მიტანებულმა შიობერგმაც აქტიურ სპორტთან განშორება გადაწყვიტა და განათლებულ მილეთს ამის შესახებ გუშინ მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე ამცნო. ერთი ეგაა, რომ სასწრაფოდ გასაკეთებელი ოპერაციის შემდეგ შიობერგი ისევ სახტომეთში დაბრუნებასა და მწვრთნელობის დაწყებას აპირებს. სამომავლო ასპარეზი კი უკვე ამთავითვე შეურჩევია — იგი თურმე სამხრეთ ესპანეთში სპორტკომპლექსის აგებასა და ამერიკელი კალათბურთელებისა და ესპანელი ფეხბურთელებისთვის სიმაღლეში უკეთ ხტომის სწავლებას ეშურება.

„მოლაპარაკებები დაწყებულია და, თუკი ყველაფერი კარგად იქნება, პირველ რიგში „ჩიკაგო ბულზისა“ და „ნიუ ჯერსი ნეთსის“ ბიჭებს მოვამზადებ. ცოტა მოგვიანებით კი ალბათ მადრიდელ და ბარსელონელ ფეხბურთელებსაც დავეხმარები“ — ამბობს შიობერგი და ხელით მტკივან ხერხემალს ეფერება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიანული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29